ლიბერთი
ბანკი ყველგან და ყველასთვის

# უნივერსალური ანგარიშის მომსახურების პირობები

დამტკიცებულია სს „ლიბერთი ბანკის“ დირექტორთა
საბჭოს 2010 წლის 15 ივნისის სხდომის #17/1 ოქმით / ბოლო ცვლილებები განხორციელებულია
დირექტორთა საბჭოს 2020 წლის 17 აგვისტოს სხდომის #501 ოქმით

შინაარსი


ნაწილი I ...... 3

შესავალი ...... 3

ტერმინთა განმარტებები ...... 3

კლიენტის განცხადებები ...... 5

ნაწილი II ...... 6

უნივერსალური ანგარიში ...... 6

ბარათი ...... 7

სმს ბანკი ...... 8

ინტერნეტ ბანკი ...... 8

მუდმივი საგადახდო დავალება ...... 9

უნივერსალური ანგარიშიდან ავტომატური გადახდები ...... 9

წამახალისებელი პროგრამები ან/და აქციები ...... 10

სპეციალური სავალუტო ანგარიში ...... 10

აგრო ანგარიში და აგრო ბარათი. ...... 10

VISA Direct და MasterCard MoneySend საბარათე გადარიცხვები ...... 10

უკონტაქტო ბარათი ...... 11

მობაილ ბანკი ...... 11

ვალუტის გაცვლა ...... 11

ფულადი გზავნილები ...... 12

eMoney ელექტრონული საფულე ...... 12

საბანკო ბარათის 3D უსაფრთხოების სერვისი ...... 12

უკონტაქტო წამკითხველით მომსახურების სერვისი ...... 13

SmartPAY/USSD მენიუ ...... 13

მომსახურება დისტანციური მომსახურების ცენტრის მეშვეობით ...... 13

ნაწილი III ...... 13

საბანკო მომსახურების ტარიფები ...... 13

დავალების მიღების და შესრულების ვადები ...... 14

მხარეთა პასუხისმგებლობა ...... 14

პასუხისმგებლობის შეზღუდვა ...... 14

გადასახადები ...... 14

ხელშეკრულების ცვლილება ...... 15

ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტა ...... 15

მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა ...... 15

კომუნიკაცია ...... 15

კონფიდენციალურობა და პერსონალური მონაცემები ...... 16

დასკვნითი დებულებები ...... 18

დანართი №1 - სატარიფო პაკეტების მომსახურების ტარიფები ...... 20

დანართი №2 - სახელფასო პროგრამაში ჩართული ორგანიზაციის თანამშრომლების მომსახურების ტარიფები ...... 24

დანართი №3 აგრო ანგარიშითა და აგრო ბარათით სარგებლობის ტარიფები და ლიმიტები ...... 25

დანართი №4 - ინფორმაციის მოპოვება/გადაცემა მესამე პირებისგან/პირებისათვის ...... 26

დანართი №5 - საგადახდო დავალების მიღების და შესრულების ვადები ...... 28

## ნაწილი I

### 1. შესავალი

1.1. წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საბანკო მომსახურების სტანდარტულ პირობებს[1] (შემდგომში - “**პირობები**”), რომელიც განსაზღვრავს საბანკო **პროდუქტების** და საბანკო მომსახურების აღწერილობას და **მხარეთა** უფლება-მოვალეობებს აღნიშნული **პროდუქტების** და მომსახურების სარგებლობის პროცესში.

1.2. **ბანკსა** და **კლიენტს** შორის ურთიერთობები რეგულირდება ხელშეკრულებით (შემდგომში ”**ხელშეკრულება**”), რომელიც შედგება:

1.2.1. **კლიენტის** მიერ შევსებული ან/და **მხარეთა** მიერ ხელმოწერილი **განაცხად(ებ)ისაგან;**

1.2.2. წინამდებარე **პირობებისაგან;**

1.2.3. **ბანკის** მიერ დადგენილი ტარიფებისაგან, მათ შორის **№1 დანართში** მოცემული ტარიფებისგან (შემდგომში ”**ტარიფები**”)**eMoney ელექტრონული საფულით** მომსახურების (ასეთის არსებობისას) პირობებისაგან, რომელიც ხელმისაწვდომია **eMoney**-ს ვებ-გვერდზე http://emoney.ge (http://bit.ly/1ZvqRlk);

1.2.4. საბანკო ბარათის ზოგადი პირობების და უსაფრთხოების წესებისაგან;

1.2.5. ნებისმიერი დამატებითი პირობებისაგან, დანართისაგან ან/და განაცხად(ებ)ისაგან (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც შეეხება არსებულ ან/და **ბანკის** მიერ მომავალში შეთავაზებულ საცალო საბანკო მომსახურებასა თუ **პროდუქტს** (შემდგომში - ”**პროდუქტები**“ ან „**პროდუქტი**” ან „**მომსახურება**“) და რომელიც საჭირო იქნება **კლიენტის** მიერ დამატებითი და/ან წინამდებარე **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული საბანკო მომსახურებ(ებ)ით სარგებლობისათვის.

1.3. წინამდებარე **პირობებით** გათვალისწინებული მომსახურების მიღების მიზნით **კლიენტი** ვალდებულია:

1.3.1. ყველა სახის მომსახურების და **პროდუქტის** გამოყენებისათვის გაეცნოს წინამდებარე **პირობებს;**

1.3.2. სრულად შეავსოს და ხელი მოაწეროს/დაეთანხმოს (მათ შორის ელექტრონული ფორმით) სათანადო **განაცხადს,** რითაც იმავდროულად ადასტურებს, და გარანტიას იძლევა, რომ: (ა) **განაცხადი** შეავსო სრულად; (ბ) მის მიერ **განაცხადში** შევსებული ინფორმაცია არის სწორი და უტყუარი; (გ) **განაცხადის** ხელმოწერამდე სრულად გაეცნო წინამდებარე **უნივერსალური ანგარიშის** მომსახურების პირობებსა და ტარიფებს;

1.3.3. საკუთარი თავის იდენტიფიცირების მიზნით წარმოუდგინოს **ბანკს** პირადობის დამადასტურებელი საბუთი, რომლის მონაცემები იქნება შეყვანილი **განაცხადში;**

1.4. **ბანკის** მიერ **კლიენტისათვის** შეთავაზებული **პროდუქტების, მომსახურების** ან/და **დისტანციური საბანკო მომსახურების არხების** ჩამონათვალი მოცემულია, მაგრამ არ შემოიფარგლება, წინამდებარე პუნქტით. **კლიენტის** მიერ აღნიშნული **მომსახურება, პროდუქტები** ან/და **დისტანციური საბანკო მომსახურების არხები** შესაძლებელია მიღებულ იქნას **სატარიფო პაკეტ(ებ)ში ბანკის** მიერ დადგენილი კომბინაციებით. ამასთან, ზოგიერთი **მომსახურების** მიღება **კლიენტის** მიერ შესაძლებელია მოხდეს დამოუკიდებლად, **ბანკის** მიერ დადგენილი წესების შესაბამისად:

1.4.1. **უნივერსალური ანგარიშის** გახსნა და საგადახდო მომსახურება;

1.4.2. **ბარათი** - VISA, MasterCard, ან სხვა საგადამხდელო სისტემის საბანკო ბარათი;

1.4.3. სმს ბანკი;

1.4.4. **ინტერნეტ ბანკი;**

1.4.5. **მობაილ ბანკი**;

1.4.6. მუდმივი საგადახდო დავალება/ Standing Order;

1.4.7. ავტომატური გადახდები / Direct Debit;

1.4.8. შემნახველი ანაბარი;

1.4.9. სპეციალური სავალუტო ანგარიში;

1.4.10. **eMoney ელექტრონული საფულე** (**კლიენტის** მოთხოვნის შემთხვევაში);

1.4.11. SmartPAY / USSD მენიუ;

1.4.12. **VISA Direct საბარათე გადარიცხვები**;

1.4.13. **MasterCard MoneySend საბარათე გადარიცხვები**;

1.4.14. **საბანკო ბარათის 3D უსაფრთხოების სერვისი**;

1.4.15. **უკონტაქტო წამკითხველი**;

1.4.16. ფულადი გზავნილები;

1.4.17. ვალუტის გაცვლა/კონვერტაცია;

1.4.18. **აგრო ანგარიში** და **აგრო ბარათი**;

1.4.19. **ტექნიკური ანგარიში**

1.5. თუ **კლიენტს** არ გააჩნია 1.4. პუნქტში ჩამოთვლილთაგან რომელიმე **პროდუქტით** ან/და **მომსახურებით** სარგებლობის უფლება, მას არ შეეხება **პირობებში** ამ **პროდუქტის/მომსახურების** აღმწერი შესაბამისი პუნქტები. ეს პუნქტები **კლიენტისათვის** ამოქმედდება შესაბამისი **პროდუქტით** ან/და **მომსახურებით** სარგებლობის უფლების მინიჭების შემდეგ.

1.6. **ბანკი** იტოვებს უფლებას, უარი განუცხადოს **კლიენტს** მომსახურების გაწევაზე, თუ **კლიენტმა** სათანადო წესით არ შეავსო, ხელი არ მოაწერა/არ დაუდასტურა ან **ბანკს** არ წარუდგინა **ბანკის** მიერ მოთხოვნილი რომელიმე დოკუმენტი **ბანკისათვის** მისაღები ფორმით და შინაარსით.

1.7. **ბანკი** დაიწყებს **კლიენტის** მომსახურებას **კლიენტის** მიერ შესაბამისი **განაცხადის** შევსებისა და **ბანკის** მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ. ამასთან, **ბანკს** უფლება აქვს, ერთპიროვნულად, საკუთარი შეხედულებისამებრ არ მიიღოს **განაცხადი** და უარი განუცხადოს **კლიენტს** მომსახურების გაწევაზე, მიზეზის გაცხადების გარეშე.

1.8. **ბანკს** უფლება აქვს შეამოწმოს **კლიენტის** მიერ მისთვის (ბანკისათვის) მიწოდებული ან/და **კლიენტის** შესახებ ნებისმიერი სხვა გზით მოპოვებული ინფორმაცია, რაზედაც **კლიენტი** აცხადებს ერთმნიშვნელოვან და უპირობო თანხმობას.

1.9. **კლიენტის** მიერ **პირობებში** აღწერილი რომელიმე **პროდუქტის** ან/და **მომსახურების** (ან მისი ნაწილის) **ბანკის** თანხმობით გამოყენება განიხილება როგორც **კლიენტის** თანხმობა წინამდებარე პირობების შესაბამისად აღნიშნული **პროდუქტით** სარგებლობის პირობებზე.

1.10. **ბანკი** იტოვებს უფლებას ნებისმიერ დროს ცალმხრივად შეცვალოს წინამდებარე **პირობებში** გათვალისწინებული წესები ან/და **ხელშეკრულების** სხვა შემადგენელ დოკუმენტებში მოყვანილი წესები, პირობები ან/და ტარიფები იმისათვის, რომ ისინი (პირობები) შესაბამისობაში მოვიდეს **ბანკში** დადგენილ ახალ წესებთან, შეცვლილ საბაზრო პირობებთან, საბანკო პრაქტიკასთან ან/და მარეგულირებელ კანონმდებლობასთან.

1.11. **ხელშეკრულების** და წინამდებარე **პირობების** განახლების/ცვლილებების შესახებ **კლიენტს** ეცნობება **ბანკის** მიერ განსაზღვრული წესით, ხოლო თუ **ბანკი** განახორციელებს დამატებითი **პროდუქტის** პირობების ჩამოყალიბებას/მომსახურების ჩართვას, აღნიშნული მომსახურებით სარგებლობა მოხდება შესაბამისი **განაცხად(ებ)ის** შევსების ან/და შესაბამისი **დანართ(ებ)ის კლიენტისათვის** მიწოდების საფუძველზე ან/და **ბანკის** მიერ დადგენილი სხვა წესით, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, **კლიენტის** ელექტრონული თანხმობის საფუძველზე. იმ შემთხვევაში თუ **ბანკი კლიენტს** არ გადასცემს შესაბამის **დანართს** ან **კლიენტი** არ გაეცნობა განახლებულ პირობებს, მაგრამ **კლიენტი** განახორციელებს/გააგრძელებს ახალი ან განახლებული **პროდუქტით**/მომსახურებით სარგებლობას იგულისხმება, რომ იგი აღნიშნული ქმედებით ეთანხმება იმ დროისათვის **ბანკში** არსებულ შესაბამისი მომსახურების პირობებს;

### 2. ტერმინთა განმარტებები

2.1. თუ წინამდებარე **პირობებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული ან/და მისი (პირობების) კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, ქვემოთმოცემულ ტერმინებს ენიჭებათ შემდეგი მნიშვნელობა:

2.1.1. **ანგარიში - კლიენტის** მონოსავალუტო ან/და მულტისავალუტო მიმდინარე ანგარიში,

2.1.2. **აგრო ანგარიში** - ფიზიკური პირის მონოსავალუტო, მიმდინარე საბარათე **ანგარიში,** რომელიც **მომხმარებელს** შესაძლოა გაეხსნას **აგრო ბარათით** სარგებლობის მიზნებისთვის და რომლით სარგებლობის პირობები და ტარიფებიც განისაზღვრება წინამდებარე **პირობებით.**

2.1.3. **აგრო ბარათი** - **ბანკის** მიერ ემიტირებული, ლოკალური საბანკო ბარათი, რომლითაც შესაძლებელია **აგრო ანგარიშიდან** სახსრების გახარჯვა და რომლის სარგებლობის პირობები და ტარიფები რეგულირდება წინამდებარე **პირობებით**.

2.1.4. **ანგარიშის ძირითადი ვალუტა** - მულტისავალუტო ანგარიშის უმაღლესი პრიორიტეტის მქონე ქვე-ანგარიშის ვალუტა;

2.1.5. **ამონაწერი - ბანკში** დადგენილი ფორმით შედგენილი ინფორმაცია, **კლიენტის უნივერსალურ ანგარიშზე** განხორციელებული ოპერაციებისა და ნაშთების შესახებ;

2.1.6. **აშშ დოლარი** ან **USD** ან **US$** - ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური ფულის ერთეული;

2.1.7. **ბანკი** - სს “ლიბერთი ბანკი” ( საიდენტიფიკაციო კოდი: 203828304), რომელიც წარმოადგენს **ხელშეკრულების მხარეს**;

---

[1] **ბანკის** დოკუმენტ(ებ)ში, რომელშიც გაკეთებულია მითითება „ლიბერთი ანგარიშის მომსახურების პირობებზე“, იგულისხმება წინამდებარე **პირობები**.

2.1.8. **ბანკის კომერციული სავალუტო გაცვლითი კურსი - ბანკის** მიერ ნაღდი და უნაღდო სავალუტო გაცვლითი ოპერაციებისათვის დადგენილი სავალუტო გაცვლითი კურსი. სავალუტო გაცვლითი კურსი განსაზღვრავს შესაძენი სავალუტო ერთეულის ღირებულებას იმ სავალუტო ერთეულში, რომლითაც ხორციელდება შესაძენი ვალუტის ყიდვა. **ბანკი** განსაზღვრავს კომერციულ სავალუტო გაცვლით კურსს საკუთარი შეხედულებისამებს ყოველ კალენდარულ დღეს ერთხელ ან მეტჯერ. **ბანკის** მიერ მოცემული კალენდარული თარიღის ნებისმიერ მომენტში განსაზღვრული კომერციული სავალუტო გაცვლითი კურსი მერყეობს საერთაშორისო სავალუტო სისტემა Bloomberg-ზე იმ მომენტში დაფიქსირებული სავალუტო გაცვლითი კურსის +/- 20%-იან (ოცი პროცენტი) კორიდორში. ამასთან **ბანკმა** შესაძლებელია დროის ნებისმიერ მომენტში დაადგინოს განსხვავებული კომერციული სავალუტო გაცვლითი კურსები სხვადასხვა სახის ოპერაციების განხორციელების მიზნით (მაგალითად კომერციული სავალუტო გაცვლითი კურსი უნაღდო და ნაღდი ანგარიშსწორებისათვის ან საზარათე ოპერაციების ასახვის მიზნით შესაძლებელია დროის ნებისმიერ მომენტში იყოს ერთმანეთისაგან განსხვავებული).

2.1.9. **ბანკომატი** - თვითმომსახურების ელექტრონული პროგრამულ–ტექნიკური მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც **კლიენტს** შეუძლია ნაღდი ფულის გამოტანა / შეტანა, სესხის **/ ოვერდრაფტის** გააქტიურება, თანხის გადარიცხვა, ანგარიშზე არსებული ნაშთის შესახებ ინფორმაციის მიღება, გადახდების განხორციელება და სხვა **ბანკის** მიერ ამ არხისათვის დაშვებული ოპერაციების ჩატარება.

2.1.10. **ბანკომატიდან თანხის განაღდების ლიმიტი - ბანკომატიდან** გარკვეული პერიოდის განმავლობაში (24 საათი, ან/და ერთი კალენდარული კვირა) გასანაღდებელი თანხის მაქსიმალური ოდენობა;

2.1.11. **ბანკომატის მეშვეობით ანგარიშზე თანხის შეტანის ლიმიტი - ბანკის** შესაბამისი ფუნქციონალით აღჭურვილი **ბანკომატის** მეშვეობით გარკვეული პერიოდის განმავლობაში დასაშვები თანხის შეტანის მაქსიმალური ოდენობა;

2.1.12. **ბარათი** ან **საბანკო ბარათი - ბანკის** მიერ ემიტირებული ძირითადი ან/და დამატებითი, ლოკალური ან საერთაშორისო **საბანკო ბარათი** (VISA, MasterCard, ან სხვა საგადამხდელო სისტემის ბარათი), საგადამხდელო საშუალება, რომელიც დაკავშირებულია **კლიენტის ანგარიშთან** და რომელსაც **კლიენტი** იყენებს წინამდებარე პირობებით **ბანკში** შესაბამისი დროისათვის მოქმედი ბარათების გამოყენების ზოგადი წესების მიხედვით; მულტისავალუტო **ანგარიშის ძირითადი ვალუტა** შესაძლოა განისაღვროს შემდეგი ვალუტებით: **ლარი, აშშ დოლარი, ევრო** ან **გირვანქა სტერლინგი**თუ რაიმე სხვა არ არის შეთანხმებული **ბანკსა** და **კლიენტს** შორის დადებული ხელშეკრულებით;

2.1.13. **პარტნიორი მერჩანტ(ებ)ი** - **ბანკის** კონტრაქტორი სავაჭრო ან/და მომსახურების ობიექტები, რომლებიც **ბანკთან** გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე სარგებლობენ **ბანკის პოს-ტერმინალის** მომსახურებით, რომლებთანაც შესაძლებელია საზარათე გადახდების ანგარიშსწორება, მათ შორის **აგრო ბარათზე** გააქტიურებული სუბსიდი(ებ)ის გახარჯვა ან/და **ბანკის მომხმარებლებს** სთავაზობენ სპეციალურ პირობებს **აგრო ბარათით** ანგარიშსწორების შემთხვევაში.

2.1.14. **განაცხადი - ბანკის** მიერ მატერიალური დოკუმენტის, ელექტრონული, ოპტიკური ან სხვა მსგავსი საშუალებ(ებ)ის, მათ შორის **დისტანციური საბანკო მომსახურების არხების** (**ინტერნეტ ბანკი**, **მობაილ ბანკი,** USSD მენიუ და სხვა), გამოყენებით შექმნილი და **კლიენტისათვის** მიწოდებული წერილობითი ან ციფრული ინფორმაცია, რომელსაც ეთანხმება **კლიენტი** ქმედებით (მაგ. ღილაკის დაჭერით, დოკუმენტის გაგზავნით, თანხის გადარიცხვით და ა.შ.) რაც ადასტურებს მის (კლიენტის) ნებას და ითვლება **კლიენტის** მიერ მატერიალურ დოკუმენტზე თანხმობის განცხადების / ნების გამოხატვის თანაბარი იურიდიული ძალის მქონედ. **განაცხადი** თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს;

2.1.15. **გახარჯვის სქემა - უნივერსალური ანგარიშიდან** თანხის გახარჯვის სქემა, მოიცავს ორ ოფციას: (ა) ნაშთის პრიორიტეტი - თუ **ოპერაციის** შესრულებისათვის **კლიენტს** შესაბამისი ვალუტის მქონე ქვე-ანგარიშზე (რომელიც მულტისავალუტო ანგარიშის შემადგენელი ნაწილია) არ გააჩნია საკმარისი დადებითი ნაშთი, ამ ქვე-ანგარიშზე ხდება კონვერტაცი(ებ)ით მულტისავალუტო ანგარიშში შემავალი სხვა ქვე-ანგარიშ(ებ)იდან თანხის შეგროვება. თანხის შეგროვებისას გაითვალისწინება ქვე-ანგარიშების პრიორიტეტულობა, ანუ პირველ რიგში თანხის კონვერტაცია ხდება უფრო მაღალი პრიორიტეტის მქონე ქვე-ანგარიშიდან. (ბ) **ოვერდრაფტის** პრიორიტეტი - თუ **ოპერაციის** შესრულებისათვის **კლიენტს** შესაბამისი ვალუტის მქონე ქვე-ანგარიშზე (რომელიც მულტისავალუტო ანგარიშის შემადგენელი ნაწილია) არ გააჩნია საკმარისი ხელმისაწვდომი ნაშთი, ამ ქვე-ანგარიშზე ხდება კონვერტაცი(ებ)ით მულტისავალუტო ანგარიშში შემავალი სხვა ქვე-ანგარიშ(ებ)იდან თანხის შეგროვება, ხელმისაწვდომი ნაშთების გათვალისწინებით. თანხის შეგროვებისას გაითვალისწინება ქვე-ანგარიშების პრიორიტეტულობა, ანუ პირველ რიგში თანხის კონვერტაცია ხდება უფრო მაღალი პრიორიტეტის მქონე ქვე-ანგარიშიდან. (**ოპერაციის** ვალუტაში **კლიენტის** ანგარიშზე არასაკმარისი ნაშთის არსებობისას ან ნაშთის არარსებობისას, **ოპერაციის** თანხა ჩამოიჭრება ან სხვა ვალუტის ანგარიშებზე არსებული ნაშთებიდან (ნაშთების პრიორიტეტი) ან **ოპერაციის** ვალუტაში არსებული **ოვერდრაფტიდან (ოვერდრაფტის** პრიორიტეტი) **კლიენტის** არჩევანის შესაბამისად. პრიორიტეტი ფიქსირდება განაცხადში);

2.1.16. **გირვანქა სტერლინგი** ან **GBP -** დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს ოფიციალური ფულის ერთეული;

2.1.17. **დავალება - კლიენტის** მიერ **ბანკისთვის** მიცემული **დავალება** გადახდის **ოპერაციის** განხორციელების თაობაზე, რომელსაც **კლიენტი** აძლევს **ბანკს** უშუალოდ ან/და **დისტანციური საბანკო მომსახურების არხების** გამოყენებით, წინამდებარე პირობების შესაბამისად;

2.1.18. **დამატებითი ბარათი - ბარათი**, რომელსაც **ბანკი** გასცემს **კლიენტზე** ან/და **კლიენტის** მიერ დასახელებულ სხვა პირზე (**დამატებითი ბარათის** მფლობელი); **დამატებითი ბარათი**, მიუხედავად თავისი მფლობელისა, არის დაკავშირებული **კლიენტის უნივერსალურ ანგარიშთან** და **დამატებითი ბარათით** შესრულებულ ნებისმიერ **ოპერაციაზე** პასუხს აგებს კლიენტი/ძირითადი **ბარათის** მფლობელი;

2.1.19. **დამატებით ბარათის მფლობელი -** პირი, რომლის სახელზეც, **კლიენტის** მოთხოვნით, არის გაცემული **დამატებითი ბარათი**;

2.1.20. **დამუშავება ან მონაცემთა დამუშავება** - განიმარტება პირობების 33.2. პუნქტის შესაბამისად;

2.1.21. **დისტანციური საბანკო მომსახურების არხი - ბანკი** მიერ განსაზღვრული მოწყობილობები, პროგრამული უზრუნველყოფები ან/და სხვადასხვა ელექტრონული არხები, რომლის გამოყენებითაც **კლიენტს** ეძლევა საშუალება მიიღოს წინამდებარე პირობებით განსაღვრული მომსახურება, მათ შორის აწარმოოს საბანკო ოპერაციები ან მიიღოს მის ანგარიშთან დაკავშირებული ინფორმაცია **ბანკში** მიუსვლელად;

2.1.22. **ევრო** ან **Euro** ან **EUR** - ევროკავშირის ზოგიერთი წევრი ქვეყნის, აგრეთვე მონტენეგროს, ანდორას, მონაკოს, სან მარინოს, ვატიკანის და კოსოვოს ოფიციალური ფულის ერთეული;

2.1.23. **ვალუტების პრიორიტეტულობა** - ვალუტის პრიორიტეტულობა განსაზღვრავს იმ რიგითობას, რომლის მიხედვითაც **ბანკი (გახარჯვის სქემის** გათვალისწინებით) მოახდენს **კლიენტის** მულტისავალუტო ანგარიშის საბანკო ანგარიშებიდან თანხების ჩამოწერას შესაბამისი **ოპერაციის** განსახორციელებლად;

2.1.24. **ვერიფიცირებული ნომერი - კლიენტის** მიერ შესაბამის განაცხადში მითითებული მობილური ტელეფონის ნომერი, რომელიც ვერიფიკაციას გადის **ბანკში** დადგენილი პროცედურების შესაბამისად და **ბანკის** მიერ საკუთარი (**ბანკის)** შეხედულებისამებრ გამოიყენება **კლიენტთან** კომუნიკაციისას. **ვერიფიცირებულ ნომერზე** გაგზავნილი/**ვერიფიცირებული ნომრიდან** მიღებული შეტყობინება ან/და **ვერიფიცირებული ნომრიდან** გაცხადებული ნებისმიერი თანხმობა ჩაითვლება **კლიენტის** მიერ ნამდვილ შეტყობინებად/შეთავაზებად/თანხმობად.

2.1.25. **თანხის გადახარჯვა** ან **ოვერლიმიტი - კლიენტის უნივერსალურ** ანგარიშში შემავალ ერთ ან რამდენიმე ქვე-ანგარიშზე წარმოშობილი სადებეტო ნაშთ(ებ)ი, რომელიც წარმოიშვა **ბანკის** წინასწარი თანხმობის გარეშე;

2.1.26. **ინტერნეტ ბანკი - დისტანციური საბანკო მომსახურების** ერთ-ერთი არხი, რომლის მეშვეობითაც **კლიენტს** შესაძლებლობა აქვს **ბანკში** გამოუცხადებლად, **ბანკის** ინტერნეტ გვერდის https://my.libertybank.ge/ საშუალებით, მიიღოს სხვადასხვა ინფორმაცია და აწარმოოს განსაზღვრული საბანკო ოპერაციები;

2.1.27. **კანონმდებლობა** - საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, აგრეთვე საქართველოს ნორმატიულ აქტთა სისტემაში მოქცეული საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების ერთობლიობა;

2.1.28. **კლიენტი -** პირი, რომლის სახელი, გვარი და საიდენტიფიკაციო მონაცემები მოცემულია განაცხადში, რომლის სახელზეც, **ბანკის** თანხმობით, იხსნება **უნივერსალური ანგარიში** და რომელიც **განაცხადის** საფუძველზე სარგებლობს წინამდებარე პირობებით განსაზღვრული მომსახურებით/**პროდუქტებით**;

2.1.29. **მერჩანტი** – **მესამე პირი,** რომელიც საკუთარი პროდუქციის ან/და მომსახურების რეალიზაციის მიზნით სარგებლობს საგადახდო ოპერატორის მომსახურებით, კერძოდ საკუთარ კლიენტებთან ანგარიშსწორებას ახდენს მათ შორის და არამარტო **პოს ტერმინალის** მეშვეობით;

2.1.30. **მესამე პირ(ებ)ი** - პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მიზნისათვის, **ბანკის** მშობელი ან/და შვილობილი საწარმო, მისი აფილირებული ან/და ჯგუფის წევრი პირები, **ბანკის** კონტრაქტორები, მიმწოდებლები, პროვაიდერები ან/და სხვა პირები, რომლებიც „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის საფუძველზე ახორციელებენ **ბანკისაგან** მიღებული პერსონალური მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის **დამუშავებას (ბანკის** სახელითა და მიზნებისათვის, როგორც მისი უფლებამოსილი პირები, ასევე საკუთარი სახელითა და მიზნებისათვის - დამოუკიდებლად) ან/და **ბანკისათვის** მათი ან/და **ბანკის** კლიენტების შესახებ პერსონალური მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის მიწოდებას. **მესამე პირ(ებ)ის** ნუსხა მოცემულია წინამდებარე პირობების **#3 დანართში;**

2.1.31. **მობაილ ბანკი** - **დისტანციური საბანკო მომსახურების** ერთ-ერთი არხი, რომლის მეშვეობითაც **კლიენტს** შესაძლებლობა აქვს **ბანკში** გამოუცხადებლად, მობილური ტელეფონის საშუალებით, მიიღოს სხვადასხვა ინფორმაცია და აწარმოოს განსაზღვრული საბანკო ოპერაციები;

2.1.32. **მხარე / მხარეები - ბანკი** ან/და **კლიენტი** ან/და **დამატებითი ბარათის** მფლობელ(ებ)ი კონტექსტის შესაბამისად;

2.1.33. **ოვერდრაფტი -** დაბრუნების, ფასიანობის, უზრუნველყოფისა და ვადიანობის საწყისებზე **კლიენტის** ანგარიშზე ხელმისაწვდომი თანხა - საკრედიტო ლიმიტი, რომლითაც არაერთჯერადად, სრულად ან ნაწილობრივ სარგებლობს **კლიენტი** და რომელიც, თუ **ბანკსა** და **კლიენტს** შორის სხვა რამ არ არის შეთანხმებული, ავტომატურად დაიფარება **კლიენტის** ანგარიშზე თანხის ჩარიცხვისას/შეტანისას. ამასთან, **კლიენტის** მიერ **ოვერდრაფტით** სარგებლობის პირობები და ტარიფები განისაზღვრება „კრედიტის ხელშეკრულების სტანდარტული პირობების“ შესაბამისად, რომელსაც ეთანხმება **კლიენტი** შესაბამისი **განაცხადით**.

2.1.34. **ოპერაცია** ან **ტრანზაქცია -** ავტორიზაციის და შემდგომი ანგარიშსწორების **ოპერაციათა** ერთობლიობა, რომელიც ითვალისწინებს ნებადართული ოპერაციების

განხორციელებას **ბანკის** მომსახურების წერტილების, **ბარათის** ან/და **ბანკის დისტანციური საბანკო მომსახურების არხების** გამოყენებით, მათ შორის **ბარათის** ნომრის, PIN-ის, **წვდომის კოდების** ან სხვა საშუალებით;

2.1.35. **პერსონალური მონაცემები** - განიმარტება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და გულისხმობს ნებისმიერი ინფორმაციას, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს;

2.1.36. **პროდუქტი - ბანკის** მიერ წინამდებარე პირობების დანართის თანახმად შეთავაზებული საცალო საბანკო **პროდუქტი** ან/და მომსახურება;

2.1.37. **პოს ტერმინალი** - ელექტრონული პროგრამულ–ტექნიკური მოწყობილობა, რომელიც განკუთვნილია **ბარათის** გამოყენებით საქონლის ან/და მომსახურების საფასურის გადახდისათვის ან **ბარათის** მფლობელის ანგარიშიდან ნაღდი ფულის მიღებისათვის/გატანისათვის. **პოს ტერმინალი** შესაძლებელია იყოს როგორც ფიზიკური (ე.წ. POS ტერმინალი) ასევე ვირტულაური ან/და ჰიბრიდული. როგორც წესი ფიზიკური ტერმინალი გამოიყენება ბანკებში, სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში და ყველა სხვა ადგილას, სადაც ადგილი აქვს **ბარათის** მფლობელსა და საქონლის/მომსახურების მომწოდებელს შორის ფიზიკურ კონტაქტს (მაგალითად ბანკი, მაღაზია, ბენზინგასამართი სადგური და ა.შ.). ვირტუალური ტერმინალი, როგორც წესი გამოიყენება ინტერნეტით ანგარიშსწორების მიზნით - ანუ სიტუაციებში, როდესაც **ბარათის** მფლობელსა და საქონლის/მომსახურების მომწოდებელს შორის ფიზიკურ კონტაქტს ადგილი არ აქვს (მაგალითად ინტერნეტ მაღაზიები, კომუნალური და სხვა გადასახდელების გადახდისათვის განკუთვნილი ინტერნეტ გვერდები, ონლაინ კაზინოები და ტოტალიზატორები და ა.შ.);

2.1.38. **სააგენტო** ან **დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო** - „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისათვის შექმნილი დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო;

2.1.39. **საბანკო ბარათის 3D უსაფრთხოების სერვისი** ან **3D უსაფრთხოება** - მომსახურება, რომლის მიზანია უზრუნველყოს VISA და MasterCard-ის საერთაშორისო საგადამხდელო სისტემაში ჩართული **ბარათით** ინტერნეტის საშუალებით განხორციელებული ტრანზაქციების უსაფრთხოდ შესრულება;

2.1.40. **საბანკო დღე** - **ბანკის** მიერ დადგენილი სამუშაო დღის (**ბანკის** მიერ განსაზღვრული დასვენების ან/და **კანონმდებლობით** დადგენილი უქმე დღეების გარდა) ის ნაწილი, რომლის განმავლობაშიც **ბანკი** ახორციელებს საბანკო მომსახურებას. ამასთან, **ბანკში** დადგენილი სამუშაო დღეების და საათების ხანგრძლივობა, როდესაც შესაძლებელია **კლიენტის** საგადახდო **დავალების** მიღება, მოცემულია **პირობების** #5 დანართში;

2.1.41. **სატარიფო პაკეტი - ბანკის** მიერ დადგენილი **პროდუქტების** ერთობლიობა, რაც გულისხმობს ერთდროულად რამდენიმე საბანკო **პროდუქტით** ან/და მომსახურებით სარგებლობის უფლების მოპოვებას **სატარიფო პაკეტით** განსაზღვრული საკომისიოს (ასეთის არსებობისას) გადახდის სანაცვლოდ;

2.1.42. **სპეციალური სავალუტო ანგარიში** - ფიზიკური პირის მონოსავალუტო ანგარიში, რომელიც იხსნება **უნივერსალური ანგარიშის** ვალუტებისგან განსხვავებულ ერთ რომელიმე ვალუტაში. სპეციალური სავალუტო ანგარიშის შესაძლო ვალუტების ჩამონათვალი მოცემულია **პირობების** #1 დანართში;

2.1.43. **ტექნიკური ანგარიში** - ფიზიკური პირის მიმდინარე მონოსავალუტო **ანგარიში,** რომელზეც დასაშვებია მხოლოდ თანხის შეტანის ან/და გატანის ოპერაციები ნაღდი ანგარიშსწორებით **ბანკის** ფილიალებიდან და სერვის ცენტრებიდან და რომლის გახსნაც **კლიენტს** შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ იგი არ სარგებლობს **ბანკის** რომელიმე ფასიანი სატარიფო პაკეტით.

2.1.44. **უკონტაქტო წამკითხველი - ბანკომატზე** განთავსებული მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც PAY სისტემაში ჩართული **ბარათით** ან ID **ბარათით** შესაძლებელია **ბანკომატში ბარათის** განთავსების გარეშე **ბანკომატით** სარგებლობა;

2.1.45. **უნივერსალური** (იგივე ლიბერთი) **ანგარიში** - ფიზიკური პირის, მულტისავალუტო ანგარიში, რომელშიც გაერთიანებულია რამდენიმე სხვადასხვა ვალუტის საბანკო ქვე-ანგარიში, რომელზეც ცალ-ცალკე აღირიცხება თითოეული ვალუტის ნაშთები და რომელიც საბარათე-საპროცესინგო სისტემის მეშვეობით მიბმულია ერთ ძირითად საბანკო ბარათზე თუ **ბანკსა** და **კლიენტს** შორის გაფორმებული **ხელშეკრულებით** სხვა პირობა არ არის განსაზღვრული

2.1.46. **უმოძრაო ანგარიში** - წინამდებარე პირობებით განსაზღვრული საბანკო **ანგარიში,** რომელიც უკანასკნელი უწყვეტი 12 (თორმეტი) თვის განმავლობაში არ ყოფილა გამოყენებული **კლიენტის** მიერ (მათ შორის **ანგარიშზე** არ განხორციელებულა სადებეტო და საკრედიტო ოპერაციები);

2.1.47. **უფლებამოსილი მფლობელი - კლიენტი, დამატებითი ბარათის** მფლობელ(ებ)ი ან/და მისი / მათი უფლებამოსილი წარმომადგენელ(ებ)ი;

2.1.48. **ქართული ლარი** ან **ლარი** ან **GEL** - საქართველოს ოფიციალური ფულის ერთეული;

2.1.49. **ციფრული ბარათი** ან **თოქენი** - **ბარათის** უნიკალური ციფრული იდენტიფიკატორი, რომელიც გენერირდება და ინახება გადახდის ფუნქციონალის მქონე ელექტრონულ მოწყობილობაში შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით ან ელ. კომერციის მერჩანტის პროგრამულ უზრუნველყოფაში (ვებ-გვერდი ან /და აპლიკაცია) და მისი საშუალებით შესაძლებელია საგადახდო ოპერაციების შესრულება. **ციფრულ ბარათზე** ვრცელდება **კლიენტის** ყველა ის უსაფრთხოების მოთხოვნა და ვალდებულება რაც დაკავშირებულია პლასტიკურ **ბარათთან**. *

2.1.50. **ძირითადი ბარათი - ბარათი**, რომელსაც **ბანკი** გადასცემს უშუალოდ **ანგარიშის** მფლობელ პირს;

2.1.51. **წვდომის კოდები - ბარათის** PIN კოდები, პაროლები, მომხმარებლის სახელი ან/და ნებისმიერი სხვა სახის კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც **ბანკმა** შეიძლება **კლიენტს** მიაწოდოს სხვადასხვა საბანკო მომსახურებებთან უსაფრთხო წვდომისა და სარგებლობისათვის;

2.1.52. **ხარჯვის ლიმიტი - ბარათიდან** გარკვეული პერიოდის განმავლობაში თანხის ხარჯვის (რაც ასევე მოიცავს **ბანკომატიდან თანხის განაღდების ლიმიტს**) მაქსიმალური ოდენობა;

2.1.53. **eMoney -** კონტექსტიდან გამომდინარე სს ”იმანი ჯორჯია” (ს/კ 202376026) ან/და და შპს ”იმანი” (ს/კ 204557540) ცალ-ცალკე ან ერთობლივად, რომლებიც ახორციელებენ **eMoney ელექტრონული საფულით** მომსახურებას, **კლიენტის** მიერ ამგვარი მომსახურებით სარგებლობის სურვილის შემთხვევაში;

2.1.54. **eMoney ელექტრონული საფულე** - ფიზიკური პირის ელექტრონული ანგარიში, რომელიც წარმოადგენს რეგისტრირებულ ელექტრონულ ანგარიშს და მისი მოხმარების წესი რეგულირდება **eMoney ელექტრონული საფულით** მომსახურების პირობებით, რომელიც განთავსებულია **eMoney-ს** ვებ-გვერდზე (http://bit.ly/1ZvqRlk);

2.1.55. **H2H** - პირდაპირი ჰოსტინგი, რომელიც გულისხმობს ორ საგადახდო პროვაიდერს შორის ანგარიშსწორების განხორციელებას, საერთაშორის საგადამხდელოს სისტემის ჩარევის გარეშე;

2.1.56. **ID ბარათი** - მაღალტექნოლოგიური და გაყალბებისგან მეტად დაცული საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;

2.1.57. **LB PAY აპარატი /(365)-** თვითმომსახურების აპარატი, რომელიც განკუთვნილია როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო ანგარიშსწორების გზით საქონლის ან/და მომსახურების საფასურის გადახდისათვის, ელექტრონული **განაცხადის** წარსადგენად, სხვადასხვა საბანკო და არასაბანკო პროდუქციის მისაღებას;

2.1.58. **MasterCard MoneySend საბარათე გადარიცხვები** - MasterCard-ის საერთაშორისო საგადამხდელო სისტემაში ჩართული ერთი ბარათიდან იმავე ან სხვა საგადამხდელოს სისტემაში ჩართულ ბარათზე თანხის გადარიცხვის და/ან ჩარიცხვის **ოპერაცია**, რომელიც შეიძლება განხორციელდეს როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე საზღვარგარეთ შესაბამისი ფინანსური ინსტიტუტის მიერ განსაზღვრული არხებით და პირობებით.

2.1.59. **VISA Direct საბარათე გადარიცხვები -** Visa საერთაშორისო საგადამხდელო სისტემაში ჩართული ერთი ბარათიდან იმავე ან სხვა საგადამხდელოს სისტემაში ჩართულ ბარათზე თანხის გადარიცხვის და/ან ჩარიცხვის **ოპერაცია**, რომელიც შეიძლება განხორციელდეს როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე საზღვარგარეთ შესაბამისი ფინანსური ინსტიტუტის მიერ განსაზღვრული არხებით და პირობებით.

## 3. კლიენტის განცხადებები

3.1. **კლიენტი** წინამდებარე პირობებით გათვალისწინებულ **განაცხადზე** ხელმოწერით ან/და პირობებით გათვალისწინებული მომსახურებით სარგებლობით აცხადებს თანხმობას, რომ:

3.1.1. **კლიენტს** აქვს სრული უფლებამოსილება (ან მიიღებს შესაბამის უფლებამოსილებას), იმისათვის, რომ ხელი მოაწეროს და შეასრულოს ამ ხელშეკრულებით ან ნებისმიერი სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით და განაცხადებით გათვალისწინებული ვალდებულებები;

3.1.2. **კლიენტის** მიერ **ბანკისათვის განაცხადის** სახით ან სხვა რაიმე ფორმით წარდგენილი ინფორმაცია ზუსტი, უტყუარი და სრულია;

3.1.3. წინამდებარე **პირობებით** გათვალისწინებული **ოპერაცი(ებ)ის** შესრულებით არ დაირღვევა სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის პირობები ან **კლიენტის** სხვა ვალდებულებ(ებ)ი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან რაიმე სახის კანონი, დებულება, წესი, განკარგულება, სასამართლო გადაწყვეტილება, ბრძანება, მითითება, სასამართლო დადგენილება ან სახელმწიფოს, სახელმწიფო ან მარეგულირებელი ორგანოს, სასამართლო ან საარბიტრაჟო ორგანოს მიერ დაწესებული რაიმე შეზღუდვა, რომლის დაცვაზეც პასუხისმგებელია კლიენტი. ამ ხელშეკრულების პირობებით განსაზღვრული **ოპერაციის** შესრულება არ მოვა წინააღმდეგობაში ან არ დაარღვევს რაიმე სახის ხელშეკრულებას, კონტრაქტს, ლიცენზიას ან სხვა სახის შეთანხმებას, რომლის მხარესაც წარმოადგენს კლიენტი;

3.1.4. **კლიენტი** არ მონაწილეობს ან მას არ ემუქრება ისეთი სასამართლო პროცესი, რომელმაც შედეგად შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს მის ფინანსურ მდგომარეობასა ან საქმიანობაზე;

3.1.5. **კლიენტი** არ არის ჩაბმული ან არ მონაწილეობს არცერთი ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებულ რაიმე სახის უკანონო საქმიანობაში (მათ შორის ფულის გათეთრებაში, იარაღით ვაჭრობაში, ტერორიზმსა ან სხვა სახის უკანონო საქმიანობაში).

3.1.6. **კლიენტის** მიერ ელექტრონული ფორმით გაკეთებულ თანხმობას (მაგ. ეკრანზე თანხმობის ღილაკის დაჭერას ან/და სხვა ქმედებას, რომელიც მკაფიოდ

---

* **ციფრული ბარათის** სერვისი ხელმისაწვდომია მხოლოდ Visa და MasterCard ტიპის **ბარათებისათვის,** ამასთან Maestro-ს ტიპის **ბარათებისთვის** აღნიშნული სერვისი არ არის ხელმისაწვდომი.

გამოხატავს **კლიენტის** ნებას) ან **მხარეთა** შორის ელექტრონული ფორმით დადებულ ნებისმიერ გარიგებას (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად აღნიშნული გარიგების დადებაზე ელექტრონული ფორმით ნების გამოვლენას/დათანხმებას) აქვს მატერიალური დოკუმენტის თანაბარი იურიდიული ძალა (მატერიალურ დოკუმენტზე პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა).

3.2. აღნიშნული განცხადებები ძალაშია ამ **ხელშეკრულების** მთელი ვადის განმავლობაში.

3.3. **კლიენტი** ყველანაირი საშუალებით უზრუნველყოფს, რომ მასთან დაკავშირებულმა პირებმა (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს **დამატებითი ბარათის** მფლობელ(ებ)ს) ამ **ხელშეკრულების** მთლიანი ვადის განმავლობაში არ განახორციელონ ისეთი ქმედება, რომელიც გამოიწვევს წინამდებარე დოკუმენტში მოყვანილი გარანტიების დარღვევას.

3.4. ამ **ხელშეკრულების** ძალაში შესვლის შემდეგ **კლიენტი** დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს **ბანკს** ისეთი გარემოებების შესახებ, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს ამ **ხელშეკრულებაში** მოცემული გარანტიების დარღვევა ან წინააღმდეგობაში მოვიდეს აღნიშნულ განცხადებებთან.

3.5. აღნიშნული განცხადებების დარღვევის შემთხვევაში (რითაც არ იზღუდება **ბანკის** უფლება მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც გამოწვეული იქნება გარანტიების ამგვარი დარღვევით), თუ **კლიენტი** ვერ შეძლებს ამ დარღვევის აღმოფხვრას დარღვევის შესახებ შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) **საბანკო დღის** განმავლობაში, **კლიენტი** თანახმაა **ბანკს** აუნაზღაუროს და დაიცვას **ბანკი** ნებისმიერი ზარალისაგან (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს შედეგობრივ ზარალს), საჩივრისაგან, ხარჯისაგან (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს იმ ხარჯებს, რომლებსაც **ბანკი** გაიღებს საკუთარი უფლებების განსახორციელებლად), იურიდიული პროცესისაგან და ნებისმიერი სხვა ვალდებულებისაგან, რომელიც ამგვარი დარღვევის შედეგად შეიძლება წარმოიშვას.

## ნაწილი II

### 4. უნივერსალური ანგარიში

4.1. **უნივერსალური ანგარიში** არის ფიზიკური პირის ანგარიში, რომელშიც გაერთიანებულია რამდენიმე სხვადასხვა ვალუტის საბანკო ქვეანგარიში, რომელზეც ცალ-ცალკე აღირიცხება თითოეული ვალუტის ნაშთები და რომელიც საბარათე-საპროცესინგო სისტემის მეშვეობით მიბმულია ერთ ძირითად საბანკო ბარათზე, რომელზეც აღირიცხება ჯამური ხელმისაწვდომი ნაშთი, რომელიც თავის მხრივ, წარმოადგენს **უნივერსალურ ანგარიშში** შემავალი ყველა ქვეანგარიშის ინდივიდუალური ნაშთის ჯამს. **უნივერსალური ანგარიში** გაეხსნება **კლიენტს განაცხადის** შევსების, სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენისა და შესაბამისი საკომისიოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდის შემდეგ.

4.2. **კლიენტს** უფლება აქვს:

4.2.1. **ბანკის** თანხმობის შემთხვევაში ჰქონდეს რამდენიმე **უნივერსალური ანგარიში;**

4.2.2. მისცეს **ბანკს დავალებები უნივერსალურ ანგარიშზე ოპერაციების** საწარმოებლად **კანონმდებლობით** განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში;

4.2.3. **განაცხადით** განსაზღვროს **ანგარიშის ძირითადი ვალუტა**, **ვალუტების პრიორიტეტი** და **გახარჯვის სქემა;**

4.2.4. შეცვალოს **უნივერსალური ანგარიშის ძირითადი ვალუტა**, **ვალუტების პრიორიტეტი** ან **გახარჯვის სქემა**, რისთვისაც **ბანკს** გადაუხდის შესაბამის საკომისიოს (ასეთის არსებობისას). **უნივერსალური ანგარიშის ძირითადი ვალუტა** შესაძლოა განისაღვროს შემდეგი ვალუტებით: **ლარი**, **აშშ დოლარი**, **ევრო** ან **გირვანქა სტერლინგი**, თუ რაიმე სხვა არ არის შეთანხმებული **ბანკსა** და **კლიენტს** შორის დადებული ხელშეკრულებით;

4.2.5. წაუყენოს **ბანკს** პრეტენზიები ანგარიშიდან **ამონაწერის** მიღებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის განმავლობაში. აღნიშნულ ვადაში **კლიენტის** მხრიდან პრეტენზიის მიუღებლობის შემთხვევაში, **ამონაწერში** არსებული ინფორმაციის სისწორე ითვლება დადასტურებულად **კლიენტის** მიერ.

4.2.6. შეწყვიტოს **ხელშეკრულება**, წინამდებარე **პირობებით** დადგენილი წესით, **ბანკისათვის** წინასწარი წერილობითი შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე.

4.3. **კლიენტი** ვალდებულია:

4.3.1. **უნივერსალურ ანგარიშზე ამონაწერის** მიღებიდან 1 (ერთი) **საბანკო დღის** ვადაში შეატყობინოს **ბანკს** შეცდომით ჩარიცხული თანხის შესახებ და დაუბრუნოს **ბანკს** შეცდომით ჩარიცხული თანხა;

4.3.2. პასუხი აგოს **განაცხადის** შევსების სისწორეზე და მასში მითითებული ინფორმაციის ყველა ცვლილების შესახებ, დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინოს **ბანკს;**

4.3.3. **ბანკში** მოქმედი ტარიფების შესაბამისად გადაიხადოს საბანკო ოპერაციების წარმოებისათვის, ასევე, ანგარიშის მომსახურებისათვის **ბანკში** დადგენილი ყველა საკომისიო გადასახადი;

4.3.4. გადაუხადოს **ბანკს** ანგარიშზე არსებული **ოვერდრაფტის** (მათ შორის გადახარჯული თანხის/ოვერლიმიტის) სრული თანხა და საკომისიო **ბანკში** მოქმედი ტარიფების და წესების შესაბამისად;

4.3.5. **კლიენტი** ვალდებულია არ გამოიყენოს საბანკო მომსახურება, თუ ამას შედეგად მოჰყვება მისი ანგარიშის გადახარჯვა **ბანკის** წინასწარი თანხმობის გარეშე ან თუ მოხდება ხარჯვის შეთანხმებული ლიმიტის გადაჭარბება.

4.4. **ბანკს** უფლება აქვს:

4.4.1. დროებით გამოიყენოს **კლიენტის** ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრები საკრედიტო რესურსების სახით;

4.4.2. **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულებით** ან/და **ბანკთან** არსებული სხვა ნებისმიერი ხელშეკრულებ(ებ)ით (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად საკრედიტო ან/და უზრუნველყოფის ხეშეკრულებ(ებ)ით) ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შესრულების უზრუნველსაყოფად ან აღნიშნული შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, დაბლოკოს **კლიენტის** ანგარიში;

4.4.3. **კლიენტის ბანკში** არსებული ნებისმიერი ანგარიშიდან უაქცეპტოდ ჩამოწეროს ყველა გადასახდელი/გადასახადი (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად საბანკო ოპერაციების წარმოებისათვის და ანგარიშის მომსახურებისათვის **ბანკში** დადგენილი საკომისიო მოსაკრებლები, **სატარიფო პაკეტის** ღირებულება (ასეთის არსებობისას), საქართველოს **კანონმდებლობით** განსაზღვრული გადასახადები/გადასახდელები, შეცდომით ჩარიცხული თანხები, ზიანის/ზარალის ანაზღაურების თანხები) და მიმართოს ისინი **ბანკის** ან/და მესამე პირების წინაშე არსებული ვალდებულებების დასაფარად/შესამცირებლად;

4.4.4. შეამციროს **კლიენტის** ნებისმიერ ანგარიშზე ხელმისაწვდომი ნაშთი და ამგვარად დაბლოკოს, დაარეზერვოს შესაბამისი თანხები **კლიენტის ბანკის** წინაშე არსებული ვალდებულების შეუფერხებლად დაფარვის მიზნით, რაც მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება **კლიენტის** საკრედიტო ვალდებულებებით, მიმდინარე ან/და მომდევნო გადასახდელებით/დავალიანებებით;

4.4.5. თუ **ოპერაციის** განხორციელების მომენტში გადახდის საწარმოებლად თავისუფალი სახსრები არ არის საკმარისი, საკუთარი გადაწყვეტილებისამებრ, შეაჩეროს **ოპერაცია** ან არ გასცეს მასზე ავტორიზაცია;

4.4.6. შეუწყვიტოს **კლიენტს დისტანციური საბანკო არხებით მომსახურება,** თუ მას **ბანკში** აღარ გააჩნია **უნივერსალური ანგარიში.**

4.5. **ბანკი** ვალდებულია:

4.5.1. დროულად დააკრედიტოს ანგარიშზე ჩარიცხული თანხები და კუთვნილებისამებრ გადარიცხოს ანგარიშიდან წინამდებარე **პირობებით** დადგენილ ვადაში;

4.5.2. ჩამოწეროს **კლიენტის დავალებით,** ხოლო **კანონმდებლობით** და **ხელშეკრულებით** გათვალისწინებულ შემთხვევაში, **დავალების** გარეშეც, შესაბამისი თანხები **კლიენტის** ანგარიშიდან მათი კრედიტორების ანგარიშებზე გადასარიცხად;

4.5.3. მიიღოს **კლიენტისაგან** და მისცეს მას ან გასცეს მისი **დავალებით** ნაღდი ფული;

4.5.4. **კლიენტს** ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს **ბანკში** არსებული პროცედურების შესაბამისად გადასცეს ანგარიშის **ამონაწერი ბანკში** მოქმედი ტარიფებით განსაზღვრული საკომისიო მოსაკრებლის საფასურად.

4.6. ანგარიშ(ებ)ზე განხორციელებული **ოპერაციები:**

4.6.1. **კლიენტი** უფლებამოსილებას ანიჭებს **ბანკს** მიიღოს და იმოქმედოს მისი **დავალებების** შესაბამისად, რომელსაც **კლიენტი ბანკს** მიაწოდებს წერილობით, ელექტრონული საშუალებით ან **ბანკისათვის** მისაღები სხვა ფორმით. იმ შემთხვევაში, როდესაც **კლიენტის დავალებები** წერილობითი ფორმით არ არის განხორციელებული, კერძოდ, **კლიენტის** მიერ არ არის ხელმოწერილი, **ბანკს** აქვს უფლება მიიღოს და განახორციელოს ისინი, თუ დაცულია **ბანკში** დაწესებული უსაფრთხოების პროცედურა;

4.6.2. **კლიენტს** მუდმივად უნდა ჰქონდეს თავისუფალი სახსრები (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გულისხმობს დაშვებული **ოვერდრაფტის** თანხას) ანგარიშზე, სანამ:

4.6.2.1. **კლიენტი** სარგებლობს მუდმივი საგადასახადო დავალებისა ან/და ავტომატური გადახდების მომსახურებით;

4.6.2.2. **კლიენტი** ახორციელებს **ოპერაციას დისტანციური საბანკო მომსახურების არხების** (მათ შორის **ბარათის**) საშუალებით;

4.6.2.3. ვადა უწევს ნებისმიერი სხვა **ოპერაციის** განხორციელებას, რომლის თანხებიც ჯერ არ არის ანგარიშიდან ჩამოჭრილი;

4.6.3. **ბანკის** შესაბამისი ფუნქციონალით აღჭურვილი **ბანკომატის** მეშვეობით **კლიენტს** შესაძლებლობა აქვს განახორციელოს ანგარიშზე თანხის შეტანის **ოპერაცია** VISA/MasterCard ტიპის ბარათების გამოყენებით **ბანკის** მიერ განსაზღვრული წესების შესაბამისად. **ბანკომატის** გამოყენებით ანგარიშზე თანხის შეტანის ოპერაციის განსახორციელებლად **კლიენტმა** უნდა მიუთითოს სასურველი ანგარიში და **ბანკომატის** თანხის მიმღებში განათავსოს შესატანი თანხა.

4.6.4. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტის** მიერ **ბანკომატის** თანხის მიმღებში განთავსებული თანხა (დასაშვებ ვალუტაში) განსხვავდება არჩეული ანგარიშის ვალუტისაგან, **კლიენტის** მიერ არჩეულ ანგარიშზე ჩაირიცხება ანგარიშის ვალუტაში კონვერტირებული თანხა. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ ვალუტის გაცვლის **ოპერაციის** ინიცირების/დადასტურების შემდეგ, ოპერაციის სრულად დასრულებამდე, შეიცვლება **ბანკის კომერციული სავალუტო გაცვლითი კურსი**, ვალუტის კონვერტაცია შესრულდება **კლიენტის** ანგარიშზე თანხის ასახვის მომენტში არსებული **ბანკის კომერციული სავალუტო გაცვლითი კურსის** შესაბამისად, მიუხედავად **ბანკის კომერციული სავალუტო გაცვლითი კურსის თაობაზე**, **კლიენტისთვის** ოპერაციის ინცირების/დადასტურების მომენტში მიწოდებული ინფორმაციისა.

4.6.5. **კლიენტი** ვალდებულია ყურადღებით გაეცნოს **ბანკომატში** თანხის მიღებასთან და ოპერაციის შესრულებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ პირობას/შეზღუდვას/მითითებას და ოპერაციის განხორციელებისას მიყვეს

**ბანკომატის** მიერ გაცემულ ინსტრუქციებს, რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს **კლიენტის** ვალდებულებას **ბანკომატში** არ განათავსოს დაზიანებული, დასვრილი, დაკეცილი, შეკრული, ყალბი კუპიურები. აგრეთვე დაუშვებელია **ბანკომატის** თანხის მიმღებში მონეტების ან/და სხვადასხვა ვალუტის კუპიურების ერთდროულად განთავსება. **ბანკომატის** თანხის მიმღებში ერჯერადად დასაშვები კუპიურების მაქსიმალური ოდენობა განსისაზღვრება წინამდებარე **პირობების** #1 დანართით. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, წინამდებარე პუნქტში მოცემული ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და **ბანკომატის** გამოყენებით ანგარიშზე თანხის შეტანის შეფერხება/შეუძლებლობა შესაძლებელია გამოწვეული იყოს სხვა გარემოებ(ებ)ით. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი **კლიენტის** მიერ წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან/და **კლიენტის** უყურადღებობის გამო დამდგარ ნებისმიერ შედეგზე, მათ შორის და არა მხოლოდ **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი ოპერაციის შესრულებისთვის განკუთვნილი დროის ამოწურვის შედეგად თანხის დაკავებით გამოწვეულ ნებისმიერ ზიანზე/ზარალზე.

4.6.6. **კლიენტი** პასუხისმგებელია ყველა **ოპერაციაზე,** რომელიც განხორციელდა ანგარიშზე როგორც მის დახურვამდე ასევე მისი დახურვის შემდეგ.

4.7. *უარი ფულადი შენატანის მიღებაზე*. **ბანკი** უფლებამოსილია, საკუთარი გადაწყვეტილებით ან/და **კანონმდებლობით** გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას არ მიიღოს ანგარიშზე შენატანი ან/და მოსთხოვოს **კლიენტს** ანგარიშის დახურვა.

4.8. *ანგარიშის დახურვა.* **ბანკი** უფლებამოსილია დახუროს ანგარიში შემდეგ შემთხვევებში; (ა) **კლიენტის** განცხადებით; (ბ) **კლიენტის** მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მოწმობის წარმოდგენისას; (გ) **კლიენტის** მხრიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში ანგარიშის მომსახურების საკომისიოს გადაუხდელობის ან/და **კლიენტის** ანგარიშზე ნაშთის არარსებობისას.

4.9. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტს** გააჩნია დავალიანება ანგარიშის მომსახურების საკომისიოს სახით, **ბანკი კლიენტის განცხადების** საფუძველზე ანგარიშს დახურავს მხოლოდ მას შემდეგ, რაც **კლიენტი** სრულად გადაიხდის აღნიშნულ დავალიანებას.

4.10. **ბანკი** უფლებამოსილია უარი განუცხადოს **კლიენტს** ანგარიშის დახურვაზე იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტს ბანკის** მიმართ გააჩნია დავალიანება.

4.11. **პირობების** 4.8. პუნქტის „გ" ქვეპუნქტის საფუძველზე **ბანკი** უფლებამოსილია ანგარიში დახუროს **კლიენტისათვის** წინასწარი შეტყობინების გაგზავნის გარეშე.

4.12. **კლიენტის** მხრიდან ახალი ანგარიშის გახსნის ან უკვე დახურული ანგარიშის ხელმეორედ გახსნის / გააქტიურების მოთხოვნის შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, უარი განუცხადოს **კლიენტს** თხოვნაზე ან შეასრულოს იგი მხოლოდ (ა) **კლიენტის** მხრიდან **ბანკისადმი** არსებული დავალიანების სრულად დაფარვის ან/და (ბ) ახალ გახსნილ ანგარიშზე ძველი ანგარიშის შეზღუდვების/ვალდებულებების გავრცელების პირობით.

4.13. თუ **ბანკი** თვლის, რომ **კლიენტმა** ანგარიში უნდა დახუროს, **კლიენტს ბანკის** მიერ განსაზღვრული კომუნიკაციის არხით გაეგზავნება წერილობითი თხოვნა, რომელშიც მითითებული იქნება პერიოდი, რომლის განმავლობაშიც **კლიენტს** მოეთხოვება ანგარიშის დახურვა. თუ აღნიშნული პერიოდის გასვლის შემდეგ **კლიენტი** არ დახურავს ანგარიშს, **ბანკს** უფლება აქვს აღარ მიიღოს გადახდები ანგარიშზე (ისეთი გადახდების გარდა, რომლებიც აუცილებელია ანგარიშზე რიცხული დავალიანების დასაფარად) და დაუბრუნოს **კლიენტს** ანგარიშზე რიცხული ნაშთი.

## 5. ბარათი

5.1. წინამდებარე პუნქტში მოცემული **ბარათის** მოხმარების პირობები ვრცელდება **კლიენტზე** და **კლიენტის** მოთხოვნის შესაბამისად **დამატებითი ბარათის მფლობელ(ებ)ზე** გაცემულ ყველა სახის **ბარათზე.**

5.2. **ბარათის** გამოყენება რეგულირდება საბანკო **კანონმდებლობით** და **ბანკსა** და საერთაშორისო საგადამხდელო სისტემებს VISA Inc., MasterCard Europe და UnionPay International–ს შორის სალიცენზიო ხელშეკრულებების პირობებით.

5.3. **ბარათის** მისაღებად **კლიენტმა ბანკს** უნდა წარუდგინოს სათანადოდ შევსებული და დამოწმებული **განაცხადი, ბანკის** მიერ განსაზღვრული ფორმით.

5.4. **ბარათ(ებ)ს ბანკი** ამზადებს **კლიენტის განაცხადის** საფუძველზე და მის შესაბამისად და გადასცემს **კლიენტს** სარგებლობაში (დალუქულ კონვერტში მოთავსებულ, ან/და **განაცხადში** დაფიქსირებულ მობილური ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების მეშვეობით, ან/და **ბანკის** მიერ განსაზღვრული სხვა ელექტრონული ფორმით გაგზავნილ **წვდომის კოდთან** (PIN-კოდი) ერთად) **ანგარიშ(ებ)იდან ოპერაციების** საწარმოებლად. **ბარათი** წარმოადგენს **ბანკის** საკუთრებას.

5.5. **კლიენტს** შეუძლია **ბანკისაგან** მოითხოვოს ნებისმიერი მესამე პირისათვის **დამატებითი ბარათ(ებ)ის** და მათი შესაბამისი **წვდომის კოდების** გაცემა. **დამატებითი ბარათის** გაცემაზე **ბანკის** თანხმობის შემთხვევაში, **კლიენტი** ვალდებულია გააცნოს **დამატებით ბარათის მფლობელს** აღნიშნული პირობები. ამასთან, **კლიენტი** ვალდებულია, გადაიხადოს **დამატებითი ბარათის** და **წვდომის კოდების** გამოყენებით განხორციელებული ოპერაციების საფასური და სხვა შესაბამისი ხარჯები.

5.6. **კლიენტი** უფლებამოსილებას ანიჭებს **ბანკს,** რომ გადასცეს ინფორმაცია მისი კუთვნილი ანგარიშ(ებ)ის შესახებ **დამატებითი ბარათის მფლობელ(ებ)ს.** ეს ინფორმაცია მოიცავს, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, დეტალებს ანგარიშ(ებ)ის შესახებ, აგრეთვე, სხვა სახის ინფორმაციას, რომელიც აუცილებელია **დამატებითი ბარათ(ებ)ის** სათანადო გამოყენებისათვის.

5.7. ანგარიშზე რიცხული თანხების განკარგვა დასაშვებია **ბანკის** მიერ დადგენილი ლიმიტის ფარგლებში.

5.8. თუ დისტანციური **წვდომის კოდ(ებ)ით** განხორციელებული **ოპერაციების** თარიღი ემთხვევა არასამუშაო დღეს, საბანკო **ოპერაცია** განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

5.9. იმ შემთხვევაში, თუ **ბარათით** ან მისი (**ბარათის**) რეკვიზიტების გამოყენებით შესრულებული **ოპერაცია** განხორციელდა ისეთ ვალუტაში, რომელშიც **კლიენტს** არ გააჩნია ქვე-ანგარიში ან რომელშიც **კლიენტს** გააჩნია ქვე-ანგარიში, მაგრამ აღნიშნულ ქვე-ანგარიშზე არ ირიცხება **ოპერაციის** ასახვისათვის საკმარისი ნაშთი - ასეთი **ოპერაცია** აისახება **კლიენტის** ანგარიშზე კონვერტაციით საბანკო პროგრამაში **ოპერაციის** ასახვის დღეს არსებული **ბანკის კომერციული სავალუტო გაცვლითი კურსის** შესაბამისად. ამასთან, ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, **ბარათით** ჩატარებული ოპერაცაიები:

5.9.1. **ლარში**, **აშშ დოლარში**, **ევროში** და **გირვანქა სტერლინგში** აისახება **კლიენტის უნივერსალურ ანგარიშზე** იგივე ვალუტაში;

5.9.2. ნებისმიერ სხვა ვალუტაში აისახება **კლიენტის უნივერსალურ ანგარიშზე კლიენტის** მიერ არჩეულ პრიორიტეტულ ვალუტაში.

5.10. თუ **უფლებამოსილი მფლობელი ბარათის** დამზადებიდან 6 (ექვსი) თვის განმავლობაში არ მიაკითხავს **ბანკს ბარათის** მისაღებად, **ბანკი** უფლებამოსილია გააუქმოს **ბარათი.** ასეთ შემთხვევაში, **კლიენტს ბარათის** დამზადების/მომსახურების საკომისიო არ უბრუნდება.

5.11. **ბარათის** მოქმედების ვადის ამოწურვის შემთხვევაში **ბარათი** გაუქმდება.

5.12. **კლიენტს** უფლება აქვს:

5.12.1. **ბარათით** ჩაატაროს **ოპერაციები ხარჯვის ლიმიტის** ფარგლებში.

5.12.2. ყოველი მომდევნო თვის არაუგვიანეს მე-10 (ათი) კალენდარული დღისა **ბანკში** მიიღოს წინმსწრები თვის **ამონაწერი;**

5.12.3. გაასაჩივროს **ბარათით** განხორციელებული **ოპერაცია,** თუ თვლის, რომ ადგილი ჰქონდა არაავტორიზირებულ ან არასწორად განხორციელებულ **ოპერაციას**. ამასთან, **კლიენტის** მიერ რაიმე **ოპერაციის** გასაჩივრება არ აღნიშნავს **ბანკის** უპირობო ვალდებულებას აუნაზღაუროს **კლიენტს** აღნიშნული **ოპერაციების** ჩატარების შედეგად მიყენებული ზარალი. **კლიენტის** მიერ ოპერაციების გასაჩივრების თითოეული შემთხვევა განიხილება ინდივიდუალურად VISA Inc., MasterCard Europe და UnionPay International საგადამხდელო სისტემების მიერ დადგენილი წესების, საერთაშორისო და ქართულ საბანკო სექტორში დამკვიდრებული პრაქტიკის და მოქმედი **კანონმდებლობის** გათვალისწინებით;

5.12.4. წერილობით შეატყობინოს **ბანკს ბარათის** ვადის გასვლის შესახებ და მოითხოვოს ახალი **ბარათის** დამზადება;

5.13. **ბანკს** უფლება აქვს:

5.13.1. აუცილებლობის შემთხვევაში, **ბარათის** მოქმედების ვადის განმავლობაში შეცვალოს ის ახალი **ბარათით;**

5.13.2. გაუგზავნოს **უფლებამოსილ მფლობელს** შეტყობინება **ბანკისათვის ბარათის** დაბრუნების მოთხოვნით, თუ ოპერაციების ჩატარებისას წარმოიშვა საფუძვლიანი ეჭვი, რომ **ბარათი** გამოიყენება უკანონო ქმედებებისათვის;

5.13.3. **ბარათის** დაკარგვის შემთხვევაში **კლიენტს** ანგარიშიდან ჩამოაწეროს (არსებობის შემთხვევაში) ან დაბლოკოს, **ბარათის** დაკარგვიდან **ბანკში** შესაბამისი წერილობითი ან ზეპირი შეტყობინების მოსვლამდე პერიოდში, **ბარათით** ჩატარებული **ოპერაციების** ეკვივალენტი სახსრები;

5.13.4. **კლიენტის** ან/და **დამატებითი ბარათის მფლობელის** მიერ **ხელშეკრულების** დარღვევის, აგრეთვე **კლიენტის** გადახდისუუნარობის შემთხვევაში შეაჩეროს ან შეწყვიტოს **ბარათის** მოქმედება და მიიღოს აუცილებელი ზომები ბანკისადმი **კლიენტის** დავალიანების ამოსაღებად;

5.13.5. შეაჩეროს **ბარათის** მოქმედება არაკანონიერი ოპერაციების ჩატარების აღმოჩენის, აგრეთვე, VISA Inc., MasterCard Europe ან/და სხვა შესაბამისი საგადამხდელო სისტემების მიერ **ბარათის** არაკანონიერი გამოყენების დამადასტურებელი ინფორმაციის მოწოდებისთანავე;

5.13.6. წინასწარი შეტყობინების გარეშე შეწყვიტოს ნებისმიერი **ციფრული ბარათის** და იმ ელექტრონული პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერა. დაბლოკოს, შეზღუდოს, შეაჩეროს ან შეწყვიტოს **კლიენტის** მიერ **ციფრული ბარათის** გამოყენება **კლიენტის** მიერ ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში ან ციფრული ბარათის გამოყენებით, არაკანონიერი ოპერაციების/საქმიანობის თაობაზე ნებისმიერი გონივრული ეჭვის არსებობის შემთხვევაში.

5.13.7. საკუთარი შეხედულებისამებრ, უარი განუცხადოს **კლიენტს ბარათ(ებ)ის** გაცემასა და/ან აღდგენაზე;

5.13.8. მიზეზის მითითების გარეშე უარი განაცხადოს **კლიენტის** სახელზე **ციფრული ბარათის** გაცემაზე, როგორც კონკრეტული **ბარათის,** ასევე ელექტრონული მოწყობილობის, ვებ - გვერდის ან აპლიკაციის მიმართ.

5.13.9. **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულებით** ან/და **ბანკთან** არსებული სხვა ნებისმიერი ხელშეკრულებ(ებ)ით (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად საკრედიტო ან/და უზრუნველყოფის ხეშეკრულებ(ებ)ით) ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შესრულების უზრუნველსაყოფად ან აღნიშნული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში დაბლოკოს ნებისმიერი **ბარათი**/ანგარიში;

5.13.10. **კლიენტის ბანკში** არსებული ნებისმიერი ანგარიშიდან უაქცეპტოდ ჩამოწეროს ყველა გადასახდელი / გადასახადი (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად საბანკო ოპერაციების წარმოებისათვის და ანგარიშის მომსახურებისათვის **ბანკში**

დადგენილი საკომისიო მოსაკრებლები, **სატარიფო პაკეტის** ღირებულება, საქართველოს **კანონმდებლობით** განსაზღვრული გადასახადები / გადასახდელები, შეცდომით ჩარიცხული თანხები, ზიანის / ზარალის ანაზღაურების თანხები, ოვერლიმიტი/გადახარჯული თანხები) და მიმართოს ისინი **ბანკის** ან/და მესამე პირების წინაშე არსებული ვალდებულებების დასაფარად / შესამცირებლად.

5.13.11. ანგარიშიდან უაქცეპტოდ ჩამოწეროს **კლიენტზე** გაცემული ყველა **ბარათით,** მათ შორის **დამატებითი ბარათით** ჩატარებული, აგრეთვე საგადამხდელო სისტემა VISA Inc.-ის, MasterCard Europe-ის და UnionPay International-ის გავლით ბანკებისა და ორგანიზაციების მიერ წარდგენილი ოპერაციების ეკვივალენტი სახსრები **ბანკში** მოქმედი ტარიფების შესაბამისად გათვალისწინებულ საკომისიო მოსაკრებლებთან ერთად.

5.14. **კლიენტი** იღებს ვალდებულებებს:

5.14.1. **განაცხადის** ხელმოწერიდან 1 (ერთი) **საბანკო დღის** ვადაში ანგარიშ(ებ)ზე ჩარიცხოს თანხები ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით **ბარათის** ტიპისათვის **ბანკში** დადგენილი აუცილებელი შენატანის ოდენობით (ასეთის არსებობისას);

5.14.2. შეამოწმოს PIN კონვერტის მთლიანობა, რომელშიც მოთავსებულია PIN-კოდი/**წვდომის კოდი;**

5.14.3. რეგულარულად გაეცნოს და დაიცვას **ბანკის** მიერ შემუშავებული **საბანკო ბარათის** ზოგადი პირობები და უსაფრთხოების წესები, აგრეთვე მკაცრად დაიცვას **წვდომის კოდების** კონფიდენციალურობა რაც გულისხმობს, მაგრამ ამ შემოიფარგლება **კლიენტის** ვალდებულებით არ შეინახოს **წვდომის კოდები** ისეთი ფორმით ან ისეთ მატერიალურ ან ელექტრონულ მატარებლებზე, რომელიც იძლევა მათი დისკრედიტაციის და გამჟღავნების საშუალებას; არ გადასცეს **წვდომის კოდები** მესამე პირებს ან/და არ განახორციელოს **წვდომის კოდების** რაიმე სხვა ფორმით გამჟღავნება ამასთან, თუ **კლიენტი** სარგებლობს **ციფრული ბარათის** სერვისით, ვალდებულია დაიცვას იმ ელექტრონული საშუალებების (მათ შორის და არამხოლოდ, ელექტრონული მოწყობილობა, პროგრამა ან/და ვებ-გვერდი) და **წვდომის კოდების** უსაფრთხოება, რომლებიც გამოიყენება **თოქენის** სერვისით სარგებლობისათვის.

5.14.4. ელექტრონული მოწყობილობის დაკარგვის და **მესამე პირზე** გადაცემის შემთხვევაში, სადაც შენახულია **კლიენტის** საბარათე მონაცემები/**ციფრული ბარათი** ან/და ადგილი აქვს **კლიენტის** აუტენტიფიკაციის მონაცემების კომპრომენტირებას, **კლიენტი** ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ **ბანკს**.

5.14.5. შეინახოს **ბარათის** გამოყენებით წარმოებულ **ოპერაციებზე** არსებული ყველა დოკუმენტი და წარუდგინოს იგი **ბანკს** სადავო საკითხების წარმოშობისას;

5.14.6. ყოველი კალენდარული თვის ბოლოს გაეცნოს **ბარათის** მეშვეობით განხორციელებულ ყველა **ოპერაციას** და საჭიროების შემთხვევაში **კანონმდებლობით** დადგენილ ვადაში წერილობით გააპროტესტოს ამ **ოპერაციების** შესახებ ინფორმაცია. ამ ვადაში **ბანკისათვის** პრეტენზიის წერილობით განუცხადებლობის შემთხვევაში, აღნიშნული ინფორმაცია ითვლება დადასტურებულად და შემდგომ გაპროტესტებას აღარ ექვემდებარება;

5.14.7. **ბარათის** დაკარგვის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს **ბანკს.** საინფორმაციო ცენტრში ზეპირი **განაცხადის** საფუძველზე **ბარათი** იბლოკება საქართველოს მასშტაბით, ხოლო საერთაშორისო სტოპ სიაში **ბარათის** განთავსებაზე **კლიენტმა** უნდა მიმართოს **ბანკს** წერილობითი განცხადებით, რომელიც უნდა დამოწმდეს **კლიენტის** ან მისი უფლებამოსილი პირის ხელმოწერით. წინააღმდეგ შემთხვევაში **ბანკი** პასუხს არ აგებს იმ ფინანსურ ზიანზე, რომელიც შეიძლება მიადგეს **კლიენტს;**

5.14.8. დაკარგული **ბარათის** აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ დაუბრუნოს ის **ბანკს;**

5.14.9. ჩაატაროს **ბარათით** ოპერაციები მოცემული პირობების შესაბამისად;

5.14.10. **ბანკში** მოქმედი ტარიფების შესაბამისად გადაიხადოს ოპერაციების წარმოებისათვის, ასევე, ანგარიშისა და **ბარათ(ებ)ის** მომსახურებისათვის **ბანკში** დადგენილი ყველა საკომისიო გადასახადი, საჭიროების შემთხვევაში აანაზღაუროს **ბარათ(ებ)ის** დაკარგვასთან დაკავშირებული დანახარჯები;

5.15. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი:

5.15.1. **ბარათის** დაკარგვის შესახებ წერილობითი **განაცხადის** მიღებამდე და საერთაშორისო სტოპ სიაში მოთავსების მიზნით **კლიენტის** მიერ საკომისიოს გადახდამდე **ბარათით** განხორციელებულ უკანონო **ოპერაციაზე;**

5.15.2. **ბარათით** განხორციელებულ ნებისმიერ უკანონო **ოპერაციაზე**;

5.15.3. ცრუ შეტყობინების შედეგად **ბარათის** ბლოკირებაზე;

5.15.4. **ბარათის** მოქმედების შეჩერებაზე;

5.15.5. **ბარათის** მფლობელსა და **VISA Direct** ან **MasterCard MoneySend სერვისების** მომსახურე ბანკებს/ფინანსურ ინსტიტუტებს შორის წარმოქმნილ სადავო საკითხებზე;

5.15.6. დაგვიანებულ, არასწორ, არაკორექტულ ან შეუსრულებელ ოპერაციებზე, რომლებიც გამოწვეულია საერთაშორისო საგადამხდელო სისტემის ან ტექნიკური მიზეზების გამო;

5.15.7. **ბარათის** მეშვეობით ჩატარებული **ოპერაციის** კანონიერებაზე;

5.15.8. **ბარათის** მეშვეობით ჩატარებული **ოპერაციის კლიენტის** ანგარიშზე ფაქტიურად ასახვის ვადებზე, თუ აღნიშნული **ოპერაცია** ჩატარდა პოსტერმინალზე, რომელიც არ ეკუთვნის ბანკს. ამასთან, **ბარათის** მეშვეობით **ბანკის** კუთვნილ **პოს ტერმინალზე** ჩატარებული **ოპერაცია** აისახება **კლიენტის** ანგარიშზე ამგვარი **ოპერაციის** ჩატარების მომენტიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში;

5.15.9. იმ შესაძლო ზარალზე, რომელიც შეიძლება მიადგეს **კლიენტს ბარათის** მეშვეობით ჩატარებული **ოპერაციის** თარიღსა და აღნიშნული **ოპერაციის კლიენტის** ანგარიშზე ასახვის თარიღს შორის სავალუტო გაცვლითი კურსის ცვლილების შედეგად.

5.15.10. **ციფრული ბარათით** სარგებლობის ან **ციფრული ბარათის მესამე პირების** მიერ წარმოებულ ელექტრონულ მოწყობილობაში, ვებ-გვერდზე ან აპლიკაციაში შენახვის შემთხვევაში, აღნიშნული **მესამე პირებისათვის** გადაცემული კონფიდენციალური ან/და პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის უსაფრთხოებაზე.

5.16. **ბანკი** არ განიხილავს მიღებულ პრეტენზიებს, თუ **ბარათის** დაკარგვისას **უფლებამოსილი მფლობელის** მხრიდან დარღვეული იქნება **ხელშეკრულებით** განსაზღვრული **ბანკის** ინფორმირების წესები;

5.17. **კლიენტი** პასუხისმგებელია:

5.17.1. **ბარათის** მეშვეობით ჩატარებულ ყველა არაკანონიერ **ოპერაციაზე;**

5.17.2. **დამატებითი ბარათით** სარგებლობის შედეგად **ბანკის** წინაშე წარმოშობილ ვალდებულებებისათვის;

5.17.3. დამდგარი ზიანისათვის, თუ **ბანკისგან** დამოუკიდებელი მიზეზების გამო ანგარიში, **წვდომის კოდი** ან სხვა ინფორმაცია პლასტიკური **ბარათ(ებ)ისა** და მისი მფლობელ(ებ)ის შესახებ ცნობილი გახდა მესამე პირ(ებ)ისათვის;

5.17.4. ყველა **ოპერაციაზე,** რომელიც განხორციელდა ანგარიშზე მის დახურვამდე ან დახურვის შემდეგ;

5.17.5. **ბარათის** ან/და **წვდომის კოდის** გამოყენებით ჩატარებულ ნებისმიერი ტიპის **ოპერაციაზე;**

5.18. **კლიენტი** ვალდებულია აუნაზღაუროს **ბანკს** ზიანი, რომელიც წარმოიქმნება **ბარათის მფლობელის** მიერ წინამდებარე **ხელშეკრულების** პირობების დარღვევის გამო;

5.19. **ბანკი** ვალდებულია **კლიენტს** აუნაზღაუროს არაავტორიზებული გადახდის **ოპერაციის** თანხა თუ **კლიენტის** მიერ **ბანკისათვის** მიმართვა განხორციელდა არაავტორიზებული **ოპერაციის** შესრულებიდან 40 (ორმოცი) კალენდარული დღის ვადაში და **კლიენტის** მხრიდან ადგილი არ ჰქონია **კანონმდებლობით, ხელშეკრულებით** ან წინამდებარე **პირობებით** ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის ფაქტს.

5.20. თუ **კლიენტის** მხრიდან ადგილი არ ჰქონია **კანონმდებლობით, ხელშეკრულებით** ან წინამდებარე **პირობებით** ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის ფაქტს და **ბარათის** უკანონო მითვისებით ან უკანონო გამოყენების შედეგად ტრანზაქცია განხორციელდა საქართველოს ტერიტორიაზე, **კლიენტი** პასუხისმგებელია აღნიშნული არაავტორიზებული **ოპერაციის** შედეგად წარმოშობილი ზიანისთვის არაუმეტეს 100 (ასი) ლარისა.

## 6. სმს ბანკი

6.1. **ბანკი კლიენტის** მიერ **განაცხადში** დაფიქსირებულ მობილური ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების მეშვეობით აცნობებს **კლიენტს** ინფორმაციას მის მიერ განხორციელებული **ოპერაციის** შესახებ. აღნიშნული შეტყობინება განხორციელდება **ბანკში** დადგენილი ფორმით **ოპერაციის** შესრულებისთანავე;

6.2. სმს ბანკის მომსახურებით სარგებლობასთან დაკავშირებით **კლიენტთან** კომუნიკაციისას **ბანკი** უფლებამოსილი იქნება ისარგებლოს **ვერიფიცირებული ნომრით**.

6.3. **კლიენტი** ვალდებულია სმს ბანკის მომსახურებით სარგებლობისათვის **ბანკს** გადაუხადოს **ბანკის** მიერ დადგენილი საკომისიო;

6.4. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი დაგვიანებულ, არაკორექტულ ან შეუსრულებელ შეტყობინებებზე, რომლებიც გამოწვეულია ბანკისგან დამოუკიდებელი, მათ შორის ტექნიკური, მიზეზების გამო;

6.5. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი **კლიენტის** მიერ **განაცხადში** დაფიქსირებული ნომრის **(ვერიფიცირებული ნომრის)** შეცვლის, გასხვისების, მობილური ტელეფონის ან სიმ-**ბარათის** დაკარგვის, სხვისთვის გადაცემის და ნებისმიერი მსგავსი ვითარების შედეგად კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებით გამოწვეულ შედეგებზე.

6.6. **ბანკი** უფლებამოსილია საბანკო მომსახურების უსაფრთხოების ხელშეწყობის მიზნით, საკუთარი ინიციატივით გაუაქტიუროს **კლიენტს** სმს **ბანკი** უფასოდ მომსახურების პირობით. ამავდროულად, **ბანკს** უფლება აქვს ნებისმიერ დროს გაუთიშოს **კლიენტს** საკუთარი ინიციატივით გააქტიურებული სმს ბანკი.

## 7. ინტერნეტ ბანკი

7.1. **ინტერნეტ ბანკით** მომსახურებით სარგებლობისათვის **კლიენტს ბანკში** არსებული პროცედურების დაცვით გადაეცემა **ინტერნეტ ბანკით** სარგებლობისათვის საჭირო საიდენტიფიკაციო მონაცემები ან/და ელექტრონული საშუალებები ან/და მოწყობილობები, რომელთა გამოყენებითაც ხდება **კლიენტის** იდენტიფიკაცია. **კლიენტი** ვალდებულია ასეთი მოწყობილობების თუ საშუალებების გამართულობა შეამოწმოს მიღებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში.

7.2. **ბანკი** უფლებამოსილია შექმნას დამატებითი მექანიზმები **კლიენტის** საიდენტიფიკაციოდ.

7.3. **კლიენტის** მიერ **ინტერნეტ ბანკით** სარგებლობისას, იდენტიფიცირება არ ხდება ხელმოწერით ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით. ასეთ შემთხვევაში პიროვნების იდენტიფიცირება ხდება **კლიენტის** მიერ აუთენტირების დადგენის ელექტრონული პროცედურების გავლის შემდეგ, ნებისმიერი ქმედება,

რომელიც შესრულებულია მას შემდეგ, რაც ელექტრონულ სისტემაში მოხდა ნებადართული შეღწევა ნამდვილობის დადგენის ელექტრონული პროცედურების გავლის შემდეგ, ასეთი შეღწევა და შეღწევის შედეგად შესრულებული ნებისმიერი **ოპერაცია** ჩაითვლება **კლიენტის** მიერ სათანადოდ შესრულებულად და სამართლებრივი ძალის მქონედ.

7.4. **ბანკი** და **კლიენტი** ვალდებული არიან დაიცვან საიდენტიფიკაციო მონაცემების კონფიდენციალობა.

7.5. საიდენტიფიკაციო მონაცემების დაკარგვის შემთხვევაში **კლიენტი** ვალდებულია დაუყოვნებლივ მიმართოს **ბანკს,** რის საფუძველზეც **ბანკი** მოახდენს **კლიენტის უნივერსალურ ანგარიშზე ინტერნეტ ბანკის** მომსახურების შეჩერებას.

7.6. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერ დანაკარგსა ან ზიანზე რომელიც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გამოწვეულია ტექნიკური დეფექტით, ელექტრონული გადაცემის ხარვეზით, **ბანკის** ელექტრონულ სისტემებში, და სხვა ელექტრონულ საშუალებებში უკანონო შეღწევის გზით. ამასთანავე, **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერ დანაკარგსა ან ზიანზე, რომელიც გამოწვეული იქნა სერვისში შეფერხებით ან/და სერვისის გადატვირთვით რომელიც გავლენას ახდენს ელექტრონული სისტემების ფუნქციონირებაზე.

7.7. ნებისმიერი ტექნიკური საშუალება, რომელსაც **ბანკი** გადასცემს **კლიენტს** წარმოადგენს **ბანკის** საკუთრებას და **კლიენტის** მიერ გამოყენებული უნდა იქნას წინამდებარე პირობებში გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

7.8. **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტის** აქტიურ **ოპერაციებზე** ცალმხრივად დააწესოს შეზღუდვები.

7.9. **ბანკი** უფლებამოსილია შეასრულოს **კლიენტის** მიერ ინტერნეტ-**ბანკის** საშუალებით გაგზავნილი **დავალება.** ასეთი სახით გაგზავნილი **დავალება ბანკის** მიერ ჩაითვლება უფლებამოსილი პირის მიერ გაგზავნილად. **კლიენტის** მიერ **დავალების ინტერნეტ-ბანკის** საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია ცალხმრივად უარი თქვას ინდივიდუალური **დავალების** შესრულებაზე, იმ შემთხვევაში თუ ანგარიშზე არსებული ნაშთი არ არის საკმარისი აღნიშნული **დავალების** შესასრულებლად ან მიღებული **დავალების** ოდენობა აჭარბებს **ბანკის** მიერ დადგენილ ყოველდღიურ ლიმიტს.

7.10. **კლიენტი** აცნობიერებს რისკს, რომ **ინტერნეტ ბანკით** სარგებლობა დაკავშირებულია ელექტრონული სახით ინფორმაციის გაცვლასთან და აქედან გამომდინარე პასუხისმგებელია ნებისმიერი მესამე პირის მიერ ელექტრონულ სისტემაში უკანონო შეღწევით გამოწვეულ ზიანზე.

7.11. **კლიენტი** აცნობიერებს და თანხმდება, რომ **ბანკს** ნებისმიერ დროს აქვს უფლება განათავსოს სავალდებულო ძალის მქონე წერილობითი განცხადება (დისქლეიმერი) ელექტრონული სახით ინფორმაციის განთავსების და მიწოდების ადგილას.

7.12. **კლიენტი** აცნობიერებს და თანხმდება, რომ **ბანკს** ნებისმიერ დროს აქვს უფლება დააწესოს შეზღუდვა მის მიერ მომსახურების გაწევაზე ან **კლიენტის** მიერ საბანკო **პროდუქტის** გამოყენებაზე უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე.

7.13. **კლიენტი** ვალდებულია:

7.13.1. უსაფრთხოდ შეინახოს **ინტრენეტ-ბანკით** სარგებლობისათვის საჭირო ნებისმიერი ინფორმაცია, მოწყობილობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და **წვდომის კოდები. კლიენტს** ეკრძალება აღნიშნული ინფორმაციის გამჟღავნება ნებისმიერი მესამე პირისათვის;

7.13.2. **ინტერნეტ ბანკში** პირველივე შესვლისას შეცვალოს **წვდომის კოდი** და შემდგომში პერიოდულად ცვალოს იგი უსაფრთხოების დაცვის მიზნით, და დაიცვას მისი კონფიდენციალურობა;

7.13.3. **წვდომის კოდის** და მოწყობილობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაკარგვის ან გამჟღავნების შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს **ბანკს.**

7.14. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი შედეგებზე, რომლებიც გამოწვეულია **კლიენტის** ან სხვა პირის კუთვნილი კომპიუტერის, ქსელის ან პროგრამული უზრუნველყოფის გაუმართაობით, ასევე აღნიშნული საშუალებების გამოყენებით მესამე პირ(ებ)ის მიერ კონფიდენციალური ინფორმაციის მიღებით ან განხორციელებული **ოპერაციებით.**

7.15. **კლიენტი** ადასტურებს, რომ **ინტერნეტ ბანკის** საშუალებით შესრულებულ **ოპერაციებს** აქვთ ანგარიშის განკარგვაზე უფლებამოსილი პირის მიერ დადასტურებული (წერილობითი ფორმით შესრულებული და ხელმოწერილი) ქაღალდზე დაბეჭდილი საბუთის თანაბარი იურიდიული ძალა.

7.16. თუ **კლიენტი** 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში არ ისარგებლებს **ინტერნეტ ბანკით** და არ გაივლის აუთენტიფიკაციას, **ბანკი** უფლებამოსილი იქნება შეაჩეროს **კლიენტის** როგორც **ინტერნეტ ბანკით,** ასევე **მობაილ ბანკით** მომსახურება. მომსახურების აღდგენა განხორციელდება მას შემდეგ რაც **კლიენტი, ბანკის** მიერ დადგენილი წესით, მიმართავს **ბანკს** ხელახალი აქტივაციის მოთხოვნით.

## 8. მუდმივი საგადახდო დავალება

8.1. **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული მუდმივი საგადახდო დავალების მომსახურების მოთხოვნის შემთხვევაში **ბანკს** შესაძლებლობა ეძლევა, **უნივერსალური ანგარიშიდან** უაქცეპტო წესით ჩამოჭრას და გადარიცხოს წინასწარ განსაზღვრული თანხები ან ანგარიშზე არსებული თანხების წინასწარ შეთანხმებული ნაწილი წინასწარ განსაზღვრულ ანგარიშ(ებ)ზე წინასწარ განსაზღვრულ თარიღებში.

8.2. მუდმივი საგადახდო დავალების მომსახურების ჩართვა **კლიენტისათვის** მოხდება მის მიერ **განაცხადის** შევსების შემდეგ, ამავე **განაცხადში** მითითებული პარამეტრების შესაბამისად.

8.3. **კლიენტის** ამგვარი მუდმივი საგადახდო დავალების მომსახურების განხორციელება დამოკიდებულია იმაზე, არსებობს თუ არა საკმარისი თანხები **კლიენტის** ანგარიშ(ებ)ზე, რომლებიც მითითებულია შევსებული ავტომატური გადარიცხვების **განაცხადის** ფორმაში;

8.4. **მხარეები** თანხმდებიან, რომ მუდმივი საგადახდო დავალების შესასრულებლად **ბანკის** მიერ შექმნილ ელექტრონულ საგადახდო საბუთებს აქვთ ქაღალდზე დაბეჭდილი და ანგარიშის განკარგვის უფლებამოსილების მქონე პირის მიერ ხელმოწერით დადასტურებული ქაღალდის საბუთის თანაბარი იურიდიული ძალა.

8.5. **კლიენტი** უფლებამოსილია:

8.5.1. შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები სერვისზე რეგისტრაციის თავდაპირველ **განაცხადში** დაფიქსირებულ მონაცემებში;

8.5.2. უარი განაცხადოს სერვისით სარგებლობაზე.

8.6. **ბანკი** უფლებამოსილია:

8.6.1. არ შეასრულოს მუდმივი საგადახდო დავალება **კლიენტის** ანგარიშზე არასაკმარისი თანხის არსებობისას;

8.6.2. არ შეასრულოს მუდმივი საგადახდო დავალება **კანონმდებლობით** განსაზღვრულ შემთხვევებში, ასევე **ბანკის** წინაშე **კლიენტის** დავალიანების არსებობისას;

8.6.3. **კლიენტის** ანგარიშზე თანხის არსებობისას/ხელმისაწვდომობისას შეასრულოს მუდმივი საგადახდო დავალება **კლიენტის** მიერ განაცხადში მითითებულ კალენდარულ თარიღში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული თარიღი ემთხვევა **კანონმდებლობით** დადგენილ არასამუშაო დღეს - ასეთ შემთხვევაში, ავტომატური გადარიცხვის **ოპერაცია** შესრულდება მომდევნო სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტის** მუდმივი საგადახდო დავალება გულისხმობს თანხის გადარიცხვას სხვა საფინანსო დაწესებულებაში, **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი იმ ვადაზე, რომელიც შესაძლებელია დასჭირდეს მიმღებ საფინანსო დაწესებულებას გადარიცხული თანხის მიმღების/ბენეფიციარის ანგარიშზე ასახვისათვის.

8.6.4. განსაზღვროს გადარიცხვის პრიორიტეტები.

8.7. **კლიენტი** ვალდებულია:

8.7.1. **უნივერსალურ ანგარიშზე** ყოველთვის იქონიოს მუდმივი საგადახდო დავალების შესასრულებლად საკმარისი ნაშთი;

8.7.2. გადაიხადოს მომსახურების საფასური გადარიცხვის მომენტისათვის **ბანკში** მოქმედი ტარიფების შესაბამისად.

## 9. უნივერსალური ანგარიშიდან ავტომატური გადახდები

9.1. ავტომატური გადახდებით მომსახურება გულისხმობს **კლიენტის უნივერსალური ანგარიშიდან** მომსახურების საფასურის გადარიცხვას **კლიენტის** შემდგომი თანხმობის გარეშე, ავტომატური გადახდების შესახებ **კლიენტის** განაცხადში მითითებული ინფორმაციის და **კლიენტის** დავალიანების შემოწმების საფუძველზე.

9.2. ავტომატური გადახდების მომსახურების ჩართვა **კლიენტისათვის** მოხდება მის მიერ **განაცხადის** შევსების შემდეგ, ამავე განაცხადში მითითებული პარამეტრების შესაბამისად.

9.3. **კლიენტის** ამგვარი ავტომატური გადახდებით მომსახურების განხორციელება დამოკიდებულია იმაზე, არსებობს თუ არა საკმარისი თანხები **კლიენტის** ანგარიშ(ებ)ზე, რომლებიც მითითებულია შევსებული ავტომატური გადარიცხვების **განაცხადის** ფორმაში;

9.4. **მხარეები** თანხმდებიან, რომ ავტომატური გადახდების შესასრულებლად **ბანკის** მიერ შექმნილ ელექტრონულ საგადახდო საბუთებს აქვთ ქაღალდზე დაბეჭდილი და ანგარიშის განკარგვის უფლებამოსილების მქონე პირის მიერ ხელმოწერით დადასტურებული ქაღალდის საბუთის თანაბარი იურიდიული ძალა.

9.5. **კლიენტი** უფლებამოსილია:

9.5.1. შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები სერვისზე რეგისტრაციის თავდაპირველ განაცხადში დაფიქსირებულ მონაცემებში;

9.5.2. უარი განაცხადოს სერვისით სარგებლობაზე.

9.6. **ბანკი** უფლებამოსილია:

9.6.1. არ განახორციელოს ავტომატური გადახდა **კლიენტის ანგარიშზე** არასაკმარისი თანხის არსებობისას;

9.6.2. **კლიენტის** ანგარიშზე თანხის არსებობისას/ხელმისაწვდომობისას განახორციელოს ავტომატური გადახდა **კლიენტის** მიერ განაცხადში მითითებულ კალენდარულ თარიღში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული თარიღი ემთხვევა **კანონმდებლობით** დადგენილ არასამუშაო დღეს - ასეთ შემთხვევაში, ავტომატური გადახდის **ოპერაცია** შესრულდება მომდევნო სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტის** ავტომატური გადახდა გულისხმობს თანხის გადარიცხვას სხვა საფინანსო დაწესებულებაში, **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი იმ ვადაზე, რომელიც შესაძლებელია დასჭირდეს მიმღებ საფინანსო დაწესებულებას გადარიცხული თანხის მიმღების/ბენეფიციარის ანგარიშზე ასახვისათვის.

9.6.3. არ განახორციელოს ავტომატური გადახდა **კანონმდებლობით** განსაზღვრულ შემთხვევებში, ასევე **ბანკის** წინაშე **კლიენტის** დავალიანების არსებობისას;

9.6.4. განსაზღვროს გადარიცხვის პრიორიტეტები.

9.7. **კლიენტი** ვალდებულია:
9.7.1. **უნივერსალურ ანგარიშზე** ყოველთვის იქონიოს ავტომატური გადახდისათვის საკმარისი ნაშთი;
9.7.2. გადაიხადოს მომსახურების საფასური გადარიცხვის მომენტისათვის **ბანკში** მოქმედი ტარიფების შესაბამისად.

## 10. წამახალისებელი პროგრამები ან/და აქციები

10.1. **ბანკი** უფლებამოსილია, თავისი შეხედულებისამებრ, შესთავაზოს **კლიენტს** მონაწილეობის მიღება **ბანკის** წამახალისებელ პროგრამებში, ან/და აქციებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომლის ფარგლებშიც **კლიენტს** მიეცემა საშუალება საბანკო მომსახურებით სარგებლობის პროცესში, მიიღოს **ბანკის** მიერ განსაზღვრული სხვადასხვა სახის შეღავათი.

## 11. სპეციალური სავალუტო ანგარიში

11.1. **კლიენტისათვის** დასაშვები **სპეციალური სავალუტო ანგარიშების** რაოდენობა შეზღუდულია და განისაზღვრება **პირობების** #1 დანართში.
11.2. **სპეციალური სავალუტო ანგარიში** არ წარმოადგენს საბარათე ანგარიშს და მასზე არ ხდება საბანკო **ბარათის** მიბმა.
11.3. **სპეციალურ სავალუტო ანგარიშზე** ვრცელდება წინამდებარე **პირობები** **სპეციალური სავალუტო ანგარიშის** სპეციფიკის გათვალისწინებით.

## 12. აგრო ანგარიში და აგრო ბარათი.

12.1. ***აგრო ანგარიში*** წარმოადგენს მონოსავალუტო მიმდინარე საბანკო **ანგარიშს,** რომელზეც დაკავშირებულია **აგრო ბარათი** და რომლის გახსნაც **მომხმარებელს** შეუძლია **უნივერსალური ანგარიშის** გახსნის გარეშე ან პარალელურად, **კლიენტის** მიერ შესაბამისი **განაცხად(ებ)ისა** და სავალდებულო დოკუმენტაციის (ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში) წარმოდგენის შემთხვევაში.
12.2. **აგრო ანგარიში** განკუთვნილია მიზნობრივი გამოყენებისთვის და ორიენტირებულია აგრო სექტორში ჩართული ფიზიკური პირებისთვის, რომელთაც სურთ **საბანკო ანგარიშის** გამოყენება აგრო-პროდუქტის/მომსახურების ობიექტებში გადახდის ოპერაციების შესასრულებლად, სოფლის მეურნეობის/აგრო სექტორის ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო პროექტების ფარგლებში გაცემული/გასაცემი სუბსიდიების/დახმარებების ან/და სხვა სახის ფულადი თანხების მიღებისა და განკარგვის მიზნით.
12.3. **აგრო ანგარიშზე** დასაშვები ოპერაციები, ლიმიტები და ტარიფები განსაზღვრულია წინამდებარე პირობების **დანართით N3.**
12.4. ***აგრო ბარათი*** წარმოადგენს **ბანკის** მიერ ემიტირებულ, ლოკალურ საგადახდო **ბარათს,** რომელიც **მომხმარებელს** გადაეცემა **ბანკის აგრო ანგარიშის** გახსნის შემთხვევაში და რომლის მეშვეობითაც **მომხმარებელს** შეუძლია, განკარგოს **აგრო ანგარიშზე** არსებული ფულადი სახსრები ან/და სახელმწიფო პროექტების ფარგლებში მისაღები სხვა სახის სუბსიდია(ები) წინამდებარე **პირობებით** განსაზღვრული წეს(ებ)ის/პირობების შესაბამისად.
12.5. **აგრო ბარათით** შესაძლებელია, მხოლოდ **აგრო ანგარიშზე** არსებული ფულადი სახსრების ან/და **აგრო ანგარიშზე** გააქტიურებული, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 მაისის დადგენილება N312-ით (შემდგომში - დადგენილება) განსაზღვრული, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში მისაღები სუბსიდიის (შემდგომში - აგრო სუბსიდია) გახარჯვა **ბანკის პარტნიორი მერჩანტების** ქსელში, **ბანკის პოს-ტერმინალზე** გადახდის ოპერაცი(ებ)ის შესრულების გზით.
12.6. **აგრო ბარათზე** დაშვებული ოპერაციების **ლიმიტები** და **ტარიფები** განისაზღვრება წინამდებარე **პირობების დანართით N3;**
12.7. ***აგრო სუბსიდიის მიღება და გამოყენება.*** **აგრო სუბსიდიის** მიღება შეუძლიათ მხოლოდ **მომხმარებლებს,** რომლებიც წარმოადგენენ **დადგენილებით** განსაზღვრულ ბენეფიციარებს და რომლებიც ფიქსირდებიან ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების განვითარების სააგენტოს“ მიერ **ბანკისათვის** მიწოდებულ სუბსიდიის მიმღებ ბენეფიციართა სიაში (შემდგომში - **ბენეფიციარი**) ან/და გააჩნიათ შესაბამისი უფლებამოსილება **ბენეფიციარის** სახელით მიიღონ/განკარგონ **აგრო სუბსიდია**.
12.8. **მომხმარებელი** უფლებამოსილია შესაბამისი განაცხადით **ბანკისათვის** მომართვის საფუძველზე გაიაქტიუროს **აგრო ანგარიშზე** მისი კუთვნილი ან/და შესაბამისი უფლებამოსილების საფუძველზე მისაღები **აგრო სუბსიდია** და გახარჯოს იგი (აგრო სუბსიდია) **აგრო ბარათის** მეშვეობით.
12.9. დაუშვებელია **აგრო სუბსიდიის** ან/და მისი თანხობრივი ექვივალენტის ნაღდი სახით გატანა ან/და სხვა მეთოდით ათვისება, გარდა **ბანკის პარტნიორი მერჩანტების** ქსელში აგრონაწარმის შეძენის მიზნით, **ბანკის პოს-ტერმინალზე** გადახდის ოპერაცი(ებ)ის შესარულებისა.
12.10. **ბანკის პარტნიორი** იმ **მერჩანტების** ჩამონათვალი, რომელთა ქსელშიც შესაძლებელია **აგრო სუბსიდიის** გახარჯვა/გამოყენება, განსაზღვრულია **ბანკის** მფლობელობაში არსებულ ვებ-გვერდზე - Myliberty.ge ან/და **ბანკის** მიერ შემდომში განსაზღვრული სხვა არხებში. **პარტნიორი მერჩანტების** ჩამონათვალი შესაძლოა ნებისმიერ დროს შეიცვალოს. მომხმარებელი ვალდებულია თავად უზრუნველყოს **პარტნიორი მერჩანტების** ჩამონათვლის გადამოწმება **ბანკის** მფლობელობაში არსებულ ვებ-გვერდზე Myliberty.ge.
12.11. **ბანკი** უფლებამოსილია არ განახორციელოს **მომხმარებლის ანგარიშზე** **აგრო სუბსიდიის** გააქტიურება,იმ შემთხვევაში თუ **აგრო სუბსიდიის** აქტივაციის მომენტისათვის **კლიენტის** ანგარიშზე ვრცელდება რაიმე სახის იძულებითი აღსრულების ღონისძება. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტის ანგარიშ(ებ)ზე** ქულების/სუბსიდიის **აქტივაციის** შემდგომ გავრცელდება რაიმე სახის იძულებითი აღსრულების ღონისძიება, **ბანკი** უფლებამოსილია სრულად შეუზღუდოს **კლიენტს** სუბსიდიის გამოყენების შესაძლებლობა, იძულებითი აღსრულების ღონისძიებ(ებ)ის მოხსნამდე.
12.12. **აგრო ანგარიშზე** და **აგრო ბარათზე** ვრცელდება წინამდებარე **პირობებით** განსაზღვრული, **ანგარიშის** და **ბარათის** ზოგადი პირობები რაც წინააღმდეგობაში არ მოდის მე-12 მუხლით განსაზღვრულ **აგრო ანგარიშის** და **აგრო ბარათის** პირობებთან.
12.13. **ბანკს** არ გააჩნია კონტროლის საშუალება **მერჩანტის** (სავაჭრო ობიექტის) მიერ შეთავაზებულ მომსახურებაზე, აქედან გამომდინარე **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი **მერჩანტის** (სავაჭრო ობიექტის) მიერ განხორციელებული მომსახურების შედეგად წარმოშობილ უზუსტობებზე, **კლიენტისათვის** ან/და მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე / ზარალზე, აგრეთვე **მერჩანტის** (სავაჭრო ობიექტის) ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაციის სისწორეზე, ცვლილებებზე ან/და მომსახურების შედეგად წარმოშობილ სხვა ხარვეზებზე.

## 13. ტექნიკური ანგარიში

13.1. **ტექნიკური ანგარიში** არის ფიზიკური პირის მონოსავალუტო ანგარიში, რომელიც შეიძლება გაიხსნას შემდეგ რომელიმე ვალუტაში (ლარი, დოლარი, ევრო) და რომელზეც დაშვებულია მხოლოდ **ბანკის** მიერ განსაზღვრული კონკრეტული ოპერაციები ან/და **ტექნიკურ ანგარიშთან** დაკავშირებული დამატებითი საბანკო მომსახურებები. **ტექნიკური ანგარიში** გაეხსნება **კლიენტს განაცხადის** შევსების, სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენისა და შესაბამისი საკომისიოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდის შემდეგ.
13.2. **ტექნიკური ანგარიში** შესაძლებელია გამოყენებულ იქნას **ბანკის** საკრედიტო/საანაბრე (მათ შორის სადეპოზიტო სერტიფიკატის) პროდუქტების მომსახურე ანგარიშად ან/და სახელმწიფო პროექტების/პროგრამების ფარგლებში **ბანკის** მომსახურების არხებიდან **კლიენტის** მიერ თანხის ან/და სხვა სახის სუბსიდი(ებ)ის მიღება/განკარგვის მიზნით.
13.3. **ტექნიკურ ანგარიშზე** დაიშვება მხოლოდ **კლიენტის** მიერ **ბანკის** ფიზიკური მომსახურების ობიექტებიდან (ფილიალი/სერვის-ცენტრი) გატანის ოპერაციები. ასევე, სახელმწიფო ან სხვა პროექტის/პროგრამის ფარგლებში **ტექნიკურ ანგარიშზე** შესაძლებელია შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს ან/და დაწესებულების მიერ თანხის ჩარიცხვის ოპერაციები. ნებისმიერი სხვა ოპერაცია **ტექნიკურ ანგარიშზე** არ დაიშვება, თუ **ბანკის** მიერ შემდგომში სხვა რამ არ იქნება განსაზღვრული.
13.4. **ტექნიკურ ანგარიშზე** არ არის დაშვებული **ბარათის** მიბმა ან/და დისტანციური საბანკო არხების მეშვეობით საბანკო ოპერაციების წარმოება.
13.5. **ბანკი** არ არის ვალდებული, მაგრამ უფლებამოსილია დაუყოვნებლივ დახუროს **ტექნიკური ანგარიში კლიენტის** წინასწარი თანხმობისა და **კლიენტისათვის** წინასწარი შეტყობინების გარეშე, ტექნიკურ **ტექნიკურ ანგარიშზე** დადებითი ნაშთის არარსებობის შემთხვევაში თუ **ტექნიკური ანგარიში** არ გამოიყენება როგორც **ბანკის** მიერ შეთავაზებული **კლიენტის** სხვა აქტიური საბანკო პროდუქტის მომსახურე ანგარიში.

## 14. VISA Direct და MasterCard MoneySend საბარათე გადარიცხვები

14.1. **კლიენტი** პასუხისმგებელია ყველა **დავალებაზე,** რომელსაც იგი გასცემს **ბანკზე VISA Direct** ან **MasterCard MoneySend საბარათე გადარიცხვით** სარგებლობისას.. აღნიშნული გულისხმობს პასუხისმგებლობას შევსებისას დაშვებულ ნებისმიერ შეცდომასა ან/და **დავალებაზე,** რომელიც განხორციელებული იქნა მესამე პირის მიერ.
14.2. **კლიენტის** მიერ **VISA Direct** ან **MasterCard MoneySend საბარათე გადარიცხვის** განსახორციელებლად განკუთვნილი **საბანკო ბარათით** სარგებლობის და უსაფრთხოების წესები განსაზღვრულია წინამდებარე პირობების მე-5 მუხლის შესაბამისად.
14.3. **კლიენტმა** არ უნდა გამოიყენოს **VISA Direct** ან **MasterCard MoneySend საბარათე გადარიცხვით** მომსახურება, თუ ამას შედეგად მოჰყვება მისი ანგარიშზე **თანხის გადახარჯვა ბანკის** წინასწარი თანხმობის გარეშე;
14.4. **კლიენტი** პასუხისმგებელი იქნება ნებისმიერ **ოპერაციაზე**, რომელსაც იგი განახორციელებს **VISA Direct** ან **MasterCard MoneySend საბარათე გადარიცხვით** სარგებლობის შედეგად.
14.5. **ბანკი** ყველა ზომას მიმართავს იმისათვის, რომ **კლიენტი** უზრუნველყოს **VISA Direct** ან **MasterCard MoneySend საბარათე გადარიცხვების** მომსახურებით, მაგრამ **ბანკი** არ იქნება პასუხისმგებელი იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოხერხდა აღნიშნული მომსახურებით **კლიენტის** უზრუნველყოფა ბანკისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გულისხმობს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც ხდება **ბანკის** სისტემის ან **VISA Direct** ან **MasterCard MoneySend საბარათე გადარიცხვებით** მომსახურების შეფერხება

სისტემის განახლების ან/და გაუმჯობესებას, ასევე მომსახურების შეფერხებას თანხის მიმღები **ბარათის** მომსახურე **ბანკის** მიზეზით.

14.6. **კლიენტის** ან/და საკუთარი ინტერესების დასაცავად, **ბანკს** შეუძლია შეაჩეროს ან შეზღუდოს **კლიენტის** მიერ **VISA Direct** ან **MasterCard MoneySend საზარათე გადარიცხვების** სრულად ან ნაწილობრივ გამოყენება. ამგვარი ქმედების განხორციელებისას **ბანკი** პირველი შესაძლებლობისთანავე შეტყობინებას გაუგზავნის **კლიენტს. ბანკს** აგრეთვე შეუძლია ნებისმიერ დროს მთლიანად ან ნაწილობრივ შეუწყვიტოს **კლიენტს VISA Direct** ან **MasterCard MoneySend საზარათე გადარიცხვებით** მომსახურება.

14.7. **კლიენტი** უფლებასმოსილებას ანიჭებს **ბანკს, ბანკმა** შეასრულოს **კლიენტის** მიერ გაცემული ყველა ელექტრონული მითითება/**დავალება** (რომელიც ასახულია **ბანკის** მიერ) **VISA Direct** ან **MasterCard MoneySend საზარათე გადარიცხვებით** მომსახურების მეშვეობით.

14.8. **ბანკის** მხრიდან არ ჩაითვლება **ხელშეკრულების** დარღვევად და იგი არ იქნება ვალდებული დამდგარ შედეგზე, როდესაც:

14.8.1. **VISA Direct** ან **MasterCard MoneySend საზარათე გადარიცხვით** მომსახურების (ან მისი ნაწილის) განხორციელება შეუძლებელია **ბანკისაგან** დამოუკიდებელი მიზეზების გამო;

14.8.2. **კლიენტის** უსაფრთხოების დეტალები (კერძოდ, **წვდომისკოდები**) არაავტორიზებულად იქნა გამოყენებული;

14.8.3. **ბანკს** არ მიუღია **კლიენტის** მიერ გაგზავნილი დავალებ(ებ)ი.

14.8.4. **VISA Direct** ან **MasterCard MoneySend საზარათე გადარიცხვით** სარგებლობისათვის შესაძლებელია **კლიენტს** დამატებით დაეკისროს სხვა ფინანსური ინსტიტუტის არხში განხორციელებული **VISA Direct** ან **MasterCard MoneySend საზარათე გადარიცხვებით** მომსახურების საფასური, რომლის ოდენობაც და ლიმიტ(ებ)ი ყოველ კონკრეტულ შეთხვევაში განისაზღვრება მომსახურე ფინანსური ინსტიტუტის მიერ.

## 15. უკონტაქტო ბარათი

15.1. უკონტაქტო **ბარათი** წარმოადგენს ჩიპიანი **საბანკო ბარათის** ნაირსახეობას, რომელიც **კლიენტს** აძლევს საშუალებას **ბანკის** მიერ განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში, უკონტაქტოდ ანუ **ბარათით** საგადახდო **ოპერაციის** შესრულებისას **წვდომის კოდის** შეყვანის გარეშე, აწარმოოს **ოპერაციები** შესაბამისი სერვისის გაწევაზე ავტორიზირებულ და სათანადო ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილ მომსახურების ობიექტებში.

15.2. **წვდომის კოდის** შეყვანის გარეშე Visa PayWave და MasterCard PayPass **ბარათით** შესრულებულ ყიდვის უკონტაქტო **ოპერაციაზე** დასაშვები ლიმიტის მოცულობა განსაზღვრულია წინამდებარე **პირობების #1 დანართით;**

15.3. უკონტაქტო **ბარათის** სარგებლობის და უსაფრთხოების წესები განსაზღვრულია წინამდებარე **პირობების** მე-5 მუხლის შესაბამისად.

## 16. მობაილ ბანკი

16.1. **მობაილ ბანკით** სარგებლობის მიზნით, **კლიენტს** უნდა ჰქონდეს გააქტიურებული **ინტერნეტ ბანკი** და გააჩნდეს სათანადო ოპერაციულ სისტემაზე (Android, IOS ან/და შემდგომში **ბანკის** მიერ განსაზღვრული სხვა ოპერაციული სისტემა) მომუშავე მობილური ტელეფონი (შემდგომში ”ტელეფონი”).

16.2. **მობაილ ბანკით** სარგებლობა შესაძლებელია მხოლოდ **მობაილ ბანკის** აპლიკაციის (აპლიკაცია ხელმისაწვდომია ოპერაციული სისტემების ინტერნეტ მაღაზიებში - Google Play, App Store და ა.შ.) ტელეფონზე ჩატვირთვის და მისი ინსტალაციის შემდგომ.

16.3. **მობაილ ბანკით** სარგებლობისას **კლიენტმა** უნდა გამოიყენოს მისი კუთვნილი **ინტერნეტ ბანკის** მომხმარებლის სახელი და პაროლი და გაიაროს აუთენტიფიკაცია. **ბანკი** უფლებამოსილია შექმნას დამატებითი მექანიზმები **კლიენტის** საიდენტიფიკაციოდ.

16.4. **კლიენტის** მიერ **მობაილ ბანკით** სარგებლობისას, იდენტიფიცირება არ ხდება ხელმოწერით ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით. ასეთ შემთხვევაში პიროვნების იდენტიფიცირება ხდება **კლიენტის** მიერ აუთენტირების დადგენის ელექტრონული პროცედურების გავლის შემდეგ, ნებისმიერი ქმედება, რომელიც შესრულებულია მას შემდეგ, რაც ელექტრონულ სისტემაში მოხდა ნებადართული შეღწევა ნამდვილობის დადგენის ელექტრონული პროცედურების გავლის შემდეგ, ასეთი შეღწევა და შეღწევის შედეგად შესრულებული ნებისმიერი **ოპერაცია** ჩაითვლება **კლიენტის** მიერ სათანადოდ შესრულებულად და სამართლებრივი ძალის მქონედ.

16.5. **კლიენტი** ვალდებულია დაიცვას საიდენტიფიკაციო მონაცემების (მათ შორის **წვდომის კოდების**) კონფიდენციალურობა. **კლიენტი** ადასტურებს და იღებს ვალდებულებას, დაუყოვნებლივ შეატყობინოს **ბანკს** ტელეფონის დაკარგვის, **კლიენტის** მიერ ტელეფონზე მფლობელობის გაუქმების ან/და სხვა ისეთი ცვლილების შესახებ, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს **ბანკის** მიერ **კლიენტისათვის მობაილ ბანკის** მომსახურების უსაფრთხო მიწოდებაზე.

16.6. **კლიენტი** ნებისმიერ ვითარებაში პასუხისმგებელი იქნება **ბანკში** ტელეფონიდან გაგზავნილ დავალებებზე.

16.7. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერ დანაკარგსა ან ზიანზე რომელიც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გამოწვეულია ტექნიკური დეფექტით, ელექტრონული გადაცემის ხარვეზით, **ბანკის** ელექტრონულ სისტემებში, და სხვა ელექტრონულ საშუალებებში უკანონო შეღწევის გზით. ამასთანავე, **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერ დანაკარგსა ან ზიანზე, რომელიც გამოწვეული იქნა სერვისში შეფერხებით ან/და სერვისის გადატვირთვით რომელიც გავლენას ახდენს ელექტრონული სისტემების ფუნქციონირებაზე.

16.8. **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტის** აქტიურ ოპერაციებზე ცალმხრივად დააწესოს შეზღუდვები.

16.9. **კლიენტი** აცნობიერებს რისკს, რომ **მობაილ ბანკით** სარგებლობა დაკავშირებულია ელექტრონული სახით ინფორმაციის გაცვლასთან და აქედან გამომდინარე პასუხისმგებელია ნებისმიერი მესამე პირის მიერ ელექტრონულ სისტემაში უკანონო შეღწევით გამოწვეულ ზიანზე.

16.10. **კლიენტი** აცნობიერებს და ადასტურებს, რომ **ბანკს,** საკუთარი გადაწყვეტილებისამებრ, შეუძლია ჩაიწეროს ნებისმიერი ან ყველა დავალება, რომელიც მიღებულ ან გაგზავნილ იქნა ტელეფონის მეშვეობით და შეინახოს ამგვარი ინფორმაცია იმ სახით და ფორმით, რომელსაც საჭიროდ მიიჩნევს. **კლიენტი** ადასტურებს, რომ **ბანკს** შეუძლია დაეყრდნოს ასეთ ინფორმაციას და გამოიყენოს ნებისმიერი დავის განხილვისას როგორც მტკიცებულება.

16.11. **ბანკს** უფლება აქვს შეასრულოს **კლიენტის დავალება** მისი დამუშავებასთან დაკავშირებული დროის გათვალისწინებით, მაგრამ არაუგვიანეს მეორე საბანკო დღისა. ამასთან, **ბანკი** არ იქნება პასუხისმგებელი რაიმე ზარალზე, ზიანზე, პირდაპირ ან არაპიდაპირ ხარჯებზე, რომელიც **კლიენტმა** მიიღო ტექნიკური საშუალებების ან მესამე პირების მიერ მომსახურების შეფერხების შედგად აღნიშნული ვადის დარღვევაზე.

16.12. **კლიენტი** ანიჭებს **ბანკს** უფლებამოსილებას გააგზავნოს მოკლე ტექსტური შეტყობინებები **კლიენტის** ტელეფონზე **მობაილ ბანკის** მომსახურების პირობების დაცვით, სანამ **ბანკი** სხვაგვარ წერილობით მითითებას არ მიიღებს კლიენტისგან.

16.13. **კლიენტის უნივერსალურ ანგარიშზე** საკმარისი თანხების / ლიმიტის არ არსებობისას, **ბანკი** არ არის ვალდებული შეასრულოს **დავალება**.

16.14. **ბანკი** არ აგებს პასუხს მობილურ სატელეფონო მომსახურებაზე და **კლიენტისათვის** ამგვარი მომსახურების მიწოდებაზე პასუხისმგებელი იქნება მხოლოდ მობილური სატელეფონო მომსახურების მომწოდებელი. ასევე კლიენტსა და აღნიშნულ მობილური სატელეფონო მომსახურების მომწოდებელს შორის წარმოშობილ სადაო სიტუაციაზე.

16.15. **ბანკს** უფლება აქვს ჩამოჭრას **კლიენტის** ანგარიშ(ებ)იდან **მობაილ ბანკით** მომსახურების გადასახადი უაქცეპტო წესით ან თუ თანხები საკმარისი არ აღმოჩნდება, მიიღოს **კლიენტის** მიერ გადასახდელი თანხები ნებისმიერი ფორმით.

16.16. **ბანკი** დაეყრდნობა კლიენტისგან მიღებულ ნებისმიერ ელექტრონულ **დავალებას** და **ბანკი** არ იქნება ვალდებული შეამოწმოს გამომგზავნის პიროვნება ან **დავალების** ნამდვილობა. **კლიენტი** არანაირ ვითარებაში არ შეედავება **ბანკს** იმის გამო, რომ იგი ეყრდნობა ამგვარ დავალებებს. **კლიენტი** პასუხისმგებელია ტელეფონის არაავტორიზირებულ გამოყენებაზე მესამე პირების მხრიდან.

16.17. **ბანკი** იტოვებს უფლებას, პერიოდულად განახორციელოს ცვლილებები, გააუმჯობესოს ან/და შეცვალოს **მობაილ ბანკის** მომსახურება.

16.18. **ბანკს** შეუძლია, საკუთარი გადაწყვეტილებისამებრ, მიიღოს ნებისმიერი სახის **ოპერაციის** ან **დავალების** გაუქმების მოთხოვნა კლიენტისგან იმის გათვალისწინებით, რომ **ბანკს** ჯერ არ დაუწყია აღნიშნული **ოპერაციის** ან **დავალების** განხორციელება. **ბანკი** არ იქნება პასუხისმგებელი დაგვიანებულ გადასახადზე ან ხარჯზე (პირდაპირი თუ არაპირდაპირი), რომელიც შეიძლება გამოწვეულ იქნას ამგვარი გაუქმებით. **კლიენტი** არ შეედავება **ბანკს** იმ მეთოდის ან ფორმის შესახებ, რომლითაც **ბანკმა** შეიძლება განახორციელოს ამგვარი გაუქმება.

16.19. **კლიენტი** ადასტურებს, რომ **მობაილ ბანკის** საშუალებით შესრულებულ ოპერაციებს აქვთ ანგარიშის განკარგვაზე უფლებამოსილი პირის მიერ დადასტურებული (წერილობითი ფორმით შესრულებული და ხელმოწერილი) ქაღალდზე დაბეჭდილი საბუთის თანაბარი იურიდიული ძალა.

16.20. თუ **კლიენტი** 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში არ ისარგებლებს **მობაილ ბანკით** და არ გაივლის აუთენტიფიკაციას, **ბანკი** უფლებამოსილი იქნება შეაჩეროს **კლიენტის** როგორც **მობაილ ბანკით**, ასევე **ინტერნეტ ბანკით** მომსახურება. მომსახურების აღდგენა განხორციელდება მას შემდეგ რაც **კლიენტი, ბანკის** მიერ დადგენილი წესით, მიმართავს **ბანკს** ხელახალი აქტივაციის მოთხოვნით.

16.21. **ინტერნეტ ბანკით** მომსახურების შეწყვეტა ავტომატურად იწვევს **მობაილ ბანკით** სარგებლობის შეწყვეტას.

## 17. ვალუტის გაცვლა

17.1. **ბანკი კლიენტს** გაუწევს ვალუტის გაცვლასთან დაკავშირებული საინფორმაციო და საბროკერო, ასევე, ვალუტის გაცვლითი ოპერაციებით მომსახურებას. ვალუტის გაცვლით **ოპერაციაში** იგულისხმება **კლიენტის** ერთ-ერთ სავალუტო ანგარიშზე არსებული თანხების გაყიდვა მეორის სანაცვლოდ. ვალუტის გაცვლით **ოპერაციას ბანკი** შეასრულებს **კლიენტის განაცხადის** შესაბამისად, **ბანკში** დადგენილი კომერციული ან თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე დაფიქსირებული კურსით.

17.2. **ბანკი** იღებს ვალდებულებას ჩაატაროს ვალუტის გაცვლითი **ოპერაცია კლიენტის უნივერსალურ ანგარიშზე,** ამგვარი **ოპერაციის** საწარმოებლად საჭირო თანხის არსებობის შემთხვევაში და ვალუტის გაცვლითი **ოპერაციის** შესრულებისთანავე ჩარიცხოს **კლიენტის** ანგარიშზე **კლიენტის** მიერ ნაყიდი თანხა განაცხადში მითითებულ ვალუტირების (**კლიენტის** ანგარიშებზე თანხების ჩამოწერისა და ჩარიცხვის) თარიღში.

17.3. **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტის** მიერ ვალუტის გაცვლითი **ოპერაციის** წარმოების შესახებ **განაცხადის** მიღების მომენტიდან, ბლოკირება გაუკეთოს **კლიენტის უნივერსალურ ანგარიშზე** თანხებს, **განაცხადში** არსებული **კლიენტის** მიერ გასაყიდი თანხის ფარგლებში (**ოპერაციის** საზღაურის გათვალისწინებით) **ოპერაციის** დასრულებამდე (ანგარიშებზე შესაბამისი თანხების ჩამოჭრა/ჩარიცხვამდე ან **ბანკის** მიერ **ოპერაციის** შეუსრულებლობისას).

17.4. **ბანკი** არ იღებს ვალდებულებას ვალუტის გაცვლითი **ოპერაციის** წარმოების შესახებ **განაცხადის** შესრულებაზე იმ შემთხვევაში, თუ განაცხადში მითითებულია კურსის შეზღუდვა, ან **ბანკის** მიერ დადგენილი კურსი არ აკმაყოფილებს კურსის შეზღუდვის მოთხოვნებს. კურსის შეზღუდვა გულისხმობს: ბირჟის კურსით **განაცხადის** შემთხვევაში ყიდვის მაქსიმალურ ან გაყიდვის მინიმალურ კურსს, ხოლო კომერციული კურსით **განაცხადის** შემთხვევაში – მხოლოდ მითითებულ კურსში ვალუტის გაცვლითი **ოპერაციის** შესრულების მოთხოვნას.

17.5. თუ ამ პუნქტში აღნიშნული მიზეზების გამო ნაწილობრივ განხორციელდა ან არ განხორციელებულა ბირჟის კურსით ვალუტის გაცვლითი **ოპერაცია, ბანკი** შეატყობინებს **კლიენტს განაცხადის** შეუსრულებლობის მიზეზების შესახებ და კლიენტისაგან მიღებული თანხმობის შემთხვევაში შეასრულებს ვალუტის გაცვლით **ოპერაციას ბანკის** მიერ განსაზღვრული კომერციული კურსით. ასეთი მიზეზები შეიძლება იყოს:

ა) ბირჟაზე ვაჭრობა არ შედგა **ბანკისაგან** დამოუკიდებელი მიზეზის გამო;

ბ) **ბანკის განაცხადი** ბირჟაზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდა;

გ) **კლიენტმა ბანკის** მიერ ბირჟაზე ნაყიდი თანხა არ მიიღო ან მიიღო ნაწილობრივ.

17.6. **კლიენტი** ვალდებულია ვალუტის გაცვლითი ოპერაციების ჩატარებისათვის დააკმაყოფილოს **ბანკში** დადგენილი ზოგადი წესები (**განაცხადის** წარდგენის ვადები, შევსების წესები და ა.შ.) და გადაიხადოს აღნიშნული ოპერაციებისათვის დადგენილი საკომისიო გადასახადი.

## 18. ფულადი გზავნილები

18.1. ფულადი გზავნილების მომსახურება **კლიენტს** საშუალებას აძლევს ანგარიშიდან გადარიცხოს ან ანგარიშზე მიიღოს თანხა საქართველოში ან სხვა ნებისმიერ ქვეყანაში **ბანკის** ან **ბანკის** პარტნიორი საერთაშორისო ფულადი გზავნილების ოპერატორი-პარტნიორების კუთვნილი სისტემების მეშვეობით;

18.2. ფულადი გზავნილების მომსახურების გამოყენებით თანხის მიღება / გაგზავნა შესაძლებელია მათ შორის ისეთი პირისაგან/პირისათვის, ვისაც არ გააჩნია **ბანკში** გახსნილი ანგარიში;

18.3. ფულადი გზავნილების მომსახურების გამოყენებით თანხის გადარიცხვა და მიღება შესაძლებელია **ლარში**, **აშშ დოლარში**, **ევროში**, **გირვანქა სტერლინგში** ან რუსულ რუბლში;

18.4. **კლიენტი** თავად ირჩევს ფულადი გზავნილების სისტემას რომლის გამოყენებითაც მას სურს თანხის მიღება ან გაგზავნა/გადარიცხვა. ამასთან ლარში ფულადი გზავნილების გადარიცხვა ან/და მიღება არის შესაძლებელი მხოლოდ **ბანკის** კუთვნილი ფულადი გზავნილების სისტემა ლიბერთი ექსპრესით;

18.5. ფულადი გზავნილის მიღება ანგარიშზე არის უფასო. მიღებული ფულადი გზავნილის ანგარიშიდან განაღდება ექვემდებარება სტანდარტული საკომისიოს გადახდას;

18.6. ფულადი გზავნილის გადარიცხვა ანგარიშიდან ექვემდებარება გადარიცხვის საკომისიოს გადახდას, რომელიც არის განსხვავებული დამოკიდებული ქვეყანაზე სადაც ხორციელდება ფულადი გზავნილის გადარიცხვა და სისტემაზე, გადარიცხული თანხის ოდენობაზე და ვალუტაზე და ასევე სისტემაზე, რომლის მეშვეობით ხორციელდება ფულადი გზავნილი;

18.7. **კლიენტი** იღებს ინფორმაციას ფულადი გზავნილის გადარიცხვის შესრულების ვადის და საკომისიოს მოცულობის შესახებ **ოპერაციის** შესრულებამდე ან/და **ოპერაციის** შესრულების პროცესში. **კლიენტის** მიერ ფულადი გზავნილის **ოპერაციის** ავტორიზაცია/დასრულება აღნიშნავს მის (კლიენტის) უპირობო თანხმობას **ბანკის** მიერ მისთვის წინასწარ მიწოდებულ/გაცხადებულ პირობებთან;

18.8. **კლიენტის** მიერ ფულადი გზავნილის მიღების მიზნით აუცილებელია როგორც მინიმუმ ფულადი გზავნილის კოდის, თანხის და ვალუტის შესახებ ზუსტი ინფორმაციის მიწოდება ბანკისათვის, - წინააღმდეგ შემთხვევაში **ბანკი** მოკლებულია შესაძლებლობას მოიძიოს **კლიენტის** ფულადი გზავნილი **კლიენტის** ანგარიშზე ჩასარიცხად;

18.9. **კლიენტის** მიერ ფულადი გზავნილის გადარიცხვის მიზნით აუცილებელია, შეზღუდვის გარეშე, ფულადი გზავნილის მიმღების/ბენეფიციარის საიდენტიფიკაციო მონაცემების და ადგილსამყოფელის (ქვეყანა, ქალაქი, ზოგიერთ შემთხვევაში დაწესებულება, რომელსაც მიმართავს მიმღები ფულადი გზავნილის მიღების მიზნით) **ბანკისათვის** მიწოდება. **ბანკი** ფულადი გზავნილის გადარიცხვის შესრულების შემდეგ გამგზავნს აწვდის გზავნილის კოდს, რომელიც გამნგზავნა უნდა მიაწოდოს მიმღებს. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი რაიმე შეფერხებაზე, რომელიც არის ფულადი გზავნილის გამგზავნის მიერ ფულადი გზავნილის მიმღების შესახებ **ბანკისათვის** მიწოდებული არასწორი ინფორმაციის შედეგი;

18.10. თუ გაგზავნილი ფულადი გზავნილი არის ისეთ ვალუტაში, რა ვალუტაშიც **კლიენტს** არ გააჩნია ქვე-ანგარიში ან გააჩნია ქვე-ანგარიში, მაგრამ აღნიშნულ ქვე-ანგარიშზე არ ირიცხება ფულადი გზავნილის შესრულებისათვის საკმარისი ხელმისაწვდომი ნაშთი - ფულადი გზავნილის შესრულების მიზნით **ბანკი** მოახდენს **კლიენტის** ანგარიშ(ებ)იდან თანხის კონვერტაციას ფულადი გზავნილის შესრულების მომენტში არსებული **ბანკის კომერციული სავალუტო გაცვლითი კურსით;**

18.11. თუ მიღებული ფულადი გზავნილი არის ისეთ ვალუტაში, რა ვალუტაშიც **კლიენტს** არ გააჩნია ქვე-ანგარიში - **ბანკი** მოახდენს ფულადი გზავნილის **კლიენტის** იმ ქვე-ანგარიშზე ჩარიცხვას, რომელსაც აიღჩევს თავად კლიენტი. ასეთ შემთხვევაში **ბანკი** მოახდენს **კლიენტის** მიერ მიღებული ფულადი გზავნილის თანხის კონვერტაციას ქვე-ანგარიშის ვალუტაში **ბანკის კომერციული სავალუტო გაცვლითი კურსის** გამოყენებით.

## 19. eMoney ელექტრონული საფულე

19.1. **eMoney ელექტრონული საფულით** მომსახურება წარმოადგენს **ბანკისა** და **eMoney**-ს ერთობლივ მომსახურებას, რომლის გამოყენებითაც ბანკისა და **eMoney**-ს **კლიენტს,** ასეთის არსებობის შემთხვევაში, ეძლევა საშუალება იქონიოს **eMoney ელექტრონული საფულე** კონკრეტული მომენტისათვის შესაძლო ვალუტაში(ებში), საიდანაც უფლებამოსილია აწარმოოს ანგარიშსწორება ან/და გადახდები, მიიღოს თანხები ელექტრონულ საფულეზე ან/და განახორციელოს კანონით ან/და შესაბამისი პირობებით გათვალისწინებული და ნებადართული სხვა მოქმედებები, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, გამოიყენოს მისი **eMoney ელექტრონული საფულის** ანგარიში (ან/და მობილური ნომერი ან/და ელექტრონული ფოსტის მისამართი და პაროლი) ავტორიზაციისათვის ისეთ ვებ გვერდებზე სადაც **eMoney**-თ ავტორიზაცია დაშვებულია.

19.2. **eMoney**-ის **ელექტრონული საფულის** მის საბანკო ანგარიშზე ორგანული გადაბმისათვის (რაც **კლიენტს** გაუმარტივებს შესაბამისი სერვისების მიღებას) **კლიენტი** ვალდებულია გაიაროს რეგისტრაცია **eMoney** ვებ-გვერდზე და მოქმედი **კანონმდებლობით** გათვალისწინებული იდენტიფიკაციის პროცესი.

19.3. **eMoney ელექტრონული საფულით** მომსახურების პირობები, ტარიფები და მხარეთა უფლება-მოვალეობები დეტალურად არის გაწერილი **eMoney ელექტრონული საფულით** მომსახურების პირობებში, რომელიც განთავსებულია ვებ-გვერდზე - www.emoney.ge (http://bit.ly/1ZvqRlk) და რომელიც წარმოადგენს წინამდებარე პირობების დანართს და მის განუყოფელ ნაწილს. წინამდებარე პირობებზე თანხმობითა და **eMoney ელექტრონული საფულის** გამოყენების ფაქტით **კლიენტი** ადასტურებს მის თანხმობას ზემოაღნიშნულ **eMoney ელექტრონული საფულით** მომსახურების პირობებზე. მიუხედავად ამისა, **eMoney** ვებ გვერდზე ან/და **eMoney** მობილურ აპლიკაციაში რეგისტრირებისას **eMoney** შესაძლოა **კლიენტს** დამატებით მოთხოვოს ელექტრონული თანხმობა **eMoney ელექტრონული საფულით** მომსახურების პირობებზე.

19.4. **ბანკი** იტოვებს უფლებას, რომ ცალმხრივად, საკუთარი გადაწყვეტილების შესაბამისად შეაჩეროს **eMoney ელექტრონული საფულით** (ან **eMoney** ელექტრონული საფულის ნებისმიერი ცალკეული ფუნქცია ან ფუნქციები, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს ბალანსის შევსებას, თანხების მიღებას ან/და თანხების განაღდებას) მომსახურება, იმ შემთხვევაში თუ **ოპერაცია(ები) ბანკის** ან/და **eMoney**-ს შეხედულებით ჩაითვლება, რომ (i) განხორციელდა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევით, ან/და (ii) არის საეჭვო და დაკავშირებულია უკანონო შემოსავლების ლეგალიზებასთან, ტერორიზმის დაფინანსებასთან, თაღლითობასა ან/და სხვა უკანონო საქმიანობასთან. **ბანკი** ან/და **eMoney** შეეცდება შეატყობინოს მერჩანტს ასეთი მომსახურების შეჩერების ან შეზღუდვის შესახებ, თუ მათ ასეთი შეტყობინების მიწოდება აკრძალული არ აქვთ **კანონმდებლობით**, სასამართლო გადაწყვეტილებით ან სხვა სავალდებულო სამართლებრივი დოკუმენტით.

## 20. საბანკო ბარათის 3D უსაფრთხოების სერვისი

20.1. **საბანკო ბარათის 3D უსაფრთხოება** წარმოადგენს ბანკის მიერ **კლიენტისათვის** შეთავაზებულ დაცვის დამატებით საშუალებას, რომლის მიზანია უზრუნველყოს VISA ან MasterCard-ის საერთაშორისო საგადამხდელო სისტემაში ჩართული **ბარათით** ინტერნეტის საშუალებით განხორციელებული ტრანზაქციების უსაფრთხოდ შესრულება Verified by Visa და MasterCard SecureCode სერვისების სახით.

20.2. **ბარათის 3D უსაფრთხოების** გასააქტიურებლად **ბარათის** უფლებამოსილმა მფლობელმა **ბანკის** ფილიალებსა და სერვის ცენტრებში უნდა შეავსოს შესაბამისი **განაცხადი** და გაიაროს სათანადო რეგისტრაცია.

20.3. **ბარათით** ინტერნეტის საშუალებით ტრანზაქციების განხორციელებისას **3D უსაფრთხოების ერთჯერადი სმს ვერიფიკაციის კოდი** გაიგზავნება **ბანკში** საბანკო **ბარათის** მფლობელზე დარეგისტირებულ ნომერზე.

20.4. **განაცხადში** მითითებული მონაცემების **ბანკისათვის** არასრულად ან/და არაჯეროვნად მიწოდების შემთხვევაში **ბანკი** უფლებამოსილია უარი განუცხადოს **უფლებამოსილ მფლობელს ბარათის 3D უსაფრთხოების სერვისის** რეგისტრაციაზე / გააქტიურებაზე.

20.5. **უფლებამოსილი მფლობელისათვის 3D უსაფრთხოების სერვისის** გააქტიურება შესაძლებელი იქნება **ბანკში განაცხადის** წარდგენის მომდევნო საბანკო დღიდან. ამასთან, **ბანკი** უფლებამოსილია უსაფრთხოების შეხედულებებიდან გამომდინარე თავისი ინიციატივით ავტომატურად მოახდინოს **ბარათის მფლობელისათვის 3D უსაფრთხოების** ჩართვა (მათ შორის **ბარათის უფლებამოსილი მფლობელის** მიერ უშუალოდ ინტერნეტ-ტრანზაქციის განხორციელების დროს) ან/და აგრეთვე **ბარათის 3D უსაფრთხოების სერვისის** შეწყვეტა.

20.6. **3D უსაფრთხოების** გამოყენებით ინტერნეტით ტრანზაქციების (საქონლის ან/და მომსახურების შეძენა) განსახორციელებლად აუცილებელია **ბარათის**

**უფლებამოსილი მფლობელი** დარწმუნდეს **მერჩანტის** (სავაჭრო ობიექტის) ვებ-გვერდის ნამდვილობაში, რა მიზნითაც აუცილებელია მინიმუმ შემდეგი პირობების არსებობა: (ა) **მერჩანტის** (სავაჭრო ობიექტის) ვებ-გვერდზე განთავსებული უნდა იყოს **ბანკის** და „Verified by VISA" ან „MasterCard SecureCode"-ის ლოგო; (ბ) მომთხოვნ ვებ–გვერდს უნდა გააჩნდეს უსაფრთხოების სერტიფიკატები.

20.7. **ტრანზაქციების** განსახორციელებლად **ბარათის უფლებამოსილი მფლობელის** მიერ გამოსაყენებელი ერთჯერადი სმს ვერიფიკაციის კოდი დინამიურია და იგზავნება მომენტალურად საბანკო **ბარათით** ინტერნეტით ტრანზაქციების (საქონლის ან/და მომსახურების შეძენა) განხორციელების დროს.

20.8. **ბარათის უფლებამოსილი მფლობელი** პასუხისმგებელია **ვერიფიკაციის ერთჯერადი სმს კოდის** ან/და ინტერნეტის საშუალებით ტრანზაქციების განხორციელებისას გამოყენებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის უზრუნველყოფაზე, შესაბამისად **ბანკი** ან/და VISA / MasterCard-ის საერთაშორისო საგადამხდელო სისტემა არ არიან პასუხისმგებელნი აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად წარმოშობილ ნებისმიერ ზიანზე ან/და ზარალზე.

20.9. **ბანკს** არ გააჩნია კონტროლის საშუალება **მერჩანტის** (სავაჭრო ობიექტის) მიერ შეთავაზებულ მომსახურებაზე, აქედან გამომდინარე **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი **მერჩანტის** (სავაჭრო ობიექტის) მიერ განხორციელებული მომსახურების შედეგად წარმოშობილ უზუსტობებზე, **კლიენტისათვის** ან/და მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე / ზარალზე, აგრეთვე **მერჩანტის** (სავაჭრო ობიექტის) ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაციის სისწორეზე, ცვლილებებზე ან/და მომსახურების შედეგად წარმოშობილ სხვა ხარვეზებზე.

20.10. **3D უსაფრთხოების** სერვისით სარგებლობისას **კლიენტი** პასუხისმგებელია ყველა **დავალებაზე**, რომელსაც იგი გასცემს **ბანკზე** სპეციალური უსაფრთხოების პროცედურების გავლის შემდეგ.

20.11. **კლიენტი** უფლებამოსილია მიმართოს **ბანკს 3D უსაფრთხოების სერვისით** სარგებლობის შეწყვეტის მოთხოვნით. ამასთან, **კლიენტის** მიერ **3D უსაფრთხოების სერვისით** სარგებლობის შეწყვეტის შემთხვევაში, სერვისის შეწყვეტის შემდეგ განხორციელებულ არაავტორიზებულ ტრანზაქციებზე პასუხისმგებელია **კლიენტი**.

20.12. **ბანკი** ყველა ზომას მიმართავს იმისთვის, რომ **კლიენტი** უზრუნველყოს **3D უსაფრთხოების** სერვისით, მაგრამ **ბანკი** არ იქნება პასუხისმგებელი იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოხერხდა აღნიშნული მომსახურებით **კლიენტის** უზრუნველყოფა **ბანკისგან** დამოუკიდებელი მიზეზების გამო (მათ შორის და არამარტო, ადგილი აქვს **ბანკის** სისტემის ან **3D უსაფრთხოების** სერვისის შეფერხებას სისტემის განახლების ან/და გაუმჯობესების მიზეზით, **3D უსაფრთხოების** სერვისი შესაძლებელია არ იყოს ხელმისაწვდომი უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედი **მერჩანტების** ვებ-გვერდებზე).

20.13. **კლიენტის** ან/და საკუთარი ინტერესების დასაცავად, **ბანკს** შეუძლია შეაჩეროს ან/და შეზღუდოს **კლიენტის** მიერ **3D უსაფრთხოების** სერვისით ან მისი ნაწილით სარგებლობა. ამგვარი ქმედების განხორციელებისას **ბანკი** პირველი შესაძლებლობისთანავე შეტყობინებას გაუგზავნის **კლიენტს. ბანკს** აგრეთვე შეუძლია ნებისმიერ დროს მთლიანად ან ნაწილობრივ შეუწყვიტოს **კლიენტს 3D უსაფრთხოების** სერვისით სარგებლობა. **3D უსაფრთხოების** სერვისის შეჩერების ან/და შეზღუდვის შეთხვევაში მომსახურების შეჩერებამდე / შეზღუდვამდე არსებულ ოპერაციებზე პასუხისმგებელია **კლიენტი.**

20.14. **ბანკის** მხრიდან არ ჩაითვლება **ხელშეკრულების** დარღვევად და იგი არ იქნება ვალდებული დამდგარ შედეგზე როდესაც:

19.14.1. **3D უსაფრთხოების** სერვისით (ან მისი ნაწილით) მომსახურება შეუძლებელია **ბანკისგან** დამოუკიდებელი მიზეზების გამო;

19.14.2. ინტერნეტის საშუალებით ტრანზაქციების განხორციელებისას გაუმართავია სატელეკომუნიკაციო საშუალებები;

19.14.3. **ბარათის უფლებამოსილი მფლობელის** ტექნიკურ საშუალებებს გააჩნიათ პროგრამული ვირუსი;

19.14.4. **კლიენტის** უსაფრთხოების დეტალები (კერძოდ, **ერთჯერადი სმს ვერიფიკაციის კოდი**) არაავტორიზებულად იქნა გამოყენებული;

19.14.5. **ბანკს** არ მიუღია **კლიენტის** მიერ გაგზავნილი დავალებ(ებ)ი.

## 21. უკონტაქტო წამკითხველით მომსახურების სერვისი

21.1. PAY სისტემაში ჩართული **ბარათის** ან ID **ბარათის უფლებამოსილი მფლობელი უკონტაქტო წამკითხველით** სარგებლობის მიზნით ვალდებულია შეასრულოს **ბანკომატის** მითითებები, მათ შორის და არამარტო: (ა) **კლიენტის** იდენტიფიცირების მიზნით **ბარათი** განათავსოს **უკონტაქტო წამკითხველზე;** (ბ) **ბარათის** იდენტიფიცირების შემდეგ, შეიყვანოს მის სარგებლობაში არსებული მობილური ტელეფონის ნომერი; (გ) მის მიერ მითითებულ მობილური ტელეფონის ნომერზე მიღებული კოდი მიუთითოს **ბანკომატის** შესაბამის ველში; და სხვა.

21.2. **კლიენტის** იდენტიფიკაციის პროცედურის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, **ბარათის** მფლობელი უფლებამოსილია **ბანკომატის** ეკრანზე გამოტანილი ანგარიშ(ებ)იდან აირჩიოს ერთ-ერთი და განახორციელოს თანხის განაღდების **ოპერაცია**.

21.3. **ბანკომატიდან** თანხის განაღდების **ოპერაცია** დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ანგარიშზე ხელმისაწვდომი ნაშთი **ბანკისათვის** განაღდების საკომისიოს გადახდის შემთხვევაში შეადგენს მინიმუმ 5 (ხუთი) ლარს, ხოლო უცხოური ვალუტის შემთხვევაში - 5 (ხუთი) ლარის ეკვივალენტს შესაბამის ვალუტაში (**ბანკის** კომერციული კურსით ანგარიშისას).

## 22. SmartPAY/USSD მენიუ

22.1. SmartPAY/USSD მენიუ წარმოადგენს ფიჭური კავშირგაბმულობის მიმწოდებელი კომპანიების პროგრამულ უზრუნველყოფას და გამოიყენება **ბანკის** მიერ როგორც **დისტანციური საბანკო მომსახურების** ერთ-ერთი არხი, რომლის საშუალებითაც **კლიენტი** უფლებამოსილია მობილური ტელეფონით დააგენერიროს საგადახდო **დავალება** ან/და ისარგებლოს **ბანკის** მიერ შეთავაზებული სხვადასხვა მომსახურებით.

22.2. **კლიენტის** მიერ SmartPAY/USSD მენიუში ელექტრონული ფორმით გაკეთებულ განაცხადს (მაგ. ტელეფონში შესაბამისი კოდური ციფრის მითითებას, ღილაკის დაჭერას ან/და სხვა ქმედებას, რომელიც მკაფიოდ გამოხატავს **კლიენტის** ნებას) ან **მხარეთა** შორის SmartPAY/USSD მენიუს საშუალებით დადებულ ნებისმიერ გარიგებას (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად აღნიშნული გარიგების დადებაზე ელექტრონული ფორმით ნების გამოვლენას/დათანხმებას) აქვს მატერიალური დოკუმენტის თანაბარი იურიდიული ძალა (მატერიალურ დოკუმენტზე პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა).

## 23. მომსახურება დისტანციური მომსახურების ცენტრის მეშვეობით

23.1. **ბანკი** უფლებამოსილია, **კლიენტის** მიმართვის შემთხვევაში, **პირობებში** მოცემული ზოგიერთი მომსახურება, **ბანკის** მიერ განსაზღვრული მოცულობით, განახორციელოს დისტანციური მომსახურების ცენტრის ჩართულობით, მათ შორის განახორციელოს **კლიენტის** იდენტიფიკაცია, გასცეს ინფორმაცია, მიიღოს **დავალება** და ა.შ.

# ნაწილი III

## 24. საბანკო მომსახურების ტარიფები

24.1. **კლიენტის** და **ბანკის** ფინანსური ურთიერთობა სრულად რეგულირდება **ბანკის** მიერ დადგენილი ტარიფებით.

24.2. **კლიენტი ბანკს** უხდის საკომისიოს **პირობების** 1.4 პუნქტში აღნიშნული რომელიმე **პროდუქტის** / მომსახურების ან/და **სატარიფო პაკეტის** გამოყენებისას, მათი გამოყენების დროისათვის **ბანკის** მიერ დადგენილი ტარიფების შესაბამისად.

24.3. **სატარიფო პაკეტ(ებ)ის** მომსახურების საკომისიოს გადახდა ხორციელდება წინასწარ, თვეში ერთხელ.

24.4. **სატარიფო პაკეტ(ებ)ის** საფასურის პირველი გადახდა ხდება კონკრეტული **სატარიფო პაკეტის** შეძენის დღეს და შემდგომში თვეში ერთხელ ყოველი მომდევნო თვის იმავე რიცხვში. თუ კონკრეტულ კალენდარულ თვეში არ არსებობს აღნიშნული რიცხვი, საფასურის ჩამოჭრა განხორციელდება აღნიშნული კალენდარული თვის ბოლო რიცხვში.

24.5. **ბანკი** უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს მოქმედი **ტარიფები. ბანკის** მიერ დადგენილი **ტარიფების** ცვლილების შემთხვევაში, **კლიენტს** აღნიშნულის შესახებ ეცნობება წინასწარ პირადად ან **ბანკის** საინფორმაციო მასალების საშუალებით.

24.6. **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტის უნივერსალური ანგარიშიდან** ან/და **ბანკში** გახსნილი **კლიენტის** სხვა ანგარიშ(ებ)იდან უაქცეპტო წესით ჩამოწეროს მომსახურების ტარიფები.

24.7. საბანკო **პროდუქტების** მომსახურების საკომისიოს ჩამოწერა ხორციელდება **კლიენტის უნივერსალური ანგარიშიდან**, ან/და **კლიენტის ბანკში** გახსნილი სხვა ანგარიშ(ებ)იდან, მათ შორის კონვერტაციის გზით, კონვერტაციის დღეს **ბანკის კომერციული გაცვლითი კურსის** შესაბამისად.

24.8. **ბანკის** პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად **კლიენტისათვის** შეთავაზებული ერთობლივი მომსახურების/**პროდუქტების** ტარიფები განისაზღვრება ცალმხრივად ამ ორგანიზაციების მიერ.

24.9. **კლიენტის** მიერ **სატარიფო პაკეტის** ან/და მომსახურების **პროდუქტის** შეძენის შემდეგ **სატარიფო პაკეტზე** ან/და **სატარიფო პაკეტით** გათვალისწინებულ მომსახურებაზე/**პროდუქტზე** უარის თქმის შემთხვევაში **კლიენტს** გადახდილი თანხა არ დაუბრუნდება.

24.10. **კლიენტის** მიერ რომელიმე მომსახურების ან **სატარიფო პაკეტის** საკომისიოს გადაუხდელობა **ბანკს** ანიჭებს უფლებას შეუჩეროს ან შეუწყვიტოს წინამდებარე **პირობებით** განსაზღვრული სხვა მომსახურება ან **სატარიფო პაკეტით** სარგებლობის უფლება.

24.11. **კლიენტის** მიერ ახალი **სატარიფო პაკეტის** შეძენის (**სატარიფო პაკეტის** ცვლილების) შემთხვევაში, **კლიენტზე** გავრცელდება ახალი **სატარიფო პაკეტით** განსაზღვრული ტარიფები. ამასთან, თუ ხორციელდება:

24.11.1. უფრო მაღალი ღირებულების **სატარიფო პაკეტის** შეძენა - ახალი **სატარიფო პაკეტის** მომსახურების საკომისიო დაკორექტირდება **კლიენტის** მიერ მანამდე შეძენილი **პაკეტით** სარგებლობისათვის წინასწარ გადახდილი საკომისიოს ოდენობის შესაბამისად (ფაქტობრივად ნასარგებლი დღეების მიხედვით);

24.11.2. უფრო დაბალი ღირებულების **სატარიფო პაკეტის** შეძენა - **კლიენტს** აუნაზღაურდება მანამდე შეძენილი **სატარიფო პაკეტით** სარგებლობისათვის წინასწარ გადახდილი საკომისიოს შესაბამისი ოდენობა.
24.12. ახალი **სატარიფო პაკეტის** შეძენისას / **სატარიფო პაკეტის** ცვლილებისას მომსახურების საკომისიოს გადახდის თარიღი შეიცვლება და განისაზღვრება **სატარიფო პაკეტის** შეძენის / ცვლილების თარიღის შესაბამისად.
24.13. კონკრეტული **სატარიფო პაკეტის** მომსახურების საკომისიოს გადახდის დღეს **კლიენტს** დაერიცხება მომდევნო თვის საკომისიო. იმ შემთხვევაში, თუ ანგარიშზე არ იქნება საკმარისი ნაშთი, დარიცხული საკომისიოს გადასახდელად მოხდება მისი (საკომისიოს) დამახსოვრება, რომლის ჩამოჭრაც განხორციელდება ანგარიშზე თანხის გაჩენისთანავე.
24.14. თუ **სატარიფო პაკეტ(ებ)ის** ტარიფ(ებ)ის (საკომისიოს) გადახდის დღეს **კლიენტის** ანგარიშზე უკვე ფიქსირდება დავალიანება წინა თვის საკომისიოს სახით, ყოველთვიურად განხორციელდება მომდევნო თვის/თვეების საკომისიოს აკუმულირება დავალიანების სახით. დაგროვილი დავალიანების თანხის ჩამოჭრა **კლიენტის** ანგარიშ(ებ)დან მოხდება ანგარიშ(ებ)ზე თანხის ნებისმიერი ფორმით განთავსებისთანავე იქამდე, ვიდრე დავალიანება სრულად არ დაიფარება. **სატარიფო პაკეტ(ებ)ის** ტარიფ(ებ)ის (საკომისიოს) ზედიზედ 3 (სამი) თვის განმავლობაში სრულად ან ნაწილობრივ გადაუხდელობის შემთხვევაში, დავალიანების აკუმულირება წყდება.
24.15. **სატარიფო პაკეტ(ებ)ის** მომსახურების საკომისიოს დავალიანების დაფარვის შემდეგ **კლიენტს** აღუდგება არსებული საპაკეტო ტარიფი (ასეთის არსებობისას). ამასთან, **სატარიფო პაკეტ(ებ)ის** საკომისიოს დარიცხვის ვადები დარჩება იგივე, რაც განსაზღვრულია შესაბამისი **სატარიფო პაკეტის** შეძენისას.
24.16. **კლიენტის** მიერ **ბანკის** მიმართ დავალიანების არსებობის შემთხვევაში პირველ რიგში ხდება **ბანკის** მიერ **კლიენტის** ანგარიშ(ებ)იდან თანხის ჩამოწერა დავალიანების დასაფარად. მხოლოდ ამის შემდეგ აქვს **კლიენტს** უფლება განკარგოს დარჩენილი თანხა საკუთარი შეხედულებისამებრ.
24.17. **კლიენტის** მიერ **ბანკის** მიმართ არსებული დავალიანებისას, გადასახდელი თანხა იფარება **ბანკის** შეხედულებით განსაზღვრული თანმიმდევრობით. ამასთან, დავალიანების დაფარვის სტანდარტული თანმიმდევრობა შემდეგია:
24.17.1. **სატარიფო პაკეტების** მომსახურების საკომისიო (არსებობის შემთხვევაში);
24.17.2. საკრედიტო დავალიანება (არსებობის შემთხვევაში) – მათ შორის საკრედიტო ბარათის, **ოვერდრაფტის** და სხვა საკრედიტო **პროდუქტის** მიხედვით;
24.17.3. **თანხის გადახარჯვის (ოვერლიმიტის)** პროცენტი (არსებობის შემთხვევაში);
24.17.4. **კლიენტის** მიერ **ბანკის** წინაშე არსებული სხვა დავალიანება (არსებობის შემთხვევაში).
24.17.5. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად **პირობების** 24.17 პუნქტში მოცემული დავალიანების დაფარვის სტანდარტული თანმიმდევნობა არ გამორიცხავს **ბანკის** უფლებას, **კლიენტის** დავალიანების დაფარვა განახორციელოს სხვა, თავისი შეხედულებისამებრ განსაზღვრული თანმიმდევრობით.

## 25. დავალების მიღების და შესრულების ვადები

25.1. **ბანკი** გადახდის **ოპერაციას** ახორციელებს გადამხდელის ან მიმღების მიერ **ბანკისათვის** წარდგენილი **დავალების** საფუძველზე. ამასთან, **დავალება** შეიძლება წარდგენილი იქნას მატერიალურ მატარიალური ან/და არამატერიალური-ელექტრონული ფორმით.
25.2. **დავალებას ბანკი** მიიღებს და შეასრულებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადამხდელის ან მიმღების მიერ სრულად და ჯეროვნად შევსებული იქნება **ბანკის** მიერ მოთხოვნილი რეკვიზიტები.
25.3. **კლიენტისთვის** ცნობილია, რომ **ბანკის** მიერ **დავალების** მიღება ავტომატურად არ გულისხმობს გადახდის **ოპერაციის** შესრულებას და გადახდის **ოპერაცია** დაკავშირებულია შესაბამის ვადებთან, რომელიც დამოკიდებულია თავად **დავალების** შინაარსზე.
25.4. **ბანკის** მიერ **დავალებ(ებ)ის** მიღებისთვის დადგენილი დროის მონაკვეთი, აგრეთვე მიღებული **დავალებ(ებ)ის** განხორციელებისთვის საჭირო მაქსიმალური ვადები მოცემულია **ხელშეკრულების #4 დანართში.**

## 26. მხარეთა პასუხისმგებლობა

26.1. **მხარეები** იღებენ ვალდებულებას აუნაზღაურონ ერთმანეთს მათ მიერ **ხელშეკრულების** შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი (ზარალი) **კანონმდებლობით** ან/და **ხელშეკრულებით** დადგენილი წესით.
26.2. **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების უზრუნველსაყოფად, **კლიენტი** აცხადებს წინასწარ თანხმობას **ბანკის** სრულ უფლებამოსილებაზე, **ბანკმა** საკუთარი შეხედულებისამებრ:
26.2.1. **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულებით** ან/და **ბანკთან** არსებული სხვა ნებისმიერი ხელშეკრულებ(ებ)ით (მათ შორის და არამარტო საკრედიტო ან/და უზრუნველყოფის ხელშეკრულებ(ებ)ით) ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების (მათ შორის ასეთი საფრთხის არსებობის) შემთხვევაში დაბლოკოს **კლიენტის** ანგარიში;
26.2.2. **კლიენტის ბანკში** არსებული ნებისმიერი სახის ანგარიშიდან უაქცეპტოდ ჩამოწეროს ყველა გადასახდელი (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად ოპერაციების წარმოებისათვის და ანგარიშის მომსახურებისათვის **ბანკში** დადგენილი საკომისიო მოსაკრებლები, **კანონმდებლობით** განსაზღვრული გადასახადები/გადასახდელები, შეცდომით ჩარიცხული თანხები, ზიანის/ზარალის ანაზღაურების თანხები) და მიმართოს არსებული ფულადი ვალდებულებების დასაფარად/შესამცირებლად;
26.2.3. თუ გადასახდელი და ანგარიშზე რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, **ბანკმა** თავად განახორციელოს კონვერტაცია გადახდის თარიღისათვის **ბანკში** მოქმედი კომერციული კურსით, ხოლო კონვერტაციის მომსახურების ღირებულება ასევე უაქცეპტოდ ჩამოწეროს **კლიენტს** ანგარიშიდან;
26.2.4. **ბანკის** წინაშე არსებული **კლიენტის** ვალდებულებები გაქვითოს **კლიენტის** წინაშე არსებულ **ბანკის** ნებისმიერ ვალდებულებაში.

## 27. პასუხისმგებლობის შეზღუდვა

27.1. იმის გათვალისწინებით, რომ **ბანკი** მოქმედებს **კლიენტის** დავალებით საბანკო მომსახურების გაწევისას **კლიენტი** აცხადებს თანხმობას იმის შესახებ, რომ აუნაზღაურებს და დაიცავს **ბანკს** ზიანისგან, ზარალისგან, სასამართლო ხარჯებისგან, **კლიენტის** ან მესამე **მხარის** მიერ (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს **დამატებითი ბარათის** მფლობელებს) წამოწყებული საჩივრისგან, ქმედებისგან ან სასამართლოში წარდგენილი საჩივრისგან, სარჩელისგან ან განაცხადისგან ასევე **კლიენტი** აუნაზღაურებს და დაიცავს **ბანკს** ისეთი ზიანისაგან, რომელიც წარმოიშვა საბანკო მომსახურების გამოყენების შედეგად, ან ისეთი ზიანისაგან, რომელიც წარმოიქმნა საბანკო მომსახურების მეშვეობით განხორციელებული **ოპერაციის** შედეგად; **კლიენტი** აღიარებს, რომ აღნიშნული ოპერაციები განხორციელდება **ბანკის** მიერ მიღებული დავალებების და ავტორიზაციის შესაბამისად ამ პირობების მიხედვით და სხვა შესაბამისი განსაკუთრებული პირობების, ხელშეკრულებების, კონტრაქტების ან მსგავსი ინსტრუმენტების მიხედვით. **კლიენტი** აგრეთვე აცხადებს თანხმობას და ადასტურებს, რომ ზარალის ანაზღაურების პირობები ძალაში დარჩება და **კლიენტისათვის** მავალდებულებელი იურიდიული ძალა ექნება იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოხდება საბანკო მომსახურების ნაწილობრივ ან მთლიანად გაუქმება.
27.2. **კლიენტი** აცხადებს და თანახმაა, რომ მას შესაძლოა მოუწიოს ზარალის ანაზღაურების შესახებ დამატებითი ხელშეკრულებების, განცხადებების ან სხვა მსგავს დოკუმენტზე ხელმოწერა და მათი / მისი შესრულება, განსაკუთრებით კი ისეთ ოპერაციებთან დაკავშირებით, რომლებიც **წვდომის კოდ(ებ)ის** გამოყენებით განხორციელდა. ამგვარი დამატებითი ხელშეკრულებები, განცხადებები და მსგავსი საშუალებები დაემატება და არ გამორიცხავს აქ მოყვანილ პირობებს ზარალის ანაზღაურების შესახებ.
27.3. ამ **ხელშეკრულების** პირობების მიუხედავად, **ბანკი** არ იქნება პასუხისმგებელი **კლიენტის** წინაშე ისეთ ზარალზე ან ზიანზე, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ წარმოიშვა საბანკო მომსახურებასთან დაკავშირებით. ასევე გამორიცხულია **ბანკის** პასუხისმგებლობა ნებისმიერ ზარალზე ან ზიანზე, მოგების, ბიზნესის, შემოსავლის ან დაგეგმილი დანაზოგების დაკარგვაზე, რომელიც დაკავშირებულია **ხელშეკრულებაში** განსაზღვრულ საბანკო მომსახურებებთან.
27.4. ზემოაღნიშნული დებულებები ზარალის ანაზღაურების და ვალდებულებების შეზღუდვის შესახებ გავრცელდება **ბანკის** აღმასრულებელ პირებზე, დირექტორებზე, თანამშრომლებზე, წარმომადგენლებსა და აგენტებზეც, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ზარალი გამოწვეულია **ბანკის** ან ზემოაღნიშნული პირების დაუდევრობით, სამსახურებრივი გულგრილობით ან გამიზნული ქმედებით ან ამ ხელშეკრულების პირობების დარღვევით (ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს ამ პირობების დარღვევას).
27.5. **დისტანციური საბანკო მომსახურების არხების** გამოყენებისას **კლიენტი** პასუხისმგებელია ყველა **დავალებაზე**, რომელსაც იგი გასცემს ბანკზე სპეციალური უსაფრთხოების პროცედურების გავლის შემდეგ, იმ მომენტამდე, სანამ იგი არ შეწყვეტს საბანკო მომსახურებით სარგებლობას. აღნიშნული გულისხმობს პასუხისმგებლობას **დავალებაზე** ან აღნიშნული **დავალების** შევსებისას დაშვებულ ნებისმიერ შეცდომაზე, რომელიც გაგზავნილი იყო მესამე პირის მიერ. **კლიენტმა** არ უნდა დატოვოს დისტანციურ საბანკო მომსახურებასთან დასაკავშირებელი მოწყობილობა უყურადღებოდ.
27.6. **ბანკი** არ იქნება პასუხისმგებელი **კლიენტის** წინაშე, თუ: **ბანკს** არ მიუღია **კლიენტის** მიერ გაგზავნილი დავალებ(ებ)ი; **კლიენტმა ბანკს** მიაწოდა არასწორი ან არასრული ინფორმაცია; კლიენტსა და **ბანკს** შორის ინტერნეტით კავშირში ჩაერთო მესამე **მხარე**.
27.7. ამ მუხლში აღნიშნული პირობები ძალაში დარჩება საბანკო მომსახურების შეწყვეტის შემთხვევაშიც, სანამ **მხარეები** ერთმანეთის წინაშე ბოლომდე არ შეასრულებენ ხელშეკრულებიდან წარმოშობილ ვალდებულებებს.

## 28. გადასახადები

28.1. **კლიენტი** თავად არის პასუხისმგებელი სახელმწიფო თუ სხვა ორგანოსთვის საგადასახადო **განაცხადის** შეტანაზე ამ პირობების (ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს ინტერნეტ-ბანკით მომსახურების პირობებს) შესაბამისად. **კლიენტი** აგრეთვე თავად არის პასუხისმგებელი გადაიხადოს ნებისმიერი გადაუხდელი გადასახადი (ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს

დამატებული ღირებულების გადასახადს), ბეგარა, საბაჟო გადასახადი, რომელიც შეიძლება დაწესდეს ნებისმიერ ვალდებულებაზე, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ანგარიშ(ებ)ის მართვასთან ან წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ნებისმიერ ან ყველა საბანკო მომსახურებასთან მიმართებაში (ერთად, ”საგადასახადო ვალდებულება”); ამასთანავე, **ბანკი** თავად იქნება პასუხისმგებელი ნებისმიერი გადასახადის გადახდაზე ან ვალდებულებაზე, რომელიც დაკავშირებულია კლიენტისგან მიღებულ საკომისიო თანხასთან. თუ საქართველოს **კანონმდებლობით** გათვალისწინებულია, რომ ნებისმიერი ვალდებულების გადახდა შესაძლებელია თანხების დაკავებით, **ბანკი** ან/და ნებისმიერი შვილობილი / აფილირებული კომპანია ამგვარი თანხის გადახდას ან ჩამოწერას **კლიენტის** ხარჯზე მოახდენს იმის გათვალისწინებით, რომ **ბანკი კლიენტს** გაუგზავნის შესაბამის შეტყობინებას. თუ კანონის შესაბამისად **ბანკს** ეკისრება რაიმე გადასახადი ან ჯარიმა **კლიენტის** საგადასახადო ვალდებულების გამო, **კლიენტი** დაუყოვნებლივ აუნაზღაურებს **ბანკს** ყველა ამგვარ ვალდებულებას იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ამგვარი გადასახადის ან ჯარიმის დაწესება გამოწვეულია **ბანკის** რომელიმე ქვედანაყოფის დაუდევრობით, სამსახურებრივი გულგრილობით ან გამიზნული ქმედებით.

28.2. **ბანკი** ვალდებულია შესაბამისობაში იყოს მხოლოდ საქართველოს **კანონმდებლობით** და საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან. საქართველოს კანომდებლობასთან ერთად **კლიენტმა** უნდა დააკმაყოფილოს სხვა შესაბამისი ქვეყნის საკანონმდებლო მოთხოვნები (მოიცავს იმ ქვეყნის კანომდებლობას, რომლის მოქალაქეც არის **კლიენტი** ან რომელ ქვეყანაშიც ცხოვრობს).

28.3. **კლიენტი** ვალდებულია არ გამოიყენოს **ანგარიში** ან/და პირობებში აღწერილი მომსახურება სამეწარმეო საქმიანობისთვის ან/და საქართველოს **კანონმდებლობით** აკრძალული ნებისმიერი საქმიანობისთვის. ამასთან, **კლიენტის** მიერ სამეწარმეო საქმიანობის დაწყების და გადასახადის გამხდელ პირად რეგისტრაციის შემთხვევაში იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს **ბანკს.**

## 29. ხელშეკრულების ცვლილება

29.1. **ბანკი** უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, **კლიენტისათვის** წინასწარ 1 (ერთი) თვით ადრე გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე, ცალმხრივად (**კლიენტის** დამატებითი თანხმობის გარეშე) შეცვალოს ხელშეკრულების პირობები, ამასთან წინასწარი გაფრთხილების ვალდებულება არ ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც:

29.1.1. **ხელშეკრულებით** ან **პირობებით** განსაზღვრული მომსახურების ტარიფების ცვლილება ხორციელდება **კლიენტის** სასარგებლოდ;

29.1.2. **ხელშეკრულებაში** ან **პირობებში** ხორციელდება ახალი საგადახდო მომსახურების, საბანკო **პროდუქტის** ან **დისტანციური საბანკო მომსახურების არხის** დამატება, რომელიც არსებითად არ ანაცვლებს ან/და არ ცვლის **ხელშეკრულებაში** ან/და **პირობებში** არსებულ მომსახურებებს.

29.2. თუ **კლიენტი** არ დაეთანხმება **ბანკის** მიერ შეცვლილ პირობებს, იგი ვალდებულია ცვლილებების ძალაში შესვლამდე წერილობით აცნობოს აღნიშნულის შესახებ **ბანკს,** წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ **კლიენტი** ეთანხმება განხორციელებულ ცვლილებებს.

29.3. ცვლილებების მიღებაზე უარის დაფიქსირების შემთხვევაში, **კლიენტი** უფლებამოსილია მოითხოვოს **ხელშეკრულების** დაუყოვნებლივ შეწყვეტა, ამასთან თუ ასეთი მოთხოვნა არ არის დაფიქსირებული **კლიენტის** მხრიდან განცხადებაში, **ბანკი** უფლებამოსილია თავად შეწყვიტოს **ხელშეკრულების** მოქმედება ცვლილებების ამოქმედების თარიღიდან.

29.4. წინამდებარე მუხლით განსაზღვრული მიზეზით **ხელშეკრულების** ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია მოითხოვოს, ხოლო **კლიენტი** ვალდებულია სრულად დაფაროს **ბანკის** მიმართ არსებული დავალიანება (ასეთის არსებობის შემთხვევაში), წინამდებარე **პირობებით** დადგენილი წესით. ამასთან, **ხელშეკრულების** შეწყვეტისათვის **კლიენტს** არ დაეკისრება რაიმე სახის საჯარიმო საკომისიო ან/და დამატებითი პირგასამტეხლო **ხელშეკრულების** ვადამდე შეწყვეტისათვის.

29.5. **ხელშეკრულებაში** ცვლილებების შესახებ **კლიენტის** ინფორმირება (ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში) განხორციელდება შეცვლილი **პირობების** ტექსტის **ბანკის** ვებგვერდზე - http://libertybank.ge განთავსების გზით. ამასთან, **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტის** ინფორმირება დაგეგმილი ან არსებული ცვლილების შესახებ მოახდინოს წინამდებარე **პირობების** 31-ე მუხლით განსაზღვრული კომინიკაციის ერთი ან რამდენიმე ფორმით. **კლიენტი** თავად არის ვალდებული პერიოდულად შეამოწმოს **ბანკის ვებ-გვერდი** და გაეცნოს **პირობებში** ცვლილებებს.

## 30. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტა

30.1. ეს **პირობები** ძალაში შევა მას შემდეგ, რაც **კლიენტი** შეავსებს შესაბამის განაცხადს, ხელს მოაწერს/დაეთანხმება ელექტრონული ფორმით და ჩააბარებს **ბანკს** და მას დაეთანხმება **ბანკი. ბანკის** თანხმობა გამოიხატება **კლიენტისათვის** შესაბამისი საბანკო მომსახურების გაწევის დაწყებით.

30.2. ძალაში შევა პირობების მხოლოდ ის ნაწილები, რომლებიც შეეხება **კლიენტის** მიერ **განაცხადში** მითითებულ მომსახურებას და მათთან ერთად **პირობების** I და III ნაწილები.

30.3. **პირობები** ძალაშია **პროდუქტის** / მომსახურების ან/და **სატარიფო პაკეტის** მოქმედების ვადით და მოქმედებს მის შეწყვეტამდე ამ **პირობებით** განსაზღვრული წესის შესაბამისად.

30.4. **პროდუქტის** / მომსახურების ან **სატარიფო პაკეტის** მოქმედების შეწყვეტის შემდეგ მისი მოქმედების განახლების შემთხვევაში **პროდუქტზე** / მომსახურებაზე ან/და **სატარიფო პაკეტზე** გავრცელდება წინამდებარე **პირობები,** ყოველგვარი დამატებითი შეთანხმების გარეშე.

30.5. თუ **ბანკი** ან/და **კლიენტი** გადაწყვეტენ შეწყვიტონ ზოგიერთი სახის საბანკო **პროდუქტით** მომსახურება, შეწყვეტის შესახებ შეთანხმება ძალაში იქნება მხოლოდ მითითებულ მომსახურებასთან დაკავშირებით.

30.6. თუ წინამდებარე **პირობებით,** მათ შორის ანგარიშის დახურვის მუხლით, ან საქართველოს **კანონმდებლობით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული, **ბანკს** უფლება აქვს შეწყვიტოს მთლიანი **ხელშეკრულება** ნებისმიერ დროს. ასეთ შემთხვევაში **ბანკი კლიენტს** გაუგზავნის შესაბამის შეტყობინებას, **ხელშეკრულების** შეწყვეტამდე სულ მცირე 1 (ერთი) თვით ადრე.

30.7. თუ **კლიენტი** დაარღვევს **ხელშეკრულების** მნიშვნელოვან პირობას ან მის გადახდისუნარიანობას შეექმნება საფრთხე, **ბანკი** შესაბამისი შეტყობინების გაგზავნით უარს განუცხადებს **კლიენტს** მომსახურების გაწევაზე და გააუქმებს ხელშეკრულებას, ბარათ(ებ)ს, დახურავს **კლიენტის** ანგარიშ(ებ)ს, გააუქმებს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ საბანკო მომსახურებას (ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს დისტანციურ საბანკო მომსახურების არხებს) და მოითხოვს **კლიენტის** მიერ **ბანკის** წინაშე არსებული დავალიანების სრულად დაფარვას ან/და ხელშეკრულების შეწყვეტას.

30.8. **კლიენტის** მიერ **ბანკის უნივერსალური ანგარიშით** მომსახურების შეწყვეტის ან ამ ანგარიშის დახურვის შემთხვევაში **ბანკი** უფლებამოსილია შეუწყვიტოს **კლიენტს** წინამდებარე პირობებით განსაზღვრული ნებისმიერი ან ყველა მომსახურება.

30.9. **კლიენტს** უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს **ხელშეკრულება ბანკისთვის** 1 (ერთი) თვით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე. ამასთან, **ბანკის** თანხმობის შემთხვევაში **ხელშეკრულება** შესაძლებელია შეწყდეს აღნიშნულ ვადაზე ადრეც.

30.10. **კლიენტი** აცნობიერებს და თანახმაა, რომ **ხელშეკრულება** არ შეწყდება მანამ, სანამ **კლიენტი** არ შეწყვეტს ისეთ განგრძობად **ოპერაციებსაც** (რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს მუდმივ საგადასახადო დავალებას, ავტომატურ კომუნალურ გადახდებს, განმეორებად ოპერაციებს და განგრძობად ავტორიზაციას, რომელიც **კლიენტმა** გასცა საქონლის ან მომსახურების მომწოდებელზე და რაც გულისხმობს მისი **უნივერსალური ანგარიშიდან** თანხის რეგულარულად ჩამოწერას), რომლებიც **კლიენტის დავალების** საფუძველზე ხორციელდება მისივე ანგარიშ(ებ)იდან.

30.11. თუ რომელიმე **მხარე** გადაწყვეტს **ხელშეკრულების** შეწყვეტას, მაშინ: ყველა **ბარათი,** რომელიც **ბანკმა** გასცა **კლიენტზე** ან **დამატებითი ბარათის მფლობელ(ებ)ზე,** უნდა დაუბრუნდეს **ბანკს;** ყველა **წვდომის კოდ(ებ)ი** გაუქმდეს; **კლიენტმა ბანკს** უნდა გადაუხადოს **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ყველა გადასახდელი თანხა.

30.12. **ხელშეკრულების** შეწყვეტის შემთხვევაში, მომსახურების ტარიფების გადახდა უნდა განხორციელდეს მხოლოდ გაწეული საგადახდო მომსახურების პერიოდის პროპორციულად, ამასთან თუ ტარიფებით განსაზღვრული რომელიმე რეგულარული/პერიოდული საკომისიო გადახდილია წინასწარ, **ბანკი** უზრუნველყოფს ზედმეტად გადახდილი თანხის **კლიენტისთვის** დაბრუნებას.

30.13. თუ **ხელშეკრულების** შეწყვეტა **კლიენტის** მიერ განხორციელდება ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 12 (თორმეტი) თვის გასვლამდე, **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტს** დააკისროს **ხელშეკრულების** შეწყვეტასთან დაკავშირებული ფინანსური ვალდებულება, იმ მოცულობით, რა მოცულობაც არ უნდა აღემატებოდეს **ხელშეკრულების** შეწყვეტიდან გამომდინარე **ბანკის** მიერ გასაწევ რეალურ ხარჯს.

30.14. **ხელშეკრულების** შეწყვეტის შესახებ **კლიენტის** ინფორმირება (ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში) განხორციელდება წინამდებარე **პირობების** 31-ე მუხლით განსაზღვრული კომუნიკაციის რომელიმე ფორმით.

## 31. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა

31.1. წინამდებარე **პირობები** რეგულირდება და განიმარტება საქართველოს **კანონმდებლობის** შესაბამისად.

31.2. ნებისმიერი დავა, წინააღმდეგობა ან საჩივარი, რომელიც წარმოიშობა ან შეეხება ამ პირობებს ან ამ პირობების ნებისმიერ დარღვევას, მოგვარდება **მხარეებს** შორის მოლაპარაკების საფუძველზე.

31.3. დავის მოუგვარებლობის შემთხვევაში, **მხარეები** მიმართავენ სასამართლოს **ბანკის** ადგილსამყოფელის მიხედვით. ამასთან, **მხარეები** თანხმდებიან, რომ დავასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ **ბანკის** სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეული იქნება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

## 32. კომუნიკაცია

32.1. **ბანკის** მიერ **კლიენტთან** კომუნიკაცია ხორციელდება, როგორც წერილობითი ასევე ზეპირი ფორმით, ხოლო **კლიენტის** მიერ **ბანკთან** კომუნიკაცია მხოლოდ წერილობითი ფორმით.

32.2. წერილობითი ფორმით კომუნიკაციისას შეტყობინება უნდა მიეწოდოს **მხარეს ხელშეკრულებაში** ან/და **ბანკთან** არსებულ სხვა ხელშეკრულებ(ებ)ში, **განაცხადებში** მითითებულ საკონტაქტო მონაცემებზე პირადად, კურიერის (მათ შორის რეგისტრირებული ფოსტის ან/და სასამართლო კურიერის), ელექტრონული ფოსტის, ფიჭური კავშირგაბმულობის (მოკლეტექსტური შეტყობინების), **ინტერნეტბანკინგის, მობილ-ბანკის** ან/და **ბანკის** მიერ შემდგომში განსაზღვრული კომუნიკაციის სხვა საშუალებებით, იმის გათვალისწინებით, რომ:

32.2.1. **კლიენტის** მიერ **ბანკისათვის** პირადად ან/და კურიერის საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება **ბანკის** კანცელარიაში შეტყობინების რეგისტრაციის დღეს, ხოლო ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნისას, **ბანკის** მიერ **კლიენტისათვის** მიღების დამადასტურებელი საპასუხო ელექტრონული წერილის გაგზავნის დღეს;

32.2.2. **ბანკის** მიერ **კლიენტისათვის** კურიერის (მათ შორის რეგისტრირებული ფოსტის ან/და სასამართლო კურიერის) საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება **კლიენტისათვის** ჩაბარების დღეს, ხოლო აღნიშნული ჩაბარების დადასტურების არ არსებობის შემთხვევაში **კლიენტის** მისამართზე შეტყობინების ნებისმიერი პირისათვის ჩაბარებიდან მომდევნო კალენდარულ დღეს;

32.3. **ბანკის** მიერ **კლიენტისათვის** ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება **კლიენტის** ელექტრონული ფოსტის სერვერიდან მიღებული დასტურის (ადრესატის ელექტრონულ ფოსტაში რეგისტრაციის შესახებ შეტყობინების) გაცემის დღეს. ხოლო ასეთი დასტურის არ არსებობის შემთხვევაში მომდევნო კალენდარულ დღეს;

32.4. **ბანკის** მიერ **კლიენტისათვის** ფიჭური კავშირგაბმულობის (მოკლეტექსტური შეტყობინების), ინტერნეტბანკინგის, მობილ-**ბანკის** ან/და **ბანკის** მიერ შემდგომში განსაზღვრული კომუნიკაციის სხვა საშუალებებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება შეტყობინების გაგზავნის დღეს, ხოლო **ბანკის** ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსებისას - ინფორმაციის განთავსების დღეს.

32.5. თუ **კლიენტი ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ნებისმიერი საკონტაქტო მონაცემის (მათ შორის ხელშეკრულებაში არსებული ნებისმიერი რეკვიზიტის) ცვლილების შესახებ წინასწარ არ შეატყობინებს **ბანკს** ან/და უშუალოდ ან საკონტაქტო პირის საშუალებით უარს განაცხადებს **ხელშეკრულების** საფუძველზე გაგზავნილი შეტყობინების მიღებაზე ან გაგზავნილი შეტყობინება ვერ ჩაბარდება **კლიენტს** მისამართზე არ ყოფნის მიზეზით ზედიზედ ორჯერ, **ბანკის** მიერ განხორციელებული ნებისმიერი ასეთი შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად შეტყობინების გაგზავნიდან მომდევნო კალენდარულ დღეს.

32.6. თუ **ხელშეკრულებაში** არ არის მითითებული **კლიენტის** საკონტაქტო მონაცემ(ებ)ი ან შეტყობინება ზედიზედ მეორე მცდელობის შემდეგ ვერ ჩაბარდება ადრესატს, **ბანკი** უფლებამოსილი იქნება მოახდინოს **კლიენტის** ინფორმირება საჯარო პუბლიკაციის გზით (როგორც ბეჭდვითი, ასევე ინტერნეტის საშუალებით ან სხვა ფორმით). აღნიშნული ქმედება არ ჩაითვლება პერსონალურ მონაცემთა დარღვევად და წინამდებარე **ხელშეკრულება** განიხილება როგორც **კლიენტის** თანხმობა მისი მონაცემების ამ მიზნით და მოცულობით დამუშავების თაობაზე.

32.7. **მხარეთა** შორის კომუნიკაცია ხორციელდება ქართულ ენაზე, ამასთან, **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტთან** კომუნიკაცია განახორციელოს **კლიენტისთვის** მისაღებ სხვა ენაზეც.

32.8. **ბანკი** უფლებამოსილია განახორციელოს **კლიენტთან** კომუნიკაცია სხვადასხვა მიზნით. შესაბამისად, **კლიენტისთვის** განკუთვნილი შეტყობინება (როგორც წერილობითი ასევე ზეპირი) შესაძლოა ატარებდეს (ა) საინფორმაციო/ტრანზაქციულ (მაგალითად ინფორმაცია **კლიენტის** ანგარიშზე შესრულებული ოპერაციების შესახებ, **წვდომის კოდების კლიენტისთვის** მიწოდება, გადახდის გრაფიკის შეხსენება და სხვა), (ბ) სახელშეკრულებო-ვალდებულებით (მაგალითად, გაფრთხილება დავალიანების არსებობის თაობაზე, ვალდებულების შესრულების მოთხოვნა და სხვა), (გ) მარკეტინგულ (მაგალითად, ახალი კრედიტის ან **პროდუქტის** შეთავაზება და სხვა) ან/და **კანონმდებლობით** განსაზღვრულ შინაარსს.

32.9. **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტთან** კომუნიკაციისას გამოიყენოს **ბანკში კლიენტის**, ან მისი თანხმობით მესამე პირების მიერ **კლიენტის** შესახებ დაფიქსირებული, ან თავად **კლიენტის** მიერ მესამე პირების შესახებ დაფიქსირებული ნებისმიერი საკონტაქტო მონაცემი. ერთი სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში დაფიქსირებული **კლიენტის** ან/და მესამე პირ(ებ)ის საკონტაქტო მონაცემები (მიუხედავად იმისა მოქმედია თუ არა აღნიშნული ხელშეკრულება), **ბანკის** მიერ შესაძლებელია გამოყენებული იქნას, ამავე ან/და **ბანკის** სხვა **კლიენტის ბანკთან** არსებული სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში კომუნიკაციის მიზნით და პირიქით.

32.10. **კლიენტის** თავად არის პასუხისმგებელი იმ შედეგებზე, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს საკონტაქტო მონაცემების გამოყენებისას კონფიდენციალურობის დარღვევის შედეგად. თუ **კლიენტს** არ სურს **ბანკმა** ისარგებლოს რომელიმე საკონტაქტო მონაცემით, **კლიენტმა** აღნიშნული მოთხოვნით **ბანკს** უნდა მიმართოს წერილობით.

## 33. კონფიდენციალურობა და პერსონალური მონაცემები

33.1. ***<u>მონაცემების დამუშავება</u>*. კლიენტისათვის** ცნობილია და ეთანხმება, რომ **ბანკის** მომსახურებით სარგებლობის პერიოდში, ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდგომაც, **ბანკი** უფლებამოსილია, წინამდებარე **პირობების** 33.10. პუნქტში მოცემული მიზნებით, განახორციელოს **კლიენტის** შესახებ არსებული ინფორმაციის, მათ შორის **კლიენტის** პერსონალური მონაცემების, დამუშავება.

33.2. **ბანკის** მიერ **მონაცემთა დამუშავება,** ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებულ ნებისმიერ მოქმედებას, მათ შორის მონაცემების **კლიენტისაგან**, საჯაროდ ხელმისაწვდომი წყარო(ები)დან ან/და წინამდებარე პირობების **#3 დანართში** ჩამოთვლილი **მესამე პირ(ებ)ისაგან** მოპოვებას, შეგროვებას, ჩაწერას, ფოტოზე აღბეჭდვას, აუდიოჩაწერას, ვიდეოჩაწერას, ორგანიზებას, შენახვას, შეცვლას, აღდგენას, გამოთხოვას, გამოყენებას ან გამჟღავნებას (მათ შორის ინფორმაციის წინამდებარე პირობებში მითითებული მიზნებით მესამე პირებისთვის გამჟღავნებას) მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფებას ან კომბინაციას, დაბლოკვას, წაშლას ან განადგურებას.

33.3. **ბანკის** ან/და წინამდებარე პირობებში ჩამოთვლილი **მესამე პირების** (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, **ბანკის** შეკვეთით უფლებამოსილი პირების) მიერ ხორციელდება **კლიენტის** ან/და მის მიერ დასახელებული **მესამე პირ(ებ)ის** შესახებ არსებული ინფორმაციის **დამუშავება** წინამდებარე პირობებით განსაზღვრული მიზნებისათვის, რაც შესაძლოა მოიცავდეს მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს შემდეგი ინფორმაციის (მათ შორის **პერსონალური მონაცემების)** დამუშავებით:

(ა) **კლიენტის** სახელი და გვარი;
(ბ) დაბადების ადგილი და თარიღი;
(გ) პირადი ნომერი ან/და მისი ელექტრონული პირადობის მოწმობის უნიკალური მახასიათებლები, ფოტოსურათი/ვიზუალური გამოსახულება;
(დ) მოქალაქეობა;
(ე) სქესი;
(ვ) რეგისტრირებული ან/და ფაქტიური საცხოვრებელი მისამართი;
(ზ) ტელეფონის/მობილურის ნომერი;
(თ) ელექტრონული ფოსტის მისამართი;
(ი) ინფორმაცია შემოსავლების შესახებ და საკრედიტო ისტორია (როგორც ნეგატიური ასევე პოზიტიური, მათ შორის მიმდინარე ან/და წარსულში არსებული დავალიანების, სესხებისა და მათი დაფარვის დეტალები) და გადახდისუნარიანობის სტატუსი (**კლიენტის** გადახდისუნარიანობის შეფასების ქულა, მისი კრიტერიუმები ან/და მეთოდოლოგია);
(კ) **კლიენტის** საკუთრებაში ან/და მფლობელობაში არსებული უძრავი და მოძრავი ნივთები და მათი მახასიათებლები, ასევე სხვა აქტივები;
(ლ) დამსაქმებლის მონაცემები, აგრეთვე ინფორმაცია დასაქმების პირობების შესახებ (დასაქმების ადგილი, ხელფასი, სამუშაო გრაფიკი და სხვა);
(მ) **ბანკში** და საქართველოში მოქმედ სხვა კომერციულ ბანკებში ანგარიშ(ებ)ის შესახებ ნებისმიერი მონაცემები, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ამ ანგარიშებზე კონკრეტული დროისა და თარიღისათვის არსებული ნაშთები, და კონკრეტულ პერიოდში ამ ანგარიშებზე განხორციელებული ტრანზაქციები;
(ნ) **ბანკის** ან/და საქართველოში მოქმედი სხვა კომერციული ბანკების მიერ ემიტირებული ბარათების და შესაბამისი საბარათე ანგარიშების ნებისმიერი მონაცემები, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ამ ბარათებზე კონკრეტული დროისა და თარიღისთვის არსებული ნაშთები და კონკრეტულ პერიოდში ამ ბარათებზე განხორციელებული ტრანზაქციები, ასევე მათი **წვდომის კოდები**;
(ო) სხვადასხვა საგადახდო პროვაიდერებთან დაფიქსირებული **კლიენტის** ანგარიშის/აბონენტის მონაცემები (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ანგარიშის/აბონენტის ნომერი, მისამართი, სააბონენტო ანგარიშზე კონკრეტული დროისა და თარიღისათვის არსებული ნაშთი ან/და დავალიანება, სააბონენტო ანგარიშზე განხორცილებული ტრანზაქციები ან/და ბალანსის შევსება ან/და დავალიანების დაფარვა, და სხვა),
(პ) სხვადასხვა ელექტრონულ არხებში ან/და ინტერნეტ სივრცეში გამჟღავნებული ნებისმიერი მონაცემი (მათ შორის და არამარტო მზა ჩანაწერები ე.წ. cookies და სხვა) და კლიენტისა ან/და მას მიერ მითითებული მესამე პირ(ებ)ის აქტივობა აღნიშნულ არხებში (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ასეთ არხ(ებ)ში დალოგინებისა და ჩატარებული ქმედებებისა თუ ტრანზაქციების ისტორია);
(ჟ) ინფორმაცია ოჯახის წევრების, ნათესავების ან მისამართზე მცხოვრები სხვა პირების შესახებ;
(რ) ნებისმიერი სხვა მონაცემი, რომელიც უკავშირდება **კლიენტს** და რის შედეგადაც შესაძლებელია **კლიენტის** იდენტიფიცირება ან/და დახასიატება ან/და სხვა კლიენტებთან მისი დაჯგუფება პირის ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებითა თუ ზემოთ მოყვანილ ქვე-პუნქტებში ჩამოთვლილი ან ნაგულისხმები ტრანზაქციული აქტივობით.

33.4. თუ **კლიენტი,** მომსახურების მიღების მიზნით, **ბანკს** აწვდის მესამე პირების (**დამატებითი ბარათის** მფლობელი, თავდები პირი, ოჯახის წევრები, დამსაქმებელი და სხვა) შესახებ ინფორმაციას, მათ შორის და არამარტო ინფორმაციას პერსონალური მონაცემების, გადახდისუნარიანობის, ქონებრივი მდგომარეობის შესახებ და სხვა, ხოლო **ბანკი** ახორციელებს აღნიშნული ინფორმაციის, მათ შორის პერსონალური მონაცემების, **დამუშავებას** საბანკო მომსახურების შესრულებისთვის ან/და მარკეტინგული მიზნით, **კლიენტი** თავად არის ვალდებული მოპოვებული ჰქონდეს აღნიშნულ პირთა თანხმობა, მათი პერსონალური მონაცემების **ბანკის** მიერ **დამუშავებაზე. კლიენტის** მიერ ამგვარი ინფორმაციის **ბანკისთვის** (ან მისი უფლებამოსილი პირისთვის) მიწოდების ფაქტი გულისხმობს **კლიენტის** მიერ ამ პიროვნებისგან თანხმობის მოპოვებას და აღარ

საჭიროებს **ბანკის** მიერ ასეთი დასტურის მოპოვებას. **კლიენტი** თავად არის პასუხისმგებელი ნებისმიერ ზიანზე/ზარალზე, რომელიც შესაძლოა მიადგენს **ბანკს კლიენტის** მიერ აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში. **კლიენტი** თანახმაა აუნაზღაუროს და დაიცვას **ბანკი** ნებისმიერი ზარალისგან (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს შედეგობრივ ზარალს), საჩივრისგან, ხარჯისგან (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს იმ ხარჯებს, რომლებსაც **ბანკი** გაიღებს საკუთარი უფლებების განსახორციელებლად), იურიდიული პროცესისგან და ნებისმიერი სხვა ვალდებულებისგან, რომელიც ამგვარი დარღვევის შედეგად შეიძლება წარმოიშვას.

*33.5.* **ბანკის** მიერ ელექტრონულ არხებში (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ვებ-ბრაუზერი, **ბანკის** ვებ-გვერდი, **ინტერნეტ ბანკი**, მობილ ბანკი, **ბანკის** მობილური აპლიკაციები, **LB PAY აპარატები, ბანკომატები** ან/დამონაცემთა გადაცემისა და მიღების სხვა ტექნიკური საშუალებები და არხები) **კლიენტის** შესახებ მონაცემების **დამუშავება**, ასევე მოიცავს **კლიენტის** აქტივობის ჩაწერას (მაგ. ელექტრონულ არხით სარგებლობისას **კლიენტის** ადგილსამყოფელის იდენტიფიცირება, ძიების ველში დაფიქსირებული მონაცემების აღწერა და ანალიზი, პროდუქციის არჩევანის სიხშირის ან/და სხვა ნებისმიერ სტატისტიკურ მონაცემის ჩაწერა და მისი ანალიზი) ან/და **კლიენტის** მიერ დაფიქსირებული სხვა მონაცემების (მაგ. **კლიენტის** ან/და მესამე პირთა საკონტაქტო მონაცემები) გამოყენებას.

33.6. **ბანკი** უფლებამოსილია საბანკო მომსახურების გაწევისა და სერვისების ოპტიმიზაციის მიზნით, სწრაფი გადახდის ტერმინალის (**LB Pay აპარატის**) ან/და დისტანციური მომსახურების სხვა არხ(ებ)ის საშუალებით, **კლიენტის** პირადი ნომრით ან/და **ბანკის** მიერ დადგენილი სხვა მეთოდით იდენტიფიკაციის შემთხვევაში, **კლიენტისათვის** ხელმისაწვდომი გახადოს შეზღუდული ინფორმაცია მის (**კლიენტის**) საბანკო პროდუქტებზე, სესხ(ებ)ის მიმდინარე (ყოველთვიურ) დავალიანებაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მთლიანი სასესხო დავალიანების ჩვენების გარეშე, ასევე **ანგარიშ(ებ)ის/პლასტიკური ბარათ(ებ)ის** შესახებ ინფორმაცია, **ანგარიშ(ებ)ის/პლასტიკური ბარათების მონაცემების** არასრული ინფორმაციის ჩვენებით;

33.7. **ბანკი** პასუხს არ აგებს მესამე პირ(ებ)ის მიერ სწრაფი გადახდის ტერმინალის (**LB Pay აპარატის**)/**ბანკომატ(ებ)ის** ან/და **დისტანციური მომსახურების** სხვა **არხ(ებ)ის** მეშვეობით, **კლიენტის** იდენტიფიცირებისთვის აუცილებელი ინფორმაციის (პირადი ნომერი ან/და დაბადების თარიღი) სწრაფი გადახდის ტერმინალში (**LB Pay აპარატში**)/**ბანკომატში** შეყვანით, **კლიენტის** შესახებ ინფორმაციის მოპოვებაზე.

*33.8.* ***<u>მონაცემთა დამუშავების საფუძველი.</u>*** **კლიენტისთვის** ცნობილია და ეთანხმება, რომ **ბანკის** მომსახურებით სარგებლობის პერიოდში, ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდგომაც, **ბანკის** მიერ **კლიენტის** ან მის მიერ დასახელებული მესამე პირ(ებ)ის მონაცემების (მათ შორის პერსონალური მონაცემების) **დამუშავება** ხორციელდება სულ მცირე ერთ-ერთი შემდეგი საფუძვლით:

32.8.1. **კლიენტის** თანხმობით მის შესახებ მონაცემთა ერთი ან რამდენიმე კონკრეტული მიზნით დამუშავებასთან დაკავშირებით;

32.8.2. **კლიენტის** განცხადების განსახილველად ან/და მისთვის მომსახურების გასაწევად;

32.8.3. **ბანკის** ან/და **მესამე პირ(ებ)ის** კანონიერი ინტერესების დასაცავად;

32.8.4. **ბანკის** მიერ **კანონმდებლობით** დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად;

32.8.5. **კანონმდებლობით** განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში.

32.8.6. საჯარო ინტერესის სფეროში შემავალი ამოცანების შესასრულებლად, მათ შორის, დანაშაულის თავიდან აცილების, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის მიზნებისათვის;

33.9. თუ მონაცემთა დამუშავებისთვის, **კანონმდებლობა** ითხოვს **კლიენტის** თანხმობის არსებობას, აღნიშნულ თანხმობად ჩაითვლება ნებისმიერი ელექტრონული ან/და არაელექტრონული ფორმით გაკეთებული **კლიენტის განაცხადი**, რომლითაც **კლიენტი** ეთანხმება წინამდებარე პირობებს და რომელიც ამ განაცხადთან ერთად წარმოადგენს ერთიან ხელშეკრულებას.

*33.10.* ***<u>მონაცემების დამუშავების მიზანი.</u>*** **ბანკის** ან/და წინამდებარე პირობებში ჩამოთვლილი **მესამე პირ(ებ)ის** მიერ **კლიენტის** ან მის მიერ მითითებული მესამე პირების პერსონალური მონაცემების **დამუშავება** შესაძლებელია განხორციელდეს სხვა და სხვა მიზნით, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე:

33.10.1. საბანკო მომსახურების სრულად და ჯეროვნად განხორციელებისთვის;

33.10.2. **კლიენტის** სათანადო წესით იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციისთვის;

33.10.3. **კლინტის** გადახდისუნარიანობის შემოწმებისთვის;

33.10.4. **კლიენტის** საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს ან სხვა მსგავსი საკრედიტო-სარეიტინგო კომპანიის მონაცემთა ბაზაში აღრიცხვის და საკრედიტო სარეიტინგო ქულის გამოთვლის მიზნით, რომელიც დაკავშირებულია გადაუხდელი სესხებისა და სხვა შეუსრულებელი/ვადაგადაცილებული ფულადი ვალდებულებების სტატუსთან და ასევე ინფორმაციის შეგროვებასთან, **დამუშავებასა** და გავრცელებასთან ფიზიკური და იურიდიული პირების მიმდინარე და გადახდილი კრედიტების/ვალდებულებების შესახებ.

33.10.5. **კლიენტის** მიერ **eMoney ელექტრონული საფულით** სარგებლობისთვის (ასეთის არსებობისას), რომელიც წარმოადგენს **ბანკის** და **eMoney**-ს ერთობლივ მომსახურებას, რომლის გამოყენებითაც ბანკისა და **eMoney**-ს **კლიენტს,** მოთხოვნის შემთხვევაში, ეძლევა საშუალება იქონიოს **eMoney ელექტრონული საფულე** კონკრეტული მომენტისთვის შესაძლო ვალუტაში(ებში), საიდანაც უფლებამოსილია აწარმოოს ანგარიშსწორება ან/და გადახდები, მიიღოს თანხები ელექტრონულ საფულეზე ან/და განახორციელოს კანონით ან/და შესაბამისი პირობებით გათვალისწინებული და ნებადართული სხვა მოქმედებები, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, გამოიყენოს მისი **eMoney** საფულის ანგარიში (ან/და მობილური ნომერი ან/და ელექტრონული ფოსტის მისამართი და პაროლი) ავტორიზაციისთვის ისეთ ვებ გვერდებზე, სადაც **eMoney**-თ ავტორიზაცია დაშვებულია.

33.10.6. **კანონმდებლობით** დადგენილ შემთხვევებში, ინფორმაციის აუდიტორული კომპანიების, პოტენციური ცესიონერის ან ცედენტის, მარეგულირებლის, მაკონტროლებლის ან სხვა ზედამხედველი ორგანოსათვის ხელმისაწვდომობისთვის;

33.10.7. **ბანკის** მომსახურების გასაუმჯობესებლად და განვითარებისთვის, რა დროსაც **ბანკი** ახორციელებს **კლიენტის** შესახებ არსებული ინფორმაციის, მათ შორის საკრედიტო ისტორიის ანალიზს, სტატისტიკური მონაცემების ანალიზს და სხვა;

33.10.8. სხვადასხვა ანგარიშების, კვლევების ან/და პრეზენტაციების მოსამზადებლად და სადემონსტრაციოდ;

33.10.9. უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე თაღლითობის, ფულის გათეთრების ან სხვა დანაშაულის გამოსავლენად ან/და პრევენციისთვის;

33.10.10. არსებული კრედიტის ფარგლებში, კრედიტის თანხის ოდენობის გაზრდის, ან/და კრედიტის სხვა პირობების (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, მისი ვადიანობისა და საპროცენტის განაკვეთის) ცვლილების შეთავაზებისთვის, რის აუცილებელ წინაპირობასაც შეთავაზების მომენტისთვის **კლიენტის** საკრედიტო ისტორიის გადამოწმება წამოადგენს;

33.10.11. ახალი ან/და დამატებითი საკრედიტო ან არასაკრედიტო **პროდუქტების** შეთავაზების მიზნით, რის აუცილებელ წინაპირობასაც შეთავაზების მომენტისთვის **კლიენტის** საკრედიტო ისტორიის გადამოწმება წარმოადგენს;

33.10.12. მარკეტინგული მიზნით, რაც გულისხმობს, როგორც ბანკის, ასევე წინამდებარე პირობებში ჩამოთვლილი **მესამე პირების** მიერ სხვადასხვა **პროდუქტების**/მომსახურების პერიოდულ შეთავაზებას, სანამ ბანკი კლიენტისაგან არ მიიღებს სხვაგვარ მითითებას;

33.10.13. სხვა კანონიერი მიზნებისთვის ან/და კანონმდებლობით დადგეილი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად;

33.11. ***<u>ინფორმაციის წინამდებარე პირობებში ჩამოთვლილი მესამე პირებისთვის გადაცემა/ მესამე პირ(ებ)ისაგან ინფორმაციის გამოთხოვა</u>.*** იმისათვის, რომ **ბანკმა** სრულად და ჯეროვნად განახორციელოს **კლიენტის** მომსახურება, **მონაცემთა დამუშავების** ფარგლებში **ბანკი** უფლებამოსილია წინამდებარე პირობებში ჩამოთვლილი **მესამე პირ(ებ)ისთვის** (კონკრეტული საჭიროების შესაბამისად) განახორციელოს მონაცემთა გადაცემა ან/და თავად ასეთი პირ(ებ)ისაგან **კლიენტის** ან/და მის მიერ დასახელებული **მესამე პირების** შესახებ;

33.12. საბანკო მომსახურების მიღების და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, **კლიენტი ბანკს** ანიჭებს უფლებას, **კლიენტის** დამატებითი წინასწარი ან შემდგომი თანხმობის გარეშე:

33.12.1. **კანონმდებლობით** დადგენილი წესით, საბანკო მომსახურების მიღების მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, მიიღოს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან, **ბანკისთვის** აუცილებელი, **კლიენტის** პერსონალური მონაცემები.

33.12.2. გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის, **კანონმდებლობით** დადგენილი წესით და პირობებით, დაამუშაოს **ბანკში** დაცული ან/და საკრედიტო საინფორმაციო ბიუროებში (შემდგომში - **ბიურო**) არსებული ინფორმაცია **კლიენტის** შესახებ. ამასთან **კლიენტისათვის** ცნობილია, რომ **ბანკი კანონმდებლობით** განსაზღვრული და **ხელშეკრულებით** მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში შეაგროვებს/დაამუშავებს **კლიენტის** შესახებ ყველა იმ საკრედიტო/არასაკრედიტო და სხვა რელევანტურ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია **ბიუროსათვის** ინფორმაციის მიწოდებასთან და ინფორმაციის მიღებასთან **კანონმდებლობით** გათვალისწინებული წესითა და პირობებით. წინამდებარე ინფორმაცია მუშავდება **კლიენტის** გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის და ხელმისაწვდომი იქნება **ბიუროში** ჩართული მომხმარებლებისათვის **კანონმდებლობით** დადგენილი წესით (სესხის გამცემი ორგანიზაციები და ინფორმაციის მიმღები/მიმწოდებელი პირები). ასევე **კლიენტს** გაცნობიერებული აქვს **კანონმდებლობით** გათვალისწინებული უფლებები, რომ **კლიენტის** (მათ შორის, მონაცემთა სუბიექტის) მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ.

33.12.3. **ბიუროსათვის** გადასაცემი და **ბიუროდან** მისაღები ინფორმაცია განისაზღვრება **კანონმდებლობით** და ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, შეიძლება მოიცავდეს: **კლიენტის** საიდენტიფიკაციო მონაცემებს, **ხელშეკრულებისა** და კრედიტის მონაცემებს, ინფორმაციას **კლიენტის** მიმდინარე, შესრულებული/შეუსრულებელი ვალდებულებების მოცულობის და ვადების შესახებ, ინფორმაციას უზრუნველყოფის საშუალებების თაობაზე, თავდებობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, სხვა ინფორმაციას, რომელიც განსაზღვრულია **კანონმდებლობით** ან/და **ბანკსა** და **ბიუროს** შორის გაფორმებული **ხელშეკრულებით**.

33.12.4. **ბანკმა კანონმდებლობით** დადგენილი წესით, მრავალჯერადად **მესამე პირებს** (მათ შორის და არამარტო, დაკავშირებულ პირ(ებ)ს, მაკონტროლებელ/საზედამხედველო ორგანოებს, აუდიტორებს, პოტენციურ ცესიონერებს და სხვა) გადასცეს ან/და აღნიშნული **მესამე პირებისაგან** მიიღოს, **ბანკისთვის** აუცილებელი, **კლიენტის** ან/და **კლიენტის** მიერ დასახელებული პირების (ნებისმიერი **დამატებითი ბარათის** მფლობელი, თავდები და სხვა) მონაცემები (მათ შორის და არამარტო პერსონალური მონაცემები, ანგარიშებზე ნაშთები ან/და დავალიანება, ტრანზაქციების შესახებ ინფორმაცია და სხვა).

33.13. ***<u>პირდაპირი მარკეტინგი</u>***. **კლიენტი** ანიჭებს **ბანკს** უფლებამოსილებას, **ბანკში** დაფიქსირებულ **კლიენტის** ტელეფონის ნომერზე, ელექტრონული ფოსტის ან სხვა საკონტაქტო მისამართზე, **ბანკის** მიერ განსაზღვრული პერიოდულობით, განხორციელდეს მოკლე ტექსტური, ხმოვანი ან/და სხვა სახის სარეკლამო შეტყობინებების გაგზავნა (პირდაპირი მარკეტინგი), მანამ სანამ **ბანკი** კლიენტისგან არ მიიღებს სხვაგვარ მითითებას, **მხარეთა** შორის შეთანხმებული ან/და **კანონმდებლობით** დადგენილი წერილობითი ან/და ელექტრონული ფორმით.

33.14. **კლიენტი** ანიჭებს **ბანკს** უფლებამოსილებას, სხვადასხვა მარკეტინგული შეთავაზებების განხორციელების მიზნით, **ბანკმა** გადასცეს ან/და გაუმჟღავნოს **ბანკის** ხელთ არსებული **კლიენტის** პერსონალური მონაცემები ან სხვა კონფიდენციალური ინფორმაცია **ბანკის** დაკავშირებულ პირ(ებ)ს. **კლიენტი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოსთხოვოს **ბანკს** ან/და დაკავშირებულ თუ უფლებამოსლ პირ(ებ)ს პირდაპირი მარკეტინგის შეწყვეტა, მხარეთა შორის შეთანხმებული ან/და კანონმდებლობით დადგენილი წერილობითი ან/და ელექტრონული ფორმით.

33.15. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, პირდაპირ მარკეტინგად არ მიიჩნევა და **კლიენტი** არ იქნება უფლებამოსილი **ბანკს** მოსთხოვოს სხვადასხვა სარეკლამო/საინფორმაციო შეტყობინებების გაგზავნის შეწყვეტა, თუ აღნიშნული სარეკლამო/საინფორმაციო შეტყობინებები **კლიენტს** მიეწოდება უშუალოდ **ბანკის** მომსახურების წერტილებში (მაგ. სარეკლამო ბანერი, ფლაერი, ზეპირი შეთავაზება და სხვა) ან **ბანკის** კუთვნილ (ბანკთან ასოცირებულ) ელექტრონულ არხებში (მათ შორის **ბანკომატი**, **ინტერნეტ ბანკი**, მობილ **ბანკი** და სხვა).

33.16. **კლიენტისთვის** ცნობილია, რომ პირდაპირი მარკეტინგის ფარგლებში შეთავაზებების განხორციელების შეწყვეტის მოთხოვნის საფუძველზე შეწყდება მხოლოდ სარეკლამო ხასიათის კომუნიკაციები. **კლიენტთან** დაკავშირება მის შესახებ ბანკში დაცული საკონტაქტო მონაცემების გამოყენებით გაგრძელდება **ბანკსა** და **კლიენტს** შორის ურთიერთობის ფარგლებში წარმოშობილ ვალდებულებებთან დაკავშირებით (მათ შორის, კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით, კრედიტის ვადაგადაცილებისა და სხვა ნებისმიერი ტიპის დავალიანების თაობაზე **კლიენტის** ინფორმირების მიზნით), ასევე **კლიენტის** განცხადებებსა თუ მოთხოვნებზე რეაგირების უზრუნველსაყოფად.

33.17. *<u>ვიდეოთვალთვალი და აუდიო ჩაწერა.</u>* უსაფრთხოების, საკუთრებისა და კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის მიზნებიდან გამომდინარე, ასევე მომსახურების ხარისხის კონტროლის უზრუნველსაყოფად „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვით, **ბანკში** მიმდინარეობს შენობ(ებ)ის გარე პერიმეტრისა და შესასვლელ(ებ)ის, სამუშაო ადგილ(ებ)ის მონიტორინგი ვიდეოთვალთვალისა და აუდიო ჩამწერი სისტემ(ებ)ის მეშვეობით, ასევე ვიდეოთვალთვალი ხორციელდება **ბანკომატის** ან სხვა ელექტრონული მოწყობილიბობების საშუალებით, ხოლო აუდიო ჩაწერა მიმდინარეობს ბანკთან სატელეფონო კომუნიკაციისას ან/და დისტანციური მომსახურების გაწევის მიზნებისთვის..

33.18. **ბანკის** მომსახურების წერტილებში, აგრეთვე ბანკთან კომუნიკაციისას ვიდეოთვალთვალისა და აუდიო ჩაწერის მიმდინარეობის შესახებ **კლიენტი** ინფორმირებული იქნება შესაბამისი ფორმით. **კლიენტი,** აცნობიერებს რა ვიდეოთვალთვალის და აუდიო ჩაწერის აუცილებლობას, თანხმობას გამოთქვამს აღნიშნული მონაცემების **დამუშავებაზე**.

*33.19.* ***<u>საავტორო უფლებები</u>***. **კლიენტი** აცხადებს თანხმობას, რომ მის მიერ **ბანკის** ვებ-გვერდზე, ინტერნეტ ბანკში, მობილ ბანკში, მობილურ აპლიკაციებსა და სხვა ელექტრონულ არხებში განთავსებული **კლიენტის** მონაცემები (ბეჭდვითი, აუდიო ან/და ვიზუალური) თუ ის არ განეკუთვნება **კლიენტის** პერსონალურ მონაცემებს ჩაითვლება **ბანკის** საკუთრებად და **ბანკი** აღნიშნული მონაცემების განთავსებისთანავე სრულად მოიპოვებს მათზე საავტორო ქონებრივ უფლებებს.

33.20. *<u>მონაცემების განახლება. დამუშავების და შენახვის ვადა.</u>* თითოეული **მხარე** ვალდებულია, როგორც **ხელშეკრულების** მოქმედების ვადაში, ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდეგაც, არ გაამჟღავნოს ან/და მესამე პირ(ებ)ს არ გადასცეს კონფიდენციალური ინფორმაცია.

33.21. **ხელშეკრულების** მოქმედების განმავლობაში, ასევე მისი შეწყვეტის შემდგომ, **ბანკის** მიერ წინამდებარე თავში აღნიშნული ინფორმაციის ამ თავით განსაზღვრული მიზნებით **დამუშავება** (მათ შორის მონაცემების სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთვის, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის და წინამდებარე პირობებში ჩამოთვლილი სხვა **მესამე პირებისთვის**, გადაცემა ან/და აღნიშნული მონაცემების მათგან მიღება) გაგრძელდება იმ ვადით, რომელიც შეესაბამება **ბანკის** მიზნებს და ინტერესებს, მოთხოვნილია რეგულატორის მიერ ან/და გათვალისწინებულია **კანონმდებლობით.**

33.22. იმ მონაცემების **დამუშავება**, რომელიც **კლიენტის** მიერ **ბანკს** მიეწოდა ელექტრონული არხების (ვებ-ბრაუზერი, **ბანკის** ვებ-გვერდი, **ინტერნეტ ბანკი**, მობილ ბანკი, **ბანკის** მობილური აპლიკაციები ან/და სხვა მონაცემთა გადაცემის ტექნიკური საშუალებები) საშუალებით, არ წყდება **კლიენტის** მიერ ამ მონაცემების ელექტრონული არხებიდან წაშლის შემთხვევაში, აღნიშნული მონაცემების შენახვა ასევე მოხდება იმ ვადით, რომელიც შეესაბამება **ბანკის** მიზნებს და ინტერესებს, მოთხოვნილია რეგულატორის მიერ ან/და გათვალისწინებულია **კანონმდებლობით.**

33.23. **კლიენტის** მოთხოვნის შემთხვევაში, **ბანკი კანონმდებლობით** გათვალისწინებულ ფარგლებში, მიაწვდის **კლიენტს** მის პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით **ბანკში** არსებულ ინფორმაციას. აღნიშნული ინფორმაციის გაცემაზე **ბანკი** უფლებამოსილია დააწესოს მომსახურების საფასური, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ინფორმაციის უსასყიდლოდ მიწოდების ვალდებულება გათვალისწინებულია **კანონმდებლობით.**

33.24. თუ **კლიენტი** თვლის, რომ **კლიენტის** შესახებ **ბანკში** არსებული ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს ან არ არის სრული, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს **ბანკს** აღნიშნულის შესახებ.

33.25. თუ **კანონმდებლობით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული, **კლიენტი** არ არის უფლებამოსილი მოსთხოვოს **ბანკს** მის შესახებ **ბანკში** დაცული პერსონალური მონაცემების წაშლა.

## 34. დასკვნითი დებულებები

34.1. **კლიენტი** ვალდებულია **ბანკის** მოთხოვნის შემთხვევაში, **ბანკის** მიერ განსაზღვრულ ვადაში, მიაწოდოს **ბანკის** მიერვე მოთხოვნილი ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია.

34.2. **ხელშეკრულების** რომელიმე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის **კანონმდებლობის** საფუძველზე ბათილად ცნობის/ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში დანარჩენი მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი, ქვეპუნქტ(ებ)ი ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას.

34.3. **კლიენტი** არ არის უფლებამოსილი **ბანკის** წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე მესამე პირ(ებ)ს სრულად ან ნაწილობრივ დაუთმოს **ხელშეკრულებით** მინიჭებული უფლებები ან/და **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებები. ამასთან, **ბანკი** მიუხედავად აღნიშნული პირობისა უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებს მესამე პირებისაგან მიიღოს **ხელშეკრულებით** განსაზღვრული ვალდებულების შესრულება.

34.4. **ბანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მესამე პირებს დაუთმოს/გადასცეს **პირობებით** განსაზღვრული უფლებები ან/და მოვალეობები. ამასთან თუ **ბანკი** ისარგებლებს ან დააპირებს წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული უფლებით სარგებლობას, **ბანკი** უფლებამოსილი იქნება ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გადასცეს **კლიენტის** ან/და **კლიენტის საბანკო ანგარიშის** შესახებ **კონფიდენციალური ინფორმაცია** მესამე პირებს.

34.5. **ხელშეკრულების** პირობების მოქმედება სრულად ვრცელდება **მხარეებზე**, მათ თანამშრომლებზე, წარმომადგენლებზე, სამართალმემკვიდრეებსა და უფლებამონაცვლეებზე.

34.6. **ხელშეკრულება** რეგულირდება და განიმარტება **კანონმდებლობის** შესაბამისად. იმ შემთხვევებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული **ხელშეკრულებით მხარეები** იხელმძღვანელებენ **კანონმდებლობით** დადგენილი შესაბამისი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებით ან/და დამატებით შეთახმებული პირობებით. ამასთან, **მხარეები** თანხმდებიან, რომ **ხელშეკრულების** შესრულების ადგილად მიიჩნევა **ბანკის** იურიდიული მისამართი.

34.7. **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულებიდან** ან/და **კანონმდებლობიდან** გამომდინარე ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, **ბანკის** მიერ უფლებ(ებ)ის გამოუყენებლობა არ წარმოადგენს მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმის საფუძველს, ამასთან **ბანკის** მიერ ამგვარი უფლებ(ებ)ის გამოუყენებლობა არ წარმოადგენს შემდგომში **ხელშეკრულების** ან/და **კანონმდებლობის** დარღვევის შედეგად წარმოშობილ მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმის საფუძველს.

34.8. **ხელშეკრულებაში** არსებული მუხლ(ებ)ი/პუნქტ(ებ)ი/ქვეპუნქტ(ებ)ი დანომრილი და დასათაურებულია, ხოლო გამუქებული სიტყვები მოცემულია **ხელშეკრულების** შინაარსის მოხერხებულად აღქმის მიზნით და არ ახდენს გავლენას **ხელშეკრულების** ინტერპრეტაციაზე.

34.9. წინამდებარე **პირობებს** ენიჭება უპირატესი ძალა **მხარეთა** შორის აქამდე იგივე საგანზე გაფორმებულ ნებისმიერ შეთანხმებასა და ხელშეკრულებასთან შედარებით.

34.10. **ხელშეკრულება** შედგენილია ქართულ ენაზე, რომლის **პირობებიც** განთავსებულია **ბანკის** ვებ-გვერდზე: http://libertybank.ge. **ბანკის** სურვილის შემთხვევაში **ხელშეკრულება** დამატებით შესაძლოა დაიდოს სხვა ენაზეც. ამ შემთხვევაში ქართულ ენაზე შედგენილ **ხელშეკრულებას** და მის **პირობებს** უპირატესობა მიენიჭება სხვა ენაზე შედგენილ **ხელშეკრულებასთან** და მის **პირობებთან** მიმართებაში.

2018 წლის 1 იანვრიდან დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ კანონის თანახმად, ყველა ფიზიკური პირის დეპოზიტზე/ანგარიშზე არსებული თანხა, დეპოზიტების/ანგარიშების რაოდენობის მიუხედავად, თითოეულ კომერციულ ბანკში დაზღვეულია და დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ ანაზღაურდება 15,000 ლარის ფარგლებში, ხოლო დანარჩენი თანხა ანაზღაურდება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ვებგვერდზე: www.diagency.ge.

**რა თანხა ანაზღაურდება სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას სააგენტოს მიერ?** – ერთსა და იმავე კომერციულ ბანკში კლიენტის ანგარიშებზე (მათ შორის უცხოური ვალუტით) არსებული თანხები დაჯამდება და დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ ანაზღაურებას დაექვემდებარება 15,000 ლარამდე თანხა, ხოლო თუ თანხა აღემატება 15,000 ლარს, დანარჩენი თანხა ანაზღაურდება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით;[2]
**როგორ ვისარგებლო დეპოზიტების დაზღვევით?** – კომერციულ ბანკში ყველა ფიზიკური პირის ყველა ანგარიშზე არსებული თანხა ავტომატურად დაზღვეულია დამატებითი საზღაურის გარეშე;
**კომერციულ ბანკში სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ანაზღაურების პირობები** – სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) კალენდარული დღე, მიუხედავად იმისა, მოცემულ მომენტში კომერციულ ბანკს გააჩნია თუ არა შესაბამისი სახსრები;
**ანაზღაურების ვალუტა** - ლარი.

სს „ლიბერთი ბანკი" წარმოადგენს ლიზენცირებულ ფინანსურ ინსტიტუტს და მოქმედებს 2010 წლის 31 მარტს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაცემული #0110247 ლიცენზიის საფუძველზე;

სს „ლიბერთი ბანკის" სათავო ოფისი მდებარეობს ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზ. #74-ში 0162. დეტალური ინფორმაცია სს „ლიბერთი ბანკის" მომსახურების პირობების და მომსახურების ობიექტების შესახებ ხელმისაწვდომია ბანკის ვებ-გვერდზე http://libertybank.ge;

სს „ლიბერთი ბანკის" საზედამხედველო ორგანოს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი, რომლის შესახებაც დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ვებ გვერდზე - http://nbg.gov.ge;

საქართველოს ეროვნული ბანკი არც ერთ შემთხვევაში არ არის პასუხისმგებელი სს „ლიბერთი ბანკის" მიერ ვალდებულებების არაჯეროვან შესრულებაზე.

[2] აღნიშნული ცვლილება ძალაში შედის 2020 წლის 01 ივლისიდან 2020 წლის პირველ ივლისამდე ასანაზღაურებელი თანხის მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრება 5000 ლარით.

**დანართი №1 - სატარიფო პაკეტების მომსახურების ტარიფები[3]**

| პროდუქტი / მომსახურება | სტანდარტული სატარიფო პაკეტი 1.50 ლარი თვეში | უნივერსალური სატარიფო პაკეტი 4.50 ლარი თვეში | პრემიალური სატარიფო პაკეტი 14.50 ლარი თვეში |
|---|---|---|---|
| | | | |
| დისტანციური მომსახურება | | | |
| ინტერნეტ ბანკი | უფასო | | |
| მობაილ ბანკი | უფასო | | |
| სმს ბანკი | უფასო | | |
| ავტომატური გადახდები | უფასო (შეუზღუდავი რაოდენობა) | | |
| მუდმივი საგადახდო დავალება | უფასო (შეუზღუდავი რაოდენობა) | | |
| | | | |
| სარგებლის დარიცხვა | | | |
| უნივერსალურ ანგარიშზე სარგებლის დარიცხვა | არ არის გათვალისწინებული | | |
| შემნახველ ანაბარზე სარგებლის დარიცხვა | სტანდარტული % | სტანდარტული % | სტანდარტული +0.10%* |

** სტანდარტული +0,10% განსაზღვრულია მხოლოდ ლარში,აშშ დოლარში და ევროში გახსნილი შემნახველი ანაბრისთვის.*

| სადებეტო ანგარიშები და ბარათები | | | |
|---|---|---|---|
| უნივერსალური ანგარიშის გახსნა | უფასო | | |
| უნივერსალური ანგარიშის მომსახურება | უფასო | | |
| უნივერსალური ანგარიშის ვალუტა | GEL /USD/EUR/GBP | | |
| უნივერსალური ანგარიშების დასაშვები რაოდენობა | დასაშვებია ერთი ანგარიშის ფლობა | დასაშვებია სამი ანგარიშის ფლობა | დასაშვებია ოთხი ანგარიშის ფლობა |
| უნივერსალური ანგარიშის ვალუტის პრიორიტეტულობის / თანხების ხარჯვის სქემის შეცვლა | უფასო | | |
| უნივერსალური ანგარიშზე თანხის არასანქცირებული გადახარჯვის ჯარიმა | გადახარჯული თანხის წლიური 48.00% დაანგარიშებული გადახარჯვის ყოველ კალენდარულ დღეზე | | |
| აგრო ანგარიშის გახსნა | უფასო | | |
| აგრო ანგარიშის მომსახურება | უფასო | | |
| შემნახველი ანაბრის გახსნა | უფასო | | |
| შემნახველი ანაბრის მომსახურება | უფასო | | |
| შემნახველი ანაბრის ვალუტა | GEL /USD/EUR/GBP | | |
| შემნახველი ანაბრის დასაშვები რაოდენობა | დასაშვებია ერთი წყვილი (GEL/USD/EUR/GBP) ანგარიშების ფლობა | დასაშვებია სამი წყვილი (GEL/USD/EUR/GBP) ანგარიშების ფლობა | დასაშვებია ოთხი წყვილი (GEL/USD/EUR/GBP) ანგარიშების ფლობა |
| სპეციალური სავალუტო ანგარიშის გახსნა | უფასო | | |
| სპეციალური სავალუტო ანგარიშის მომსახურება | უფასო | | |

[3] **ბანკის** იმ **კლიენტებზე,** რომლებსაც არ შეუძენიათ წინამდებარე **პირობებით** განსაზღვრული **უნივერსალური ანგარიშის სატარიფო პაკეტ(ებ)ი,** ამგვარი **სატარიფო პაკეტ(ებ)ის** შეძენამდე, გავრცელდება ლიბერთი ანგარიშის მომსახურების სტანდარტული პირობების 2019 წლის 07 მაისის რედაქცია, (მათ შორის ტარიფები, გარდა ბარათით ჩატარებული ოპერაციებისთვის დადგენილი ლიმიტების შესაბამისი ფუნქციონალით აღჭურვილი **ბანკომატის** გამოყენებით ანგარიშზე თანხის შეტანასთან, **კლიენტის** პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან, **ვერიფიცირებულ ნომერთან** და **ციფრულ ბარათთან, აგრო ანგარიშთან** და **აგრო ბარათთან** დაკავშირებული პირობები). წინამდებარე **დანართით** განსაზღვრული ბარათით ჩატარებული ოპერაციების ლიმიტები, შესაბამისი ფუნქციონალით აღჭურვილი **ბანკომატის** გამოყენებით ანგარიშზე თანხის შეტანასთან დაკავშირებული პირობები (მათ შორის ტარიფების დანართით განსაზღვრული შესაბამისი პირობები/ლიმიტები), **კლიენტის** პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული პირობები, **ვერიფიცირებულ ნომერთან** და **ციფრულ ბარათთან** დაკავშირებული პირობები მოქმედებს იმ **კლიენტებისთვისაც,** რომლებსაც ჯერ არ შეუძენიათ **უნივერსალური ანგარიშის სატარიფო პაკეტ(ებ)ი** და რომლებისთვისაც ძალაშია **ლიბერთი ანგარიშის მომსახურების სტანდარტული პირობების** 2019 წლის 07 მაისის რედაქცია. ამასთან, **ბანკის** მიერ, **კლიენტისათვის** შეთავაზებული, ლიბერთი ანგარიშის მომსახურების სტანდარტული პირობებით განსაზღვრული პაკეტ(ებ)ი შესაძლოა არ მოიცავდეს ზოგიერთ პროდუქტს ან/და მომსახურებას, **ბანკის** შეხედულებისამებრ.

| | | | |
|---|---|---|---|
| სპეციალური სავალუტო ანგარიშის ვალუტა | • რუსული რუბლი (RUB)<br>• შვეიცარული ფრანკი (CHF)<br>• თურქული ლირა (TRY)<br>• იაპონური იენი (JPY)<br>• აზერბაიჯანული მანათი (AZN)<br>• სომხური დრამი (AMD)<br>• ა.გ.ს დირჰამი (AED)<br>• ავსტრალიური დოლარი (AUD)<br>• კანადური დოლარი (CAD) | | |
| სპეციალური სავალუტო ანგარიშის დასაშვები რაოდენობა | მაქს. დასაშვები ცხრა ანგარიში სპეციალურ ვალუტებში | | |
| უმოძრაო ანგარიშის მომსახურების საკომისიო[3] | 3.00 ლარი თვეში | | |
| უნივერსალურ ანგარიშზე დასაშვები ძირითადი/დამატებითი საბანკო ბარათები | | | |
| სადებეტო ბარათები | წინასწარ დამზადებული Visa Classic / MC Standard უსახელო ბარათი<br><br>Visa Classic / MC Standard სახელობითი ბარათი<br><br>**აგრო ბარათი** | წინასწარ დამზადებული Visa Classic / MC Standard უსახელო ბარათი<br><br>Visa Classic / MC Standard სახელობითი ბარათი<br><br>**აგრო ბარათი**<br><br>Visa Gold / MC Gold სახელობითი** | წინასწარ დამზადებული Visa Classic / MC Standard უსახელო ბარათი<br><br>Visa Classic / MC Standard სახელობითი ბარათი<br><br>Visa Gold / MC Gold სახელობითი<br><br>**აგრო ბარათი**<br><br>Visa Platinum სახელობითი** |
| ძირითადი ბარათის დამზადების საკომისიო | უფასო | | |
| დამატებითი ბარათის დამზადების საკომისიო | Visa Classic/MC Standard - 10.00 ლარი | Visa Classic/MC Standard - უფასო<br>Visa Gold / MC Gold ** - უფასო | Visa Classic/MC Standard - უფასო<br>Visa Gold / MC Gold - უფასო<br>Viss Platinum** - უფასო |
| დაკარგული / დაზიანებული ბარათის აღდგენის საკომისიო | Visa Classic/MC Standard - 10.00 ლარი | Visa Classic/MC Standard - უფასო<br>Visa Gold / MC Gold ** - უფასო | Visa Classic/MC Standard - უფასო<br>Visa Gold / MC Gold - უფასო<br>Viss Platinum** - უფასო |
| ბარათის მოქმედების ვადა | 4 წელი | | |
| მინიმალური ნაშთი ანგარიშზე | არ მოითხოვება | | |
| ბარათით სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში სარგებლობა | უფასო | | |
| სტოპ სიაში შეყვანა [ადგილობრივი] | უფასო | | |
| სტოპ სიაში შეყვანა [საერთაშორისო] | 80.00 GEL ყოველ რეგიონზე, კვირაში ერთხელ | | |
| PIN-ის შეცვლა ბანკომატის საშუალებით | უფასო | | |
| ნაშთის შემოწმება საქართველოში განთავსებულ ბანკომატში | უფასო | | |
| ნაშთის შემოწმება საზღვარგარეთ განთავსებულ ბანკომატში | 1.00 GEL | | |
| ბარათის დამზადება სასწრაფო რეჟიმში | ბარათის ღირებულებას + 5.00 GEL | | |

***დასაშვებია მხოლოდ მეანაბრეებისათვის, რომელიც გახსნის ვადიანი ტიპის ანაბარს 25 000 ლარი ან მეტი თანხით.*

| | |
|---|---|
| ანგარიშზე თანხის შეტანა / განაღდება | |
| უნივერსალურ ანგარიშზე ნაღდი ფულის შეტანა | უფასო |
| ბანკომატის მეშვეობით ანგარიშზე თანხის შეტანის ვალუტა | GEL/USD |

[3] **უმოძრაო ანგარიშს** არ დაერიცხება საკომისიო, თუ **კლიენტს ბანკში** გააჩნია (ა) ერთი ანგარიში მაინც, რომელიც უკანასკნელი 12 (თორმეტი) თვის განმავლობაში გამოყენებულია **კლიენტის** მიერ, (ბ) დეპოზიტი, (გ) საკრედიტო პროდუქტი. ამასთან, ნებისმიერ შემთხვევაში დაუშვებელია **უმოძრაო ანგარიშის** მომსახურების საკომისიოს ჩამოწერა **კლიენტის** სოციალური ანგარიშიდან (ასეთის არსებობისას).

| | | | |
|---|---|---|---|
| თანხის განაღდება უნივერსალური ანგარიშიდან | • GEL - 0.20%, მინ. 0.50 GEL<br>• USD/EUR/GBP - 0.40%, მინ. 0.50 ერთეული | ნებისმიერი არხით ნაღდი ფულის სახით შემოტანილი თან-ხის ფარგლებში - უფასო [4, 5];<br><br>სხვა შემთხვევაში:<br>• GEL - 0.15%, მინ. 0.30 GEL<br>• USD/EUR/GBP - 0.30%, მინ. 0.30 ერთეული | ნებისმიერი არხით ნაღდი ფულის სახით შემოტანილი თანხის ფარგლებში - უფასო [6];<br><br>სხვა შემთხვევაში:<br>• GEL - 0.10%, მინ. 0.10 GEL<br>• USD/EUR/GBP - 0.20%, მინ. 0.20 ერთეული |
| შემნახველ ანაბარზე ნაღდი ფულის შეტანა | უფასო | | |
| თანხის განაღდება შემნახველი ანაბარიდან | ნებისმიერი არხით ნაღდი ფულის სახით შემოტანილი თანხის ფარგლებში - უფასო[4, 5];<br><br>სხვა შემთხვევაში:<br>• GEL - 0.20%, მინ. 0.50 GEL<br>• USD/EUR/GBP - 0.40%, მინ. 0.50 ერთეული | ნებისმიერი არხით ნაღდი ფულის სახით შემოტანილი თანხის ფარგლებში - უფასო[4,5];<br><br>სხვა შემთხვევაში:<br>• GEL - 0.15%, მინ. 0.30 GEL<br>• USD/EUR/GBP - 0.30%, მინ. 0.30 ერთეული | ნებისმიერი არხით ნაღდი ფულის სახით შემოტანილი თანხის ფარგლებში - უფასო[6];<br><br>სხვა შემთხვევაში:<br>• GEL - 0.10%, მინ. 0.10 GEL<br>• USD/EUR/GBP - 0.20%, მინ. 0.20 ერთეული |
| სპეც. სავალუტო ანგარიშზე ნაღდი ფულის შეტანა | • რუსული რუბლი (RUB) - 3.00%<br>• შვეიცარული ფრანკი (CHF) - 3.00%<br>• თურქული ლირა (TRY) - 3.00%<br>• იაპონური იენი (JPY) - 3.00%<br>• აზერბაიჯანული მანათი (AZN) - 3.00%<br>• სომხური დრამი (AMD) - 3.00%<br>• ა.გ.ს დირჰამი (AED) - 5.00%<br>• ავსტრალიური დოლარი (AUD) - 5.00%<br>• კანადური დოლარი (CAD) - 5.00% | | |
| თანხის განაღდება სპეც. სავალუტო ანგარიშიდან | • რუსული რუბლი (RUB) - 0.50%<br>• შვეიცარული ფრანკი (CHF) - 3.00%<br>• თურქული ლირა (TRY) - 3.00%<br>• იაპონური იენი (JPY) - 3.00%<br>• აზერბაიჯანული მანათი (AZN) - 3.00%<br>• სომხური დრამი (AMD) - 3.00%<br>• ა.გ.ს დირჰამი (AED) - 5.00%<br>• ავსტრალიური დოლარი (AUD) - 5.00%<br>• კანადური დოლარი (CAD) - 5.00% | | |
| ბარათიდან თანხის განღდება ლიბერთი ბანკის ბანკომატში | 0.20%, მინ. 0.20 GEL | უფასო | უფასო |
| ბარათიდან თანხის განღდება პარტნიორი ბანკის ბანკომატებში | 0.60%, მინ. 0.20 GEL | 0.20%, მინ. 0.20 GEL | უფასო |
| ბარათიდან თანხის განღდება პარტნიორი ბანკის ფილიალებში | 2.00%, მინ. 6.00 GEL | 2.00%, მინ. 6.00 GEL | 2.00%, მინ. 6.00 GEL |
| ბარათიდან თანხის განღდება სხვა ბანკის ფილიალებში | 2.00%, მინ. 6.00 GEL | 2.00%, მინ. 6.00 GEL | 2.00%, მინ. 6.00 GEL |
| ბარათიდან თანხის განღდება სხვა ბანკის ბანკომატებში საქართველოში | 2.00%, მინ. 6.00 GEL | 2.00%, მინ. 6.00 GEL | 1.00%, მინ. 2.00 GEL |
| ბარათიდან თანხის განღდება სხვა ბანკის ბანკომატებში საზღვარგარეთ | 2.00%, მინ. 6.00 GEL | 2.00%, მინ. 6.00 GEL | 2.00%, მინ. 6.00 GEL |
| | | | |
| გადარიცხვები და ვალუტის კონვერტაცია (უნივერსალური ანგარიში / შემნახველი ანაბარი/ სპეციალური სავალუტო ანგარიში) | | | |
| თანხის გადარიცხვა ლიბერთი ბანკის ფილიალებში და საკუთარ ანგარიშებს შორის (ნებისმიერი ვალუტა) | უფასო | | |
| თანხის გადარიცხვა ლიბერთი ბანკის გარეთ ეროვნულ ვალუტაში | 0.07%, მინ. 0.70 GEL | ფიქსირებული 0.70 GEL | ფიქსირებული 0.50 GEL |

4 მხოლოდ იმ ფილიალში / სერვის ცენტრში, სადაც თანხა ნაღდი ფულის სახით იქნა შეტანილი;
5 ნებისმიერ ფილიალში / სერვის ცენტრში, თუ ხორციელდება ბანკომატით ან/და სწრაფი გადახდის აპარატის (LB Pay/365) მეშვეობით შეტანილი თანხის გატანა
6 ნებისმიერ ფილიალში / სერვის ცენტრში განაღდება;

| | | | |
|---|---|---|---|
| თანხის გადარიცხვა ლიბერთი ბანკის გარეთ აშშ დოლარში | • 0.20%, მინ. 15.00 & მაქს. 150 USD<br><br>• მიმღების მიერ სრული თანხის ჩარიცხვის გარანტიით - გადარიცხვის საკომისიოს დამატებული 30.00 USD | • ფიქსირებული - 15.00 USD<br><br>• მიმღების მიერ სრული თანხის ჩარიცხვის გარანტიით - გადარიცხვის საკომისიოს დამატებული 30.00 USD | • ფიქსირებული - 10.00 USD<br><br>• მიმღების მიერ სრული თანხის ჩარიცხვის გარანტიით - გადარიცხვის საკომისიოს დამატებული 25.00 USD |
| თანხის გადარიცხვა ლიბერთი ბანკის გარეთ ევროში | • 0.20%, მინ. 15.00 & მაქს. 150 EUR<br><br>• მიმღების მიერ სრული თანხის ჩარიცხვის გარანტიით - გადარიცხვის საკომისიოს დამატებული 30.00 EUR | • ფიქსირებული -15.00 EUR<br><br>• მიმღების მიერ სრული თანხის ჩარიცხვის გარანტიით - გადარიცხვის საკომისიოს დამატებული 30.00 EUR | • ფიქსირებული - 10.00 EUR<br><br>• მიმღების მიერ სრული თანხის ჩარიცხვის გარანტიით - გადარიცხვის საკომისიოს დამატებული 25.00 EUR |
| თანხის გადარიცხვა ლიბერთი ბანკის გარეთ გირვანქა სტერლინგში | 0.20%, მინ. 15.00 & მაქს. 150 GBP | ფიქსირებული - 15.00 GBP | ფიქსირებული - 10.00 GBP |
| თანხის გადარიცხვა სხვა უცხოურ ვალუტაში ლიბერთი ბანკის გარეთ: | | | |
| რუსული რუბლი (RUB) | 0.20%, მინ. 1 200.00 & მაქს. 10 000.00 RUB | 1 200.00 RUB | 1 200.00 RUB |
| შვეიცარული ფრანკი (CHF) | 0.20%, მინ. 30.00 & მაქს. 180.00 CHF | 30.00 CHF | 30.00 CHF |
| თურქული ლირა (TRY) | 0.20%, მინ. 100.00 & მაქს. 800.00 TRY | 100.00 TRY | 100.00 TRY |
| იაპონური იენი (JPY) | 0.20%, მინ. 2 500.00 & მაქს. 15 000 JPY | 2 500.00 JPY | 2 500.00 JPY |
| აზერბაიჯანული მანათი (AZN) | 0.20%, მინ. 40.00 & მაქს. 300.00 AZN | 40.00 AZN | 40.00 AZN |
| სომხური დრამი (AMD) | 0.20%, მინ. 10 000.00 & მაქს. 90 000.00 AMD | 10 000.00 AMD | 10 000.00 AMD |
| ა.გ.ს დირჰამი (AED) | 0.20%, მინ. 75.00 & მაქს. 650.00 AED | 75.00 AED | 75.00 AED |
| ავსტრალიური დოლარი (AUD) | 0.20%, მინ. 30.00 & მაქს. 250.00 AUD | 30.00 AUD | 30.00 AUD |
| კანადური დოლარი (CAD) | 0.20%, მინ. 30.00 & მაქს. 250.00 CAD | 30.00 CAD | 30.00 CAD |
| გადარიცხვაში შესწორების შეტანა/მოკვლევა | • USD ან RUR - 55 USD<br>• სხვა ვალუტა - 55 EUR | | |
| ვალუტის კონვერტაცია | ბანკის კომერციული კურსით | | |
| | | | |
| ბარათით ჩატარებული ოპერაციების ლიმიტები | | | |
| განაღდების ლიმიტი ლიბერთი ბანკის ფილიალებში | შეუზღუდავი | | |
| 24 საათიანი განაღდების ლიმიტი ბანკის პოს ტერმინალში | • Visa Classic / MC Standard - 15 000 GEL (ეკვ. ვალუტაში)<br>• Visa Gold / MC Gold - 30 000 GEL (ეკვ. ვალუტაში)<br>• Visa Platinum - 45 000 GEL (ეკვ. ვალუტაში) | | |
| 24 საათიანი განაღდების ლიმიტი ბანკომატში | • Visa Classic / MC Standard - 5 000 GEL (ეკვ. ვალუტაში)<br>• Visa Gold / MC Gold - 10 000 GEL (ეკვ. ვალუტაში)<br>• Visa Platinum - 15 000 GEL (ეკვ. ვალუტაში) | | |
| 24 საათიანი ლიმიტი სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში ანგარიშსწორებისთვის* | • Visa Classic / MC Standard - 15 000 GEL (ეკვ. ვალუტაში)<br>• Visa Gold / MC Gold - 30 000 GEL (ეკვ. ვალუტაში)<br>• Visa Platinum - 50 000 GEL (ეკვ. ვალუტაში) | | |
| ბანკომატის მეშვეობით ანგარიშზე თანხის შეტანის დღიური ლიმიტი | 30 000 ლარი (ეკვ. აშშ დოლარში) | | |
| ბანკომატში განაღდების კვირის ლიმიტი | • Visa Classic / MC Standard - 25 000 GEL (ეკვ. ვალუტაში)<br>• Visa Gold / MC Gold - 50 000 GEL (ეკვ. ვალუტაში)<br>• Visa Platinum - 75 000 GEL (ეკვ. ვალუტაში) | | |
| ბანკომატის თანხის მიმღებში ერჯერადად დასაშვები კუპიურების რაოდენობა | 300 კუპიურა | | |

* მოიცავს ყიდვის, გადახდის, წინასწარი გადახდის, თანხის დაბრუნების და სხვა საბარათე გადარიცვა/ჩარიცხვის ტიპის უნაღდო ოპერაციების ლიმიტს

**დანართი №2 - სახელფასო პროგრამაში ჩართული ორგანიზაციის თანამშრომლების მომსახურების ტარიფები**

**ბანკის** სახელფასო პროგრამაში ჩართული ორგანიზაციის თანამშრომლების მომსახურების ტარიფები განისაზღვრება ინდივიდუალურად ყოველი ორგანიზაციისათვის. ამასთან, **ბანკს** აქვს უფლება ნებისმიერ დროს მოახდინოს სახელფასო პროგრამაში ჩართული ორგანიზაციის თანამშრომლების გადაყვანა მომსახურების სტანდარტულ ტარიფებზე:

- აღნიშნულის შესახებ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე;
- დაუყოვნებლივ, იმ შემთხვევაში თუ სახელფასო პროგრამაში ჩართულმა ორგანიზაციამ მოახდინა ერთი ან მეტი თანამშრომლის შრომის ანაზღაურების გადარიცხვა ამ მიზნით სხვა საფინანსო დაწესებულებაში გახსნილ ანგარიშზე ან დაიწყო შრომის ანაზღაურების გადახდა ნაღდი ანგარიშსწორებით;
- დაუყოვნებლივ, თუ სახელფასო პროგრამაში ჩართულმა ორგანიზაციამ დაარღვია მას და **ბანკს** შორის გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულებ(ებ)ის რომელიმე პირობა;
- თავად ორგანიზაციის მომართვის საფუძველზე;
- დაუყოვნებლივ თუ ანგარიშზე არ ფიქსირდება შრომის ანაზღაურების  ჩარიცხვა 6 თვის მანძლზე.

**დანართი №3 აგრო ანგარიშითა და აგრო ბარათით სარგებლობის ტარიფები და ლიმიტები**[5]

| ტარიფები | |
|---|---|
| **აგრო ანგარიში** | |
| ანგარიშის ვალუტა | ეროვნული ვალუტა (ლარი) |
| ნაღდი სახით შემოტანილი თანხის გადარიცხვა ეროვნულ ვალუტაში **ლიბერთი ბანკის** სხვა ანგარიშზე | უფასო |
| ანგარიშის შევსება უნივერსალური ანგარიშიდან გადარიცხვით | უფასო |
| ანგარიშის შევსება **ლიბერთი ბანკის** ფილიალებსა და სერვის ცენტრებში, სალაროდან თანხის შემოტანის გზით | უფასო |
| ანგარიშის შევსება eMoney ანგარიშიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) | უფასო |
| ანგარიშის შევსება მომენტალური გადახდის (LB Pay/365) აპარატით | უფასო |
| ბანკომატის მეშვეობით ანგარიშზე თანხის შეტანის დღიური ლიმიტი | 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარი |
| თანხის გატანა **ლიბერთი ბანკის** სერვის ცენტრებში | 0.2%, მინ. 0.5 ლარი |
| ნაღდი სახით შემოტანილი თანხის გადარიცხვა ეროვნულ ვალუტაში სხვა **ბანკის** ანგარიშზე | 0.07%, მინიმუმ 0.70 თეთრი |
| უმოძრაო აგრო ანგარიშის საკომისიო | 3 (სამი) ლარი |
| **აგრო ბარათი (Agro Card)** | |
| ბარათის ტიპი | წინასწარდამზადებული ლოკალური საბანკო ბარათი |
| ბარათის სახელი | წინასწარ დამზადებული უსახელო |
| ბარათის მოქმედების ვადა | 10 წელი |
| ბარათის მომსახურების ყოველთვიური საკომისიო | უფასო |
| ანგარიშსწორება სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში | უფასო |
| ბარათის ლოკალურ სტოპ სიაში ჩასმა | უფასო |
| დაკარგული ან დაზიანებული ბარათის აღდგენა | უფასო |
| ვადაგასული ბარათის აღდგენა | უფასო |
| ბარათის PIN-ის აღდგენა | უფასო |
| *აგრო ანგარიშზე თანხის არასანქცირებული გადახარჯვის ჯარიმა* | 0% |
| **ლიმიტები** | |
| ანგარიშიდან თანხის გატანა **ლიბერთი ბანკის** სერვის ცენტრებიდან | შეუზღუდავი |
| ანგარიშსწორება სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში (მათ შორის აგრო ანგარიშზე გააქტიურებული სუბსიდიით/ქულებით) | დღიური 3000 (სამი ათასი) ლარი |
| **კლიენტის ლოიალობა** | |
| ქეშბექი თითოეულ ტრანზაქციაზე, რომლის თანხაც შეადგენს არანაკლებ 5 (ხუთი) ლარს | ტრანზაქციის თანხის არანაკლებ 3 % (სამი პროცენტი) |

---

[5] *ყველა სხვა ოპერაცია/ტრანზაქია რომელიც არ არის გათვალისწინებული დანართი N3-ით (აგრო ანგარიშისა და ბარათის ტარიფები და ლიმიტები) აგრო ანგარიშზე და ბარათზე არ დაიშვება, თუ **ბანკის** მიერ შემდგომში სხვა პირობა არ იქნება განსაზღვრული.*

**დანართი №4 - ინფორმაციის მოპოვება/გადაცემა მესამე პირებისგან/პირებისათვის**

| | | |
|---|---|---|
| 1. | **ბანკი** მკაცრად იცავს **კლიენტის** შესახებ არსებული ინფორმაციის, მათ შორის პერსონალური მონაცემების, კონფიდენციალურობას, თუმცა ჩვენ (ბანკი) უფლებამოსილი ვართ მოვახდინოთ მისი ქვემოთმოცემული **მესამე პირ(ებ)ისათვის** (შემდგომში - **მესამე პირები**) გამჟღავნება ან ამავე **მესამე პირ(ებ)ისგან** თქვენ შესახებ არსებული ინფორმაციის მოპოვება თუ (ა) ეს აუცილებელია მომსახურების ჯეროვნად შესრულებისათვის, (ბ) განსაზღვრულია **კანონმდებლობით** ან/და (გ) ემსახურება **ბანკის** ლეგიტიმურ კომერციულ მიზანს: | მონაცემების გადაცემა ან მოპოვება ხორციელდება: |
| | • **ბანკის** პარტნიორი კომპანიები, რომელთან ერთადაც **ბანკი** კომერციული კუთხით თანამშრომლობს, მათ შორის და არამარტო:<br>- ს ს "იმანი ჯორჯია" (ს/კ 202376026);<br>- შპს "იმანი" (ს/კ 204557540);<br>- სს „ივაპიტალი" (ს/კ 404981338);<br>- შპს „მანი მუვერს" (ს/კ 200274318); | • მომსახურების ჯეროვნად შესრულების მიზნით;<br>• კლიენტებისათვის (ანუ თქვენთვის) ბანკისა ან/და **მესამე პირის** მიერ მარკეტინგული შეთავაზებების განხორციელების მიზნით;<br>• **კანონმდებლობით** განსაზღვრული მიზნით (მაგალითად **კლიენტის** იდენტიფიკაცია);<br>• სხვა ლეგიტიმური კომერციული მიზნით რომელიც შესაბამისობაში იქნება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" კანონის მოთხოვნებთან. |
| | • საზედამხედველო, მაკონტროლებელ ან/და სარეგისტრაციო ორგანოებს, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს და მათ მიერ შექმნილ იურიდიულ პირებს, როგორიცაა, მათ შორის და არამარტო:<br>- საქართველოს ეროვნული ბანკი;<br>- სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური;<br>- სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო;<br>- სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო;<br>- სსიპ შემოსავლების სამსახური და სხვა საგადასახადო ორგანოები;<br>- სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო;<br>- სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო; | • მომსახურების ჯეროვნად შესრულების მიზნით;<br>• **კანონმდებლობით** განსაზღვრული მიზნით (მაგალითად **კლიენტის** იდენტიფიკაცია);<br>• სხვა ლეგიტიმური კომერციული მიზნით რომელიც შესაბამისობაში იქნება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" კანონის მოთხოვნებთან. |
| | • საკრედიტო ს ა ი ნ ფორმ ა ც ი ო ბიუროებს ან/და კოლექტორულ ორგანიზაციებს, როგორიცაა, მათ შორის და არამარტო:<br>- სს ,,კრედიტინფო საქართველოსთან" (საიდენტიფიკაციო კოდი: 204470740) ან/და სხვა მსგავსი საქმიანობის მქონე სუბიექტი;<br>- შპს „პრობლემური აქტივების მართვის სააგენტო" (ს/კ 402008554), შპს „კაპიტალი" (ს/კ 405094491) და სხვადასხვა პრობლემური აქტივების მართვის და კოლექტორული ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ პრობლემური მოთხოვნებიდან გამომდინარე გადახდების შესრულებას ან/და აღნიშნული პრობლემური მოთხოვნების შეძენას (ცესია). | • მომსახურების ჯეროვნად შესრულების მიზნით;<br>• კლიენტებისათვის (ანუ თქვენთვის) ბანკისა ან/და **მესამე პირის** მიერ მარკეტინგული შეთავაზებების განხორციელების მიზნით;<br>• **კანონმდებლობით** განსაზღვრული მიზნით (მაგალითად **კლიენტის** იდენტიფიკაცია);<br>• სხვა ლეგიტიმური კომერციული მიზნით რომელიც შესაბამისობაში იქნება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" კანონის მოთხოვნებთან. |
| | • საერთაშორისო და ადგილობრივ საგადახდო მომსახურების ოპერატორებს, როგორიცაა, მათ შორის და არამარტო:<br>- საერთაშორისო საგადახდო სისტემის ოპერატორი VISA Inc;<br>- საერთაშორისო საგადახდო სისტემის ოპერატორი MASTERCARD Incorporated;<br>- საერთაშორისო საგადახდო სისტემის ოპერატორი UnionPay;<br>- **H2H** (პირდაპირი ჰოსტინგი, როდესაც საგადახდო პროვაიდერებს შორის ანგარიშსწორება ან ინფორმაციის გაცვლა ხორციელდება საერთაშორისო საგადამხდელო სისტემების მონაწილეობის გარეშე) მონაწილე საპროცესინგო კომპანიები ან/და კომერციული ბანკები (მაგ. UFC, სს „თიბისი ბანკი" და UFC-ში მონაწილე სხვა კომერციული ბანკები, სს „პროკრედიტ ბანკი", სს „**ბანკი** ქართუ" და სხვა);<br>- საგადახდო მომსახურების პროვაიდერები (გარდა კომერციული ბანკებისა, მაგალითად სს „ნოვა ტექნოლოჯი", შპს „თიბისი ფეი", შპს „მანი მუვერს" და სხვა) ან/და მათი კონტრაქტორები (აღნიშნული პირები იყენებენ საგადახდო მომსახურების პროვაიდერების სერვისს და ამ სერვისის შესრულება ხორციელდება **ბანკის** მონაწილეობით, ესენია მაგალითად სს „თელასი", შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" და სხვა);<br>- საერთაშორისო და ადგილობრივი ფულადი გზავნილების ოპერატორები (მათ შორის და არამარტო The Western Union Company, MoneyGram International Inc., Zolotaya Korona და სხვა პირები, რომელთა ჩამონათვალი მოცემულია **ბანკის** ვებ-გვერდზე - http://libertybank.ge). | • მომსახურების ჯეროვნად შესრულების მიზნით (მათ შორის საგადახდო ოპერაციების განსახორციელებლად);<br>• **კანონმდებლობით** განსაზღვრული მიზნით (მაგალითად **კლიენტის** იდენტიფიკაცია);<br>• სხვა ლეგიტიმური კომერციული მიზნით რომელიც შესაბამისობაში იქნება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" კანონის მოთხოვნებთან. |
| | • **ბანკის** კონტრაქტორები ან/და კორპორატიული კლიენტები, რომლებიც იყენებენ **ბანკის** საგადახდო მომსახურებას საკუთარი კლიენტების (აბონენტების) გადასახდელების მისაღებად (ე.წ. ბილინგი), მათ შორის და არამარტო:<br>- სს „თელასი";<br>- შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი";<br>- შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი" და სხვა პირები, რომლებიც მითითებულნი არიან **ბანკის** ადმინისტრირებად საგადახდო ვებ-გვერდზე - http://pay.ge. | • მომსახურების ჯეროვნად შესრულების მიზნით (მათ შორის საგადახდო ოპერაციების განსახორციელებლად);<br>• კლიენტებისათვის (ანუ თქვენთვის) ბანკისა ან/და **მესამე პირის** მიერ მარკეტინგული შეთავაზებების განხორციელების მიზნით;<br>• **კანონმდებლობით** განსაზღვრული მიზნით (მაგალითად **კლიენტის** იდენტიფიკაცია); |

| | | |
|---|---|---|
| | | • სხვა ლეგიტიმური კომერციული მიზნით რომელიც შესაბამისობაში იქნება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" კანონის მოთხოვნებთან. |
| 2. | იმ შემთხვევაში თუ **ბანკი** განახორციელებს მონაცემების **მესამე პირებისათვის** გადაცემას, მათ შორის ინფორმაციის სხვა ქვეყნის რეზიდენტი პირ(ებ)ისათვის გადაცემას, აღნიშნული ქმედების შესრულებისას მიღებული იქნება უსაფრთხოების ყველა ის გონივრული ზომა, რაც შესაბამისობაშია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" კანონის მოთხოვნებთან. | |
| | | |
| 3. | **კლიენტისათვის** ცნობილია და ეთანხმება, რომ აღნიშნულ დანართში და **ბანკის** ადმინისტრირებად ვებ-გვერდებზე (მათ შორის და არამარტო http://libertybank.ge; http://pay.ge) მოცემული ჩამონათვალი არ არის სრული, ამომწურავი და დროდადრო **მესამე პირების** რაოდენობა შესაძლოა გაიზარდოს ან შემცირდეს, თუმცა მიუხედავად ამისა მონაცემების დამუშავების კუთხით **ბანკის** ქმედებები შესაბამისობაში იქნება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. | |

**დანართი №5 - საგადახდო დავალების მიღების და შესრულების ვადები**

- ქვემოთმოცემულ ცხრილში ასახულია დროის მონაკვეთები, როდესაც შესაძლებელია **ბანკში** საგადახდო **დავალების** მიღება, როგორც უშუალოდ **დავალების ბანკში** წარდგენით, ასევე **დისტანციური საბანკო მომსახურების** არხების მეშვეობით, აგრეთვე წარდგენილი საგადახდო **დავალების ბანკის** მიერ შესრულებისთვის განსაზღვრული მაქსიმალური დრო:
- წინამდებარე დანართის მიზნებისთვის, სამუშაო დღედ ითვლება კვირის დღეები, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, გარდა საქართველოს **კანონმდებლობით** დადგენილი უქმე დღეებისა.
- არასამუშაო დღეებში ან/და წინამდებარე ცხრილით განსაზღვრული საათებისგან განსხვავებულ დროის შუალედში **ბანკისთვის** წარდგენილი დავალება, **ბანკის** მიერ მიღებულად ჩაითვლება მომდევნო სამუშაო დღეს.

| საგადახდო დავალების ბანკისათვის მიწოდების ფორმა | საოპერაციო საათები, როდესაც ბანკის მომსახურების წერტილები ან/და დისტანციური არხები ფუნქციონირებს და ხელმისაწვდომია კლიენტისთვის | დროის შუალედი, როდესაც ბანკისთვის წარდგენილი საგადახდო დავალება ჩაითვლება ბანკის მიერ მიღებულად | ბანკის მიერ დავალების მიღებიდან მის შესრულებამდე საჭირო მაქსიმალური დრო საქართველოს ტერიტორიაზე |
|---|---|---|---|
| **ბანკის** მომსახურების წერტილებში (მათ შორის და არამარტო ფილიალი, სერვის-ცენტრი, წარმომადგენლობა) **კლიენტის** მიერ **დავალების** უშუალოდ წარდგენა (გარდა იმ მომსახურების წერტილებისა, სადაც **ბანკის** მიერ დაწესებულია 24 საათიანი სამუშაო გრაფიკი ან მომსახურების წერტილი მდებარეობს სპეციალურ ობიექტში (საბაჟო პუნქტი, აეროპორტი, იუსტიციის სახლი და სხვა)): | • ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 10.00 სთ-დან 17.30 სთ-მდე;<br>• შაბათ დღეს - 10.00 სთ-დან 14.30 სთ-მდე;<br><br>მომსახურების ცალკეულ წერტილებში შესაძლოა დადგენილი იყოს განსხვავებული სამუშაო დღეები და საათები, რის შესახებაც **კლიენტი** ინფორმირებული იქნება ინფორმაციის საჯაროდ გამოკვრის საშუალებით. | • ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 10.00 სთ-დან 17.30 სთ-მდე;<br><br>მომსახურების ცალკეულ წერტილებში შესაძლოა დადგენილი იყოს **დავალების** მიღებისთვის განსხვავებული სამუშაო დღეები და საათები, რის შესახებაც **კლიენტი** ინფორმირებული იქნება ინფორმაციის საჯაროდ გამოკვრის საშუალებით. | • თუ გადამხდელისთვის და მიმღებისთვის საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ბანკია, **დავალება** სრულდება **დავალების** მიღების დღეს.<br>• თუ გადამხდელს და მიმღებს სხვადასხვა პროვაიდერი ემსახურება, **დავალება** სრულდება **დავალების** მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა;<br>• თუ გადახდის **ოპერაციის** განხორციელებაში მონაწილეობს უცხოური საგადახდო ან შეტყობინებების გაცვლის სისტემა, **ბანკი** ვალდებულია გადასცეს აღნიშნულ სისტემებს **დავალება** შესასრულებლად **დავალების** მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო საბანკო დღისა. |
| **ბანკის** 24 საათიან სერვის ცენტრ(ებ)ში **კლიენტის** მიერ **დავალების** უშუალოდ წარდგენა: | ყოველდღე, უწყვეტად 24 საათიანი რეჟიმში | ყოველდღე - 10.00 სთ-დან 17.30 სთ-მდე; | • თუ გადამხდელისთვის და მიმღებისთვის საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ბანკია, **დავალება** სრულდება **დავალების** მიღების დღეს.<br>• თუ გადამხდელს და მიმღებს სხვადასხვა პროვაიდერი ემსახურება, **დავალება** სრულდება **დავალების** მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა;<br>• თუ გადახდის **ოპერაციის** განხორციელებაში მონაწილეობს უცხოური საგადახდო ან შეტყობინებების გაცვლის სისტემა, **ბანკი** ვალდებულია გადასცეს აღნიშნულ სისტემებს **დავალება** შესასრულებლად **დავალების** მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო საბანკო დღისა. |
| **დისტანციური საბანკო მომსახურების არხების (ინტერნეტ ბანკი, მობაილ ბანკი, LB PAY აპარატი,** USSD მენიუ, **ბანკომატით** განხორციელებული დავალებები, მათ შორის **VISA Direct** ან **MasterCard MoneySend** და სხვა) მეშვეობით წარდგენილი **დავალება**: | ყოველდღე, უწყვეტად 24 საათიანი რეჟიმში | ყოველდღე - 10.00 სთ-დან 17.30 სთ-მდე; | • თუ გადამხდელისთვის და მიმღებისთვის საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ბანკია, **დავალება** სრულდება **დავალების** მიღების დღეს.<br>• თუ გადამხდელს და მიმღებს სხვადასხვა პროვაიდერი ემსახურება, **დავალება** სრულდება **დავალების** მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა;<br>• თუ გადახდის **ოპერაციის** განხორციელებაში მონაწილეობს უცხოური საგადახდო ან შეტყობინებების გაცვლის სისტემა, **ბანკი** ვალდებულია გადასცეს აღნიშნულ სისტემებს **დავალება** შესასრულებლად **დავალების** მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო საბანკო დღისა. |